

დავით მინდორაშვილი

კვეტერის ციხის არქეოლოგიური

მასალა



თბილისი 2010

დავით მინდორაშვილი

კვეტერის ციხის არქეოლოგიური

მასალა

თბილისი 2010

უკ (UDC) 902 (479.22)+94(479.22)

მ - 688

კვეტერის ციხე წარმოადგენს ქართული მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლს. XI ს-ში ის იყო კახეთის სამეფოს ერთ-ერთი საერისთავოს ცენტრი, რომლის გამგებლობაში ერწო-თიანეთისა და ფხოვის გარდა ჩრდილოეთ კავკასიის ერთი ნაწილიც შედიოდა.

1968 წელს გიორგი ლომთათიძისა და რამინ რამიშვილის ხელმძღვანელობით კვეტერაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ იქნა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალა, რომელიც საყურადღებოა ციხის წარმოშობა-განვითარების ეტაპების დასადგენად, მისი როლის განსაზღვრისათვის მთისა და ბარის ტრადიციულ ურთიერთობაში, ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებაში და სხვ.

ნაშრომის მიზანს შეადგენს ციხის განათხარი მასალის პუბლიკაცია, რაც არქეოლოგების გარდა გარკვეულწილად დააინტერესებს საქართველოს შუასაუკუნეების პრობლემებზე მომუშავე, ისტორიკოსებსა თუ ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესებულ მკითხველს.

**რედაქტორი პროფ. რამინ რამიშვილი**

**ISBN 978-9941-0-2733-8**

## შესავალი

კვეტერის ციხე მდებარეობს ახმეტის რაიონში მდ. ილტოს ნაპირზე, ახმეტა-თიანეთის დამაკავშირებელ გზასთან. თავის დროზე მის დაწინაურებას დიდად შეუწყო ხელი ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. კვეტერაზე გადიოდა კახეთ-თიანეთის დამაკავშირებელი უმოკლესი და უმნიშვნელოვანესი გზები. ციხე კონტროლს უწევდა ივრის ხეობის ზემო წელის მთიანეთს, ილტოს ხეობასა და ხეობის წინ გაშლილ ველს [40, გვ. 100]. ვახუშტი ბაგრატიონი კვეტერის ციხის შესახებ გადმოგვცემდა: «ახმეტის ხევს ზეით ერთვის ალაზანს უტოს ხევი, გამომდინარე კახეთის მთისა და მარილის-ჰანკისის შუათის მთის, მომდინარე კუეტერის ციხემდე ჩდილოდამ სამხრით, მერმე დასავლიდამ აღმოსავლეთად. ამ ხევს კუეტერის ციხესთან მოერთვის სხუა ხევი ... ამ ორს ხევს შორის არს ციხე კუეტერისა, ფრიად მაგარი და დიდშენი» [55, გვ. 549, 10-16]. იმავე წყაროს მიხედვით, კახეთის მეფე კვირიკე III-ემ (1010-1037 წწ) გაატარა რა ადმინისტრაციული რეფორმები, ერთ-ერთი ერისთავი დასვა კვეტერაში და დაუმორჩილა მას ერწო-თიანელნი, ფხოველნი, დურძუკნი და ღლიღვი [55, გვ. 561, 10-11]. «მატიანე ქართლისაჲ»-ის ცნობით, ბაგრატ IV-ემ (1027-1072 წწ) XI ს-ის 40-იან წლებში შემოიერთა კახეთ-ჰერეთი, მაგრამ კვეტერის ციხის აღება ვერ შეძლო [53, გვ. 306, 46]. ბაგრატ IV-ის ეს წარუმატებლობა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ კვეტერის ციხე იმ დროისათვის მნიშვნელოვნად დაწინაურებული საერისთავოს ცენტრი და ძლიერი ციხე-სიმაგრე ყოფილა. ამის შემდეგ, ვიდრე 1775 წლის ერთი მწირი ცნობის გარდა [56, გვ. 316], წერილობითი წყაროები კვეტერის ციხის შესახებ დუმან.

კვეტერის ციხე ორ ნაწილად იყოფა: ზედა ციხედ ანუ ციტადელად და ქვედა ციხედ. ციტადელს უკავია კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთით მთის წვერი (3500 კმ) და ციხის საერთო ტერიტორიიდან გამოყოფილია მაღალი გალავნით

(ტაბ. I 1, 2). გალავნის კედლებში ჩართულია 6 კოშკი და 2 კარიბჭე. ციტადელის გალავნის შიგნით განლაგებულია: ტაძარი, სასახლე, წყალსაცავი, ბურჯის ქვეშ მოქცეული დარბაზული ეკლესია.

კვეტერის ტაძარი გეგმით ტეტრაკონქია, დიაგონალურად ჩადგმული მცირე ნიშებით. ყველა აბსიდს წინ ბემა აქვს. მკლავების კუთხეებში არის ნახევარლილვისაგან შემდგარი სვეტი. კვადრატისგან გუმბათქვეშა წრეზე გადასვლა ხორციელდება სხვადასხვა სიბრტყეში განლაგებული თაღების სისტემით. გუმბათს თითო სარკმელი აქვს აღმოსავლეთით და დასავლეთით, ორ-ორი ჩრდილოეთით და სამხრეთით. თითო სარკმელია ტაძრის ყველა აბსიდსა და ნიშში. საკურთხეველში აბსიდის კედელზე მიყრდნობილი ტრაპეზია. ტაძარში შესასვლელი დასავლეთით და სამხრეთითაა. კედლებზე, გარედან და შიგნიდან გამოყენებულია კარგად გათლილი შირიმის ქვები. ტაძარი დახურულია ცისფრად მოჭიქული კრამიტით (ტაბ. I 3; ტაბ. II 1).

ტაძრის ჩრდილოეთით 32 მ-ის დაშორებით გეგმით სწორკუთხა (14,35X7,35 მ), კლდის ფლეთილი ქვით ნაგები ორსართულიანი სასახლეა (ტაბ. II 4). მეორე სართულზე აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლებში ორ-ორი, სამხრეთის კედელში კი სამი სარკმელი და ერთი კარია. ჩრდილოეთის კედელში კარია, რომელიც გადიოდა სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს არსებული სათავსოების ბანზე. სასახლეს შემორჩა მეორე სართულზე ასასვლელი კიბე. პირველი სართულის თაღოვანი კარი სამხრეთ კედელშია. ჩრდილოეთ კედელზე დიდი ბუხარია. პირველი სართული ნათდებოდა სამხრეთ და დასავლეთ კედლებში არსებული სარკმლით.

ციტადელის შუაგულში მიწაში ჩაფლული, სწორკუთხა კუთხეებმომრგვალებული წყალსაცავია (5X2,8X3 მ) კედლები და კამარა აგებულია რიყის ქვით. გალესილია კირხსნარით (ტაბ. II 2, 3). წყალსაცავი თიხის მიწების საშუალებით მარაგდებოდა წყაროს წყლით.

ციტადელი გეგმით წაგრძელებული, არაწესიერი მრავალკუთხედა. გალავნის კედლების გარდატეხასთან აღმართულია მძლავრი კოშკები. კოშკებს შორის კედლები გაძლიერებულია კონტრფორსებით (ტაბ. I 2; ტაბ. IV). ციტადელის გალავანში სამი ტიპის კოშკებია: მართკუთხა, კვადრატული და ცილინდრული. ერთ-ერთი ბურჯის (№3 კოშკის) ქვეშ, ჯერ კიდევ 1968 წელს გამოვლინდა მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის ნანგრევები (ტაბ. III 1, 2). ჩანს, კვეტერის ციხის აგებამდე იქ მდგარა პატარა ეკლესია, რომელიც გალავნის მშენებლობის დროს, ბურჯის ქვეშ მოქცეულა [38, გვ. 153, 154]. საფიქრებელია, რომ გალავნის კედლების მშენებლობისას ეკლესია უკვე დანგრეული და გაუქმებული იყო.

ციტადელის სამხრეთი გალავნის კედელში დიდი კარიბჭეა, რომლითაც ზედა და ქვედა ციხის ტერიტორიები ერთმანეთს უკავშირდებოდა. ქვედა ციხეს უკავია მთის სამხრეთი და დასავლეთი ფერდის ნაწილი. ტერიტორია მოიცავს 28600 კვმ-ს (ტაბ. I 1). გალავნის კედლების სისქე 80 სმ-ია. ციხის ჩრდილოეთითა და დასავლეთით მრავლადაა ნაგებობათა ნანგრევები. ქვედა ციხის აღმოსავლეთი კარიბჭე მდებარეობს აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლების შესაყართან. დასავლეთის კარიბჭე ქვედა ციხის ყველაზე დაბალ ნიშნულზე და ამასთან ყველაზე ძნელად მისადგომ ადგილასაა (ტაბ. III 3).

ქვედა ციხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში კარიბჭის სიახლოვეს აღმართულია რვაკუთხა კოშკი. მის საფუძველს წარმოადგენს ოთხკუთხა სათავსო, დასავლეთით არსებული კარით (ტაბ. III 4). კოშკის შიგნით, მთელ სიმაღლეზე ხვეული კიბეა, რომელიც ნათდება კედელში არსებული ხუთი მცირე ზომის სარკმლით. კოშკი 9 მ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი [38, გვ. 163].

საერისთავოს ეს მნიშვნელოვანი ცენტრი, რომელიც ერწო-თიანეთისა და ფხოვის გარდა ჩრდილოეთ კავკასიის ერთ

ნაწილსაც განაგებდა, ყოველთვის იწვევდა ისტორიკოსების, არქეოლოგებისა თუ ხელოვნებათმცოდნეების ინტერესს.

აკად. გ. ჩუბინაშვილმა ნაშრომში, კახეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ, სათანადო ადგილი დაუთმო კვეტერის ეკლესიისა და სასახლის ანალიზს. მისი აზრით, X-XI სს-ში კვეტერის ციხე-სიმაგრის კომპლექსი უკვე არსებობდა ყველა თავისი შემადგენელი კომპონენტით: გალავნით, კოშკებით, სასახლით, კარის მცირე გუმბათიანი ტაძრითა და სხვა დამხმარე ნაგებობებით [95, გვ. 411-416, 543-546].

1968 წელს გ. ლომთათიძისა და რ. რამიშვილის ხელმძღვანელობით კვეტერის ციხეზე მოეწყო ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია. გათხრები წარმოებდა ციხის რამდენიმე უბანზე: სასახლე, წყალსაცავი, შიდა ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე, ჭიშკარი, რვაწახნაგიანი კოშკი. გათხრების შესახებ მხოლოდ მცირე წინასწარული ანგარიში გამოქვეყნდა [23, გვ. 29, 30].

კვეტერის ციხის, როგორც მთისა და ბარის მაკავშირებელი მნიშვნელოვანი სიმაგრის შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული აკად. დ. მუსხელიშვილს [40, გვ. 100].

კვეტერაში მოჭიქული კერამიკის წარმოების საკითხს მიუძღვნა რ. რამიშვილისა და ბ. ჯორბენაძის მოხსენება, წაკითხული 1985 წელს, თბილისში გამართულ ამიერკავკასიის მრავალფრად მოჭიქული კერამიკის პრობლემებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე [91, გვ. 37, 38].

კვეტერის ციხის გალავნისა და ცალკეული ნაგებობების კონსერვაცია-რესტავრაციის საკითხებს ეხება არქიტექტორ-რესტავრატორ ირ. მოსულიშვილის სტატია – «კვეტერის ციხე-კომპლექსი» [38, გვ. 140-163].

კვეტერის სასახლეს მიუძღვნა სტატია ხელოვნებათმცოდნე დ. ვაჩნაძემ. მან ამ ნაგებობის აშენების თარიღად XI ს-ის პირველი ათწლეული მიიჩნია [14, გვ. 37-45].

როგორც აღვნიშნეთ, 1968 წელს კვეტერის ციხეზე ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოები სულ ერთი სეზონის განმავლობაში მიმდინარეობდა, იქ გამოვლინდა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალა<sup>1</sup>, რომელიც ფრიად საყურადღებოა ციხის წარმოშობა-განვითარების ეტაპების დასადგენად, მისი როლის განსაზღვრისათვის მთისა და ბარის ტრადიციულ ურთიერთობაში, ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. არქეოლოგიური მასალა ასევე მნიშვნელოვანია ზოგადად შუასაუკუნეების საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც. კვეტერის შესახებ არსებული წერილობითი წყაროების მწირი ცნობების ფონზე, განათხარი მასალა უმეტეს შემთხვევაში ერთადერთ წყაროდ გვევლინება ციხის ისტორიის რიგი პრობლემების გასაშუქებლად.

გამოკვლევა კვეტერის შესახებ თავდაპირველად განსხვავებული სტრუქტურითა და შინაარსით იყო განზრახული. ის უნდა ყოფილიყო კრებული, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა სხვადასხვა ავტორების სტატიები ძეგლის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შესახებ; დახასიათებული იქნებოდა ძირითადი ხუროთმოძღვრული ნაგებობები – ეკლესიები, სასიმაგრო სისტემა, სასახლე, კარიბჭეები, ცალკეული ნაგებობები, წყალსაცავი და წყალმომარაგების საკითხი; განხილული იქნებოდა 1968 წელს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა და სხვ. სამწუხაროდ, რიგი მიზეზების გამო, ამ მიზნის განხორციელება ვერ მოხერხდა და წინამდებარე ნაშრომში ასახვა მხოლოდ არქეოლოგიურმა მასალამ ჰპოვა.

---

<sup>1</sup> კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა, რომელიც 2000-ზე მეტი ერთეულია, ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე. 1998 წელს აღნიშნული მასალა პროფ. რ. რამიშვილმა დასამუშავებლად გადმოცა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.



ნაშრომის მიზანს შეადგენს კვეტერის ციხე-სიმაგრის განათხარი მასალის ერთი დიდი ნაწილის პუბლიკაცია, რაც ვფიქრობთ, გარკვეულწილად დააინტერესებს საქართველოს შუასაუკუნეების პრობლემებზე მომუშავე არქეოლოგებსა და ისტორიკოსებს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომი კვეტერის არქეოლოგიური მასალის შესწავლის მხოლოდ პირველი ცდაა. გათხრების შედეგად გამოვლენილი არტეფაქტები იმდენად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, რომ მათი საფუძვლიანი და ყოველმხრივი შესწავლა კვლავ მომავლის საქმედ რჩება. განსაკუთრებით ეს ითქმის მოჭიქული კერამიკის ზოგიერთ სახეობაზე, რომელიც ტექსტის ანალიტიკურ ნაწილში ვერ აისახა, რადგან ავტორის აზრით, სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი მოჭიქული კერამიკის გარკვეული ჯგუფების თარიღი კორექტირებას მოითხოვს. ამდენად, ამგვარი ნიმუშების შესახებ მსჯელობას შეგნებულად ავარიდეთ თავი. ნაშრომს თან ერთვის არქეოლოგიური მასალის კატალოგი, რომელიც არტეფაქტების ტიპოლოგიური დანაწევრების პრინციპზეა აგებული.

## I თავი

### კერამიკული ნაწარმი

კვეტერის არქეოლოგიური მასალის უდიდესი ნაწილი სადა და მოჭიქული კერამიკაა. გაცილებით მცირერიცხოვანია ფაიანსის ჭურჭელი<sup>2</sup>, მინის, ლითონის, ქვისა და ძვლის ნივთები. სხვადასხვა უბანზე აღმოჩენილ სინქრონულ კერამიკულ ნაწარმს შორის ფორმების, კეცისა თუ შემკულობ-

---

<sup>2</sup> კვეტერის ციხის განათხარ მასალაში ფაიანსის მხოლოდ რამდენიმე ცუდად შემონახული, მცირე ზომის უსახური ნატეხია დაცული. მათი მიკუთვნება რომელიმე კონკრეტული ჯგუფისადმი ჭირს.

ის მიხედვით რაიმე მკვეთრი განსხვავება არ შეიმჩნევა. ამდენად, საჭიროდ აღარ მივიჩნით მასალის დანაწევრება ცალკეული უბნების მიხედვით და მათ ერთიანად განვიხილავთ. სხვადასხვა უბნის მასალაში მხოლოდ რაოდენობრივი სხვაობაა თვალსაჩინო. მაგ. ყველაზე მრავალრიცხოვანი მასალა აღმოჩნდა სასახლეში, შემდეგ წყალსაცავში. შედარებით მცირერიცხოვანია სხვა უბნებიდან მომდინარე ნივთები. არქეოლოგიური მასალა იყოფა განვითარებული და გვიანდელი შუასაუკუნეების ორ დიდ ქრონოლოგიურ ჯგუფად.<sup>3</sup>

კვეტერის ციხის განათხარ კერამიკაში დანიშნულების მიხედვით გამოიყოფა სამეურნეო, სამზარეულო, სასუფრე, სარიტუალო, სამშენებლო და სხვ. სახის ნაწარმი.

**სამეურნეო კერამიკის** ჯგუფს მიეკუთვნება: თონეები, ქვევრები, დერგები, სადღვებლები და მსხვილი საწყაო ჭურჭელი.

**თონეები** წარმოდგენილია პირ-გვერდის სქელკედლიანი, წითლად გამომწვარი ნატეხებით. დამზადებულია მსხვილმინარევიანი თიხისაგან. პირის მოყვანილობის მიხედვით ისინი ორგვარია: I. თონე, ოთხკუთხაგანიკვეთიანი მასიური ბაკოთი (ტაბ. V 248). II. თონე, ჰორიზონტულად მოჭრილი პირით, რომლის სიგანე კედლის სისქეს არ აღემატება (ტაბ. V 1955). ნატეხების შიდაპირი შემკულია ამოღარული კონცენტრული ხაზებით, წრეებითა და ნახევარწრეებით (ტაბ. V 220, 1916, 1955). ორნამენტს ჰქონდა პრაქტიკული დანიშნულებაც. ის ხელს უწყობდა თონეზე პურის უფრო მტკიცედ მიკვრას.

აღმ. საქართველოს განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების ძეგლებზე თონეები დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი. ისინი ცნობილია: რუსთავიდან [63, გვ. 97],

---

<sup>3</sup> თავის დროზე ძეგლის გამთხრელები აღნიშნავდნენ, რომ კვეტერაზე გამოვლენილი შავი ფერის კერამიკული ნაწარმი არქაულია, რაც ამ ადგილას ადრეული რკინის ხანის ნასახლარის არსებობაზე მიანიშნებს [23, გვ. 30]. უნდა ითქვას, რომ ეს შავი ფერის კერამიკა შუასაუკუნეებს განეკუთვნება და მათ ადრეული ხანის მასალებთან კავშირი არა აქვთ.

თბილისიდან [16, გვ. 145], დმანისიდან [39, გვ. 401], ჯავახეთის ახალქალაქიდან [69, გვ. 66], უფლისციხიდან [32, გვ. 30-32], ჟინვალიდან [27, ტაბ. XXIII] და არაერთი სხვა ძეგლიდან. თონეები მრავლადაა აღმოჩენილი სომხეთისა და აზერბაიჯანის შუასაუკუნეების ძეგლებზეც [87, სურ. 34; 96, გვ. 99]. კვეტრაში აღმოჩენილი თონის ფრაგმენტები გვიანი შუასაუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

**ქვევრები** შემორჩენილია პირ-გვერდისა და ძირის ნატეხებით, რომლებშიც ორი ტიპი შეიძლება გამოიყოს: I ტიპის ქვევრები ხასიათდება დაბრტყელებული, გარეთ გაწეული ბაკოთი, მომაღლო სწორი ყელით (ტაბ. V 893, 948, 1023). მასალის უმრავლესობას შეადგენს II ტიპის ქვევრები ფართოდ დაბრტყელებული, სამკუთხაგანივკვეთიანი, მასიური პირითა და დაბალი ყელით (ტაბ. V 660, 1411, 1919). ქვევრები დაბალქუსლიანია, ბრტყელძირა (ტაბ. V 208). გვხვდება ქვევრები რამდენადმე შემალლებული, ბიკონუსური მოყვანილობის ქუსლითა და ბრტყელი ძირით (ტაბ. V 1771). ჭურჭლები გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმინარევიანია, კეცი გადანატეხში მუქი.

მსგავსი ქვევრები ცნობილია: რუსთავიდან [63, გვ. 96], დმანისიდან [71, ტაბ. II 11], უფლისციხიდან [32, ტაბ. X 1-11], ჟინვალიდან [27, გვ. 34], ძველი გავაზიდან [65, ტაბ. XVI 2] და სხვა ძეგლებიდან. პარალელური მასალების მიხედვით ქვევრები შეიძლება XI-XIV სს-ით დათარიღდნენ. არაა გამორიცხული, რომ მათი ნაწილი გვიანი შუასაუკუნეებისაც იყოს. ზომების მიხედვით ქვევრები სამგვარია: დიდი, საშუალო და მცირე. ჩაკირვის კვალი მხოლოდ დიდი ზომის ქვევრებზე შეიმჩნევა. ჩანს, ისინი სადულარი ქვევრები იყო. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქვევრების ჩაკირვა საქართველოში XI ს-ის 80-იან წლებში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ უნდა დაწყებულიყო. იმავე ხანებიდან ქვევრებს ბრტყელი ძირების ნაცვლად უკვე ვიწრო ქუსლები უკეთდებოდათ [6, გვ. 143]. სადღეისოდ ამ აზრის გაზიარება ძნელია. ქვევრების ჩაკირვის მიზანი მართლ მათი მიწისძვრის ბიძგებისაგან დაცვა არ იყო.

დულაბი ქვევრს იცავდა სხვა მოულოდნელობებისგანაც: მეწყერი, მცენარის ფესვები, სითხის შექონვა და სხვ. გარდა ამისა, ჩაკირული ქვევრი ღვინოს კარგად ინახავდა [52, გვ. 133]. აღმ. საქართველოში ყურძნის წვენის დადუღება ძირითადად დიდი ზომის ჩაკირულ ქვევრებში ხდებოდა, რათა ყურძნის წვენის აქტიური დუღილის დროს ქვევრი არ გატეხილიყო [8, გვ. 12; 48, გვ. 9]. ქვევრების ჩაკირვის წესის დამკვიდრება, რომელიც ჭურჭლის უსაფრთხოების გარდა ღვინის ტექნოლოგიურ მოთხოვნილებებსაც ითვალისწინებდა, გაცილებით ადრეა საძიებელი, ვიდრე XI ს-ის 80-იანი წლები [52, გვ. 134]. აღმ. საქართველოს განათხარი ძეგლების კერამიკაში XI ს-ზე ადრინდელი არაერთი ჩაკირული ქვევრი გვხვდება [8, გვ. 13]. ამასთან, როგორც კვეტერის (და არა მარტო კვეტერის) მასალები მიუთითებენ, XI ს-ის შემდგომაც ბრტყელძირა ქვევრების დამზადების ტრადიცია ჩვენში კვლავ არსებულა.

**კოკები** ფორმების მიხედვით ორ ძირითად ტიპად შეიძლება დაიყოს. I ტიპს მიეკუთვნება ლეგაკეციანი, მრგვალპირიანი კოკები, რომლებშიც თავის მხრივ გამოიყოფა ორი ვარიანტი: II კოკები, რომელთაც აქვთ დაბრტყელებული პირი და ცილინდრული მოყვანილობის მაღალი, ფართო ყელი. ოვალურგანივკვეთიანი ყურის ყელთან მიერთების ადგილას შემოუყვებათ წიბო. თიხა მსხვილმარცვლოვანია (ტაბ. V 694, 783). II კოკები, რომლებიც ხასიათდება ლეგა კეცით, მომრგვალებული ან ჩაღარული პირით, დაბალი, ფართო ყელით. ოვალურგანივკვეთიანი ყურები მიერთებულია პირსა და მხარზე. შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებითა და მორგვისეული ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანია (ტაბ. V 689, 788, 1921).

განვითარებული შუასაუკუნეების მსგავსი ფორმის ჭურჭელი ცნობილია: თბილისიდან [11, ტაბ. XXXIV 27], დმანისიდან [71, ტაბ. II 1], რუსთავიდან [21, ტაბ. XXX I 3], ჟინვალიდან [27, გვ. 30] და სხვ.

II ტიპს მიეკუთვნება წითელკეციანი სამტუჩა კოკები, რომლებშიც გამოირჩევა ორი ვარიანტი: III. კოკები, რომელთაც აქვთ საშუალო სიმაღლის ყელი და განზიდული მხრები. მრგვალი, ოვალური ან ბრტყელგანივკვეთიანი ყურები მიერთებულია ჭურჭლის პირსა და მხარზე (ტაბ. VI 370, 860, 1892). ზოგიერთი კოკა ანგობირებულია და შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით (კვ-68-54). ამგვარ ჭურჭელზე ორნამენტი ძირითადად ყურებზეა გამოსახული რელიეფური შვერილების (ტაბ. VI 751), კოპების (ტაბ. VI 1893), ჩადარული ხაზებისა და მოკლე ნაჭდევების (ტაბ. VI 86, 700, 824), აგრეთვე, გრებილი ყურების სახით (ტაბ. VI 1769). თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში მუქი.

ანალოგიური ფორმის ჭურჭელი აღმოჩენილია: თბილისში [11, ტაბ. XXXIV 272], რუსთავეში [94, ტაბ. CLXXI 3], უჯარმაში [22, ტაბ. XXVII 55, 483, 702], ჟინვალში [27, გვ. 30]. კვეტერის სამტუჩა კოკები თავისი ფორმებით გვიანდელი შუასაუკუნეების ჭურჭლებია და შესაძლოა XVI-XVII სს-თ დათარიღდნენ.

III ვარიანტის კოკებში გამოირჩევა წითელკეციანი, მაღალყელიანი სამტუჩა კოკა, რომელსაც პირს ქვემოთ და მხარზე მიძერწილი აქვს ოვალურგანივკვეთიანი რელიეფური შვერილით შემკული ყური. ჭურჭელი შედებილია წერნაქით. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში მუქი (ტაბ. VI 741). წერნაქით შეღებვა არაა დამახასიათებელი კვეტერის შუასაუკუნეების კერამიკისათვის. აღნიშნული კოკის გარდა განათხარ მასალაში წერნაქით შედებილი სულ ორი ნიმუში გვხვდება (კვ-68-35, 1194). კეცის სტრუქტურით, ზედაპირის დაუდევარი დამუშავებით, წერნაქის მდარე ხარისხით, კოკა მოგვიანო ჩანს და შესაძლოა უფრო XVII-XVIII სს-ს მიეკუთვნოს. წერნაქით შედებილი კოკები და სხვა ფორმის მოზრდილი თუ მცირე ზომის ჭურჭლები მრავლად გვხვდება აღმ. საქართველოს გვიანი შუასაუკუნეების განათხარ ძეგლებზე. ისინი ცნობილია თბილისის სახვადასხვა უბნიდან, კერძოდ ნარიყალადან [2, გვ. 176, 178], ერეკლე II-ეს

მოედნიდან [11, გვ. 78], ქარვასლისა და სინაგოგის ტერიტორიებიდან [33, გვ. 22, 23, 40-43]. ამგვარი ჭურჭლები აღმოჩენილია დმანისში [71, ტაბ. VIII], მცხეთაში [2, გვ. 177] და სხვ.

II2 ვარიანტის კოკა პირ-ყელის ერთი ნატეხითაა შემორჩენილი. ჭურჭელი წითელკეციანია, გაშლილი სამტუჩა პირით. ყელი მაღალია, ქვემოთ რამდენადმე დავიწროებული. პირზე შემორჩენილია ოვალურგანიკვეთიანი ყურის კვალი. პირს ქვემოთ და მხარის დასაწყისთან შემოუყვება წიბოები (ტაბ. VI 215). თიხა წვრილმარცვლოვანია. ფორმით, კეცით, გამოწვის ხარისხით, კოკა გვიანი შუასაუკუნების ნაწარმი უნდა იყოს.

**სამზარეულო კერამიკის** ჯგუფს მიეკუთვნება: კეცები, ქოთნები, ქვაბქოთნები, ქილები, ბადიები, ტაფები, სამზარეულო ჯამები და საწური.

**კეცები** მრავალრიცხოვანია. ფორმებით ისინი ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდება. კეცები ხასიათდება მომრგვალებული ბაკოთი, სწორი ან გაშლილი პირით, დაბალი კალთით, სქელი და ბრტყელი უქუსლო ძირით. თიხა მსხვილმინარევიანია. ზომების მიხედვით მათში გამოიყოფა დიდი, საშუალო, მცირე ან ძალზე პატარა, მინიატურული კეცები. უმრავლესობა სადაა, მცირე ნაწილი – ორნამენტირებული. შემკულობის ძირითადი სახეა ბაკოზე შემოვლებული ირიბი ნაჭდევეები, ფსკერზე დატანილი ჩაჭდეული წერტილები, მახვილწვერიანი იარაღით ან თითებით გამოყვანილი ხაზები (ტაბ. V 223, 226). მინიატურული კეცების ფსკერზე გამოსახულია მკლავებგახსნილი ჯვარი და ჩაჭდეული წერტილები (ტაბ. V 871, 1035). მათი მცირე ზომა და შემკულობა იმაზე მიუთითებს, რომ ამგვარ კეცებს ყოველდღიური პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონდათ. ისინი ძირითადად გამოიყენებოდა საეკლესიო დღესასწაულების დროს, სარიტუალო კვერების გამოსაცხობად. ამგვარ კეცებში გამომცხვარ სარიტუალო კვერებზე აღიბეჭდებოდა ჯვარი ან იმ ორნამენტის გამოსახულება, რომელიც კეცის ფსკერზე იყო გამოყვანი-

ლი. სარიტუალო კვერების გამოსაცხობკვეცებზე ჯვრისა და სხვა ორნამენტული სახეების გამოსახვის ტრადიცია ეთნოგრაფიულ ყოფაშიც შემორჩა [5, ტაბ.LXV4; 24, ტაბ. XIII]. ერთ-ერთ კეცზე გამოწვამდე ასომთავრულით ამოუკაწრავთ ორი ასო-ნიშანი – «წ» და «ნ» თუ «შ» (ტაბ. V 593). შუასაუკუნეების არქეოლოგიურ მასალებში წარწერიანი კერამიკის (კრამიტები, ხელადები, ჯამები) უკვე იმდენი ნიმუშია ცნობილი, რომ პარალელების მოტანას აღარ შევუდგებით. თავის დროზე სავსებით მართებულად შენიშნავდა გ. ლომთათიძე, რომ ქართული მცირე წარწერების (ზოგჯერ მხოლოდ ცალკეული ასოების) სიმრავლე თიხის ჭურჭლებზე, შუასაუკუნეებში მოსახლეობის ფართო ფენების წიგნიერებაზე უნდა მიუთითებდეს [19, გვ. 116]. ყოველ შემთხვევაში, მეთუნე ხელოსანთა დიდი ნაწილი წიგნიერი რომ ყოფილა, არქეოლოგიური მასალების მიხედვით ეს სადავო არ უნდა იყოს.

კეცები დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი აღმ. საქართველოს განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლებზე: თბილისში [16, გვ. 153], დმანისში [9, გვ. 127], ჯავახეთის ახალქალაქში [69, გვ. 65], ყინვალში [27, გვ. 26], ფშავის არაგვის ხეობაში [49, გვ. 73], ერწო-თიანეთში [75, გვ. 94], უჯარმაში [22, გვ. 207], თელავში [60, გვ. 49] და სხვ. მრავალრიცხოვანი პარალელური მასალების მიხედვით კვეტერაში აღმოჩენილი კეცები XI-XIV სს-ით შეიძლება დავათარილოთ. სამზარეულო კერამიკის ეს ჯგუფი დიდხანს ინარჩუნებს ფორმის მდგრადობას. აღსანიშნავია, რომ შუასაუკუნეების კეცები ფორმით თითქმის არ განსხვავდება ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე შემორჩენილი კეცებისაგან [29, გვ. 108, სურ. 38]. ამდენად, საფიქრებელია, რომ კვეტერაში აღმოჩენილი კეცების გარკვეული ნაწილი გვიანი შუასაუკუნეების ნაწარმია. თუმცა, მათი ცალკე ქრონოლოგიურ ჯგუფად გამოყოფა არ ხერხდება.

**ქოთნები** სამზარეულო კერამიკის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია. ჭურჭლები საშუალო ზომისაა.

იშვიათად გვხვდება მცირე ზომის ქოთნებიც. ფორმა-მოყვანილობით მათში გამოიყოფა სამი ტიპი:

I ტიპს შეადგენს ქოთნები ოდნავ გაშლილი პირითა და მხარზე დაძვრული ცილინდრული მოყვანილობის მილით (ტაბ. V 138; ტაბ. VII 1280). ჭურჭლები შემკულია მორგვისეული ხაზებით, ამოკაწრული სწორი და ტალღოვანი სარტყლებით, წნევით დატანილი ზოლებით. ხშირად მიღს ირგვლივ შემოუყვება მოკლე ნაჭდევეები. თიხა მსხვილმარცვლოვანია. სითხის გადმოსადგრელი ფუნქციის გარდა, მიღები დუდილის დროს ორთქლის ცირკულაციასაც უწყობდა ხელს. მილიანი ქოთნები ცნობილია თბილისიდან [11, ტაბ. XXXI 242]. დმანისში აღმოჩენილი ამგვარი ჭურჭელი თარიღდება XII-XIII სს-ით [9, გვ. 127]. მიგვაჩნია, რომ ამგვარი ქოთნები უფრო გვიანი შუასაუკუნეების ნაწარმია. ყოველ შემთხვევაში კვეტერული მილიანი ქოთნები მაინც. ბოლო ხანებში მათი გვიანდელი, XVIII ს-ით დათარიღებული ანალოგები აღმოჩნდა თბილისში, ქარვასლის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრებისას [33, გვ. 16].

II ტიპის ქოთნებს აქვთ ოდნავ გაშლილი პირი და დაბალი ყელი. ბრტყელგანიკვეთიანი, ზემოთ აწეული ყური, პირსა და მხარზეა დაძვრული (ტაბ. VII 37, 932). ქოთნები შემკულია მორგვისეული ხაზებით, ამოდარული სწორი და ტალღოვანი სარტყლებით, მოგრძო ნაჭდევეებით. თიხა მსხვილმარცვლოვანია, კეცი გადანატეხში მუქი.

III ტიპის ქოთნები წარმოდგენილია რამდენიმე ვარიანტით: III1. ქოთნები ხასიათდება ოდნავ გაშლილი პირით, დაბალი ყელით. მხარსა და მუცელზე დაძვრული აქვთ ბრტყელგანიკვეთიანი ყური (ტაბ. VII 36, 213). III2. ქოთნებს აქვთ გადაშლილი პირი, რომელთაც შიდა მხრიდან ხუფის უკეთ მორგების მიზნით ზოგჯერ ღარი შემოუყვება (ტაბ. VII 345, 550, 1901, 2102). III3. ქოთნებს აქვთ დაბრტყელებული ბაკო, რომელიც იშვიათად ამოდარულიცაა (ტაბ. VIII 56, 143, 933, 1271). ქოთნები შემკულია მორგვისეული ხაზებით, ამოდარული სწორი და ტალღოვანი სარტყლებით. ზოგიერთი



ნაპრიალებია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა მსხვილმარცვლოვანია. III ტიპის ქოთნები, რომლებიც ზოგადად გვიანდელი შუასაუკუნეების (XVI-XVIII სს) ნაწარმია, რიცხოვნობად ყველა სხვა დანარჩენს სჭარბობს.

ქოთნები ადგილობრივ რომ მზადდებოდა, სხვა მონაცემებთან ერთად (ჭურჭლების სიმრავლე, ფორმ-ზომების სტანდარტულობა, კეცის ერთგვაროვნება), მიუთითებს წყალსაცავის გათხრებისას აღმოჩენილი წუნდებული, დეფორმირებული ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი (კვ-68-57).

ქოთნის **ხუფები** წითელკეციანია, შებოლილი. უმეტესობა ხელითაა ნამერწი. თიხა მსხვილმინარევიანია. ფორმებით ისინი იყოფა ორ ტიპად: დისკოსებური და კონუსური. დისკოსებურ ხუფებში სახელურების მიხედვით გამოირჩევა სამი ვარიანტი: I1. ხუფები ყურისებური მოყვანილობის მრგვალგანიკვეთიანი სახელურებით (ტაბ. VIII 1651). I2. ხუფები მაღალი ან დაბალი, ცილინდრული მოყვანილობის, ნაწილობრივ ღრუ სახელურებით (ტაბ. VIII 455, 718, 792, 1407). ზოგიერთი ხუფის ცილინდრული სახელური ზედა ნაწილში დავიწროებული ან წაწვეტებულია (ტაბ. VIII 1556). ხუფების ერთ ნაწილს დისკოზე და სახელურზე აქვთ ორთქლის ცირკულაციისათვის განკუთვნილი ნახვრეტები (ტაბ. VIII 413, 420). I3 ვარიანტს მიეკუთვნება ქილისა თუ კოჭობის წითლად გამომწვარი, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან მორგვზე დამზადებული ხუფი, რომლის ცილინდრულ სახელურს შუა ნაწილზე შემოუყვება დისკო (ტაბ. VIII 412).

II ტიპში ერთიანდება კონუსური ფორმის ხუფები. მათში გამოიყოფა ორი ვარიანტი: II1. ხუფები ყურისებური მოყვანილობის სახელურებით (ტაბ. VIII 1569); II2. ხუფები ცილინდრული სახელურებით (ტაბ. VIII 203). ფრაგმენტულობის გამო ვერ ირკვევა ჰქონდათ თუ არა ამგვარ ხუფებს ორთქლის ცირკულაციისათვის განკუთვნილი ნახვრეტები. კონუსური ხუფების ერთი ნაწილი განკუთვნილი ყოფილა სადუღარი ჭურჭლებისათვის. ხუფების ორნამენტი არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით. სახელურებსა და დისკოებ-

ზე გვხვდება ჩაჭდული წერტილები, ამოღარული მოგრძო ხაზები (ტაბ. VIII 792), ვერტიკალური ან ირიბი მოკლე ღარები, რელიეფური სარტყლები და მორგვისეული ხაზები (ტაბ. VIII 413, 455, 1569). კონუსური ხუფებიდან აღსანიშნავია ხუფის ფრაგმენტი, შემკული შტამპით გამოყვანილი ორნამენტით (ტაბ. VIII 879). ორნამენტის ხასიათის მიხედვით ის გვიანი შუასაუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

**ქვაბქოთნები**, რომლებიც ნატეხების სახითაა შემორჩენილი, იყოფა ორ ტიპად:

I ტიპის ქვაბქოთნები გამომწვარია წითლად. ხასიათდება გაშლილი ან მოყრილი პირით, განზიდული მხრებითა და ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული კალთით. მხარზე დამერწილი აქვთ ზემოთ აწეული სამკუთხა მოყვანილობის ბრტყელგანიკვეთიანი ყურები (ტაბ. VIII 1403). ჭურჭლები შემკულია ირიბი ნაჭდევებით, ამოღარული ტალღოვანი ორნამენტით, სადა და ირიბნაჭდევიანი რელიეფური სარტყლებით, მორგვისეული ხაზებითა და სხვ. ქოთნებთან შედარებით ქვაბქოთნები გამოირჩევა გაცილებით მრავალფეროვანი ორნამენტით. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში მუქი.

ქვაბქოთნებს მრავლად მოეპოვებათ ანალოგები თბილისის [11, ტაბ. XXVII 117], რუსთავის [21, ტაბ. XXX 7], დმანისის [71, ტაბ. I 12, 13], თელავის [60, გვ. 47] XI-XIII სს-ით დათარიღებულ განათხარ კერამიკაში. განვითარებულ შუასაუკუნეებში მსგავსი ფორმის ჭურჭლები ფართოდაა გავრცელებული საქართველოს ფარგლებს გარეთაც [81, გვ. 192].

II ტიპის ქვაბქოთანი ხასიათდება დაბრტყელებული, შიგნით შეწეული ბაკოთი, ფართო პირითა და შვეული მხრებით. დაქანებულ კალთაზე დამერწილია მოკლე, ოვალურგანიკვეთიანი სახელური. ტანი შემკულია მორგვისეული ხაზებითა და ირიბი ნაჭდევებით. თიხა მსხვილმარცვლოვანია (ტაბ. X 767). კვეტერის ქვაბქოთანი ფორმა-მოყვანილობით ყველაზე მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს თბილისში აღმოჩენილ ქვაბქოთანთან, რომელსაც გამთხრელები ათარიღებენ XII ს-

ით [11, ტაბ. XXV 159]. თუმცა, ავტორების მიერ შემოთავაზებული დათარიღების მეთოდი საეჭვოს ხდის ქვაბქოთნის ამ თარიღს. ჩვენ ის უფრო გვიანი შუასაუკუნეების ნაწარმად მიგვაჩნია.

**ბადიები** ხასიათდება ფართოდ გაშლილი ტუჩიანი პირით, მკვეთრად დაქანებული კალთითა და ბრტყელი, უქუსლო ან ოდნავ პროფილირებული ძირით. ხშირად ბაკოზე შემოუყვებათ ამოღარული ტალღოვანი ხაზები. ბაკოზე და ტუჩის ორივე მხარეს დამერწილი აქვთ კოპები. კალთა შემკულია რელიეფური, ირიბნაჭდევიანი სარტყლებითა და მორგვისული ხაზებით (ტაბ. VIII 1670, 2046). გვხვდება სადა, უორნამენტო ნიმუშებიც (ტაბ. VIII 478). ბადიები გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში მუქი. ზოგიერთი ბადია შებოლილია. ჩანს, მათ სადუღარ ჭურჭლებადაც იყენებდნენ. ზომების მიხედვით ბადიები სამგვარია: დიდი, საშუალო და მცირე. ამ ფორმის ჭურჭელი ჩვენში საკმაოდ ადრე ჩნდება და განვითარებული შუასაუკუნეების ჩათვლით ფართოდაა გავრცელებული მთელს ამიერკავკასიაში [54, გვ. 50; 60, გვ. 49; 45, გვ. 128]. XI-XIII სს-ით დათარიღებული ბადიები ცნობილია: თბილისიდან [11, ტაბ. XXV 159], თელავიდან [60, გვ. 49], ჟინვალიდან [27, გვ. 32] და არაერთი სხვა ძეგლიდან. პარალელური მასალების მიხედვით კვეტერის ბადიები შეიძლება XII-XIV სს-ით დავათარილოთ.

**ტაფები** ორი ტიპისაა. I ტიპს მიეკუთვნება ტაფები გაშლილი პირით, დაბალი სწორი კალთითა და ბრტყელი ძირით. პირსა და კალთაზე დამერწილი აქვთ ოვალურგანივკვეთიანი ყურები. ტაფების შიდა და გარეპირი ნაპრიალებია. კალთაზე შემოუყვებათ ამოღარული სარტყელი. პირი შემკული აქვთ კოპით. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცი წითელი, გადანატეხში მუქი. ცეცხლის ზემოქმედების გამო შებოლილებია (ტაბ. X 1481, 1785).

II ტიპში ერთიანდება სახელურიანი ტაფები. სახელურის ფორმის მიხედვით მათში გამოიყოფა ორი ვარიანტი: III.

ტაფები მოგრძო, მრგვალი ან ოვალურგანივკვეთიანი სახელურებით (ტაბ. X 789, 1085); II2. ტაფები მოგრძო, მრგვალგანივკვეთიანი ღრუ სახელურებით. შემორჩენილი ნატეხების მიხედვით უკანასკნელთ ჰქონიათ დაბრტყელებული ბაკო, მოყრილი პირი, დაბალი ოვალური კალთა და ბრტყელი ძირი (ტაბ. X 1899). სახელურიანი ტაფები ცნობილია: თბილისიდან [11, ტაბ. XX 8, 24, XXX 209], უჯარმიდან [22, გვ. 231, ტაბ. X 436], ჯავახეთის ახალქალაქიდან [69, გვ. 65], ტამალას წმინდა გიორგის სახ. ეკლესიის განათხარი კერამიკიდან [43, გვ. 58], ჟინვალის ხერთვისიდან [49, გვ. 56], ჟინვალის ნაქალაქარიდან [27, გვ. 27]. პარალელური მასალების გათვალისწინებით კვეტერაში აღმოჩენილი ტაფები XIII-XIV სს-ით შეიძლება დავათარილოთ. მათი ნაწილი შესაძლოა გვიანი შუასაუკუნეების იყოს.

სამზარეულო კერამიკას მიეკუთვნება წითელკეციანი **ყურიანი ჯამები**, რომელთაც აქვთ ტუჩიანი პირი. ზევით აწეული ბრტყელგანივკვეთიანი ყურები მიერთებულია პირსა და მხარზე. მხარი შემკულია ამოღარული ტალღოვანი ხაზებითა და ირიბნაჭდევია რელიეფური სარტყელით. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცი თხელია, ზოგჯერ გადანატეხში მუქი. ყველა მათგანი შებოლილია (ტაბ. VIII 1040, 2028). ჩანს, ამგვარი ჭურჭელი ცეცხლზე დასადგმელად გამოიყენებოდა. ჯამები ფორმა-მოყვანილობით ყველაზე ახლოს დგანან ჟინვალიდან მომდინარე XII-XIII სს-ით დათარიღებულ «საწვნიებად» წოდებულ ჯამებთან [27, გვ. 27].

სამზარეულო დანიშნულებისაა მცირე ზომის წითლად გამომწვარი, ხელით ნამერწი საწური, მომრგვალებული ბაკოთი, დაბალი სწორი კალთით, დახვრეტილი ფსკერითა და ბრტყელი ძირით. კალთაზე შემორჩენილი აქვს სახელურის კვალი (ტაბ. V 1551).

**სუფრის ჭურჭელში** ერთიანდება ხელადები, ჭინჭილები, ჯამები, თხელკედლიანი სასმისები და სამარილები.

ხელაღები ყველაზე მრავალრიცხოვანია. მათში გამოიყოფა ოთხი ტიპი. I ტიპს მიეკუთვნება წითელი და ლეგაკეციანი ტუჩაზნექილი ხელაღები. მათში გამოიყოფა ორი ვარიანტი: I1. ხელაღები ხასიათდება მომრგვალებული ან დაბრტყელებული ბაკოთი. აზნექილი ტუჩით. საშუალო სიმაღლის ყელით. მრგვალგანიკვეთიანი გრეხილი და ოვალურგანიკვეთიანი სადა ყურები მიერთებულია ჭურჭლის პირსა და მხარზე (ტაბ. IX 813, 1414). ძირები ბრტყელია, უქუსლო. ზოგჯერ ოდნავ პროფილირებული ქუსლით (ტაბ. IX 217). გვხვდება სამფეხა ძირის მქონე ხელადაც (ტაბ. IX 1927). ხელაღები შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. შედარებით უკეთ შემორჩენილ ერთ ხელადას ანგობირებულ ზედაპირზე დაუყვება წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლები. ჭურჭლის ყელი და მხრები მოხატულია შავი საღებავით (ტაბ. IX 2085). ხელაღების თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში მუქი. I2 ვარიანტის ხელაღებიც ტუჩაზნექილია. ყურს ქვემოთ ან ყურის პირთან მიერთების ადგილას აქვთ კოპები, ხვიები თუ სხვა სახის რელიეფური დანამერწები (ტაბ. IX 1026, 1237, 1275, 1489). აღწერილი ხელაღები გამოირჩევა ორნამენტის სიუხვით. თუმცა, დეკორი ყოველთვის ზომიერი და გადაუჭარბებელია. I ტიპის ხელაღებს მრავლად მოეპოვება ანალოგები აღმ. შაქართველოს განვითარებული შუასაუკუნეების მასალებში. ტუჩაზნექილი სადა თუ ორნამენტით შემკული ხელაღები ცნობილია: თბილისიდან [11 ტაბ. XXVI 150], რუსთავიდან [21, ტაბ. XXX I6], დმანისიდან [9, გვ. 128], უჯარმიდან [22, ტაბ. XXIX 660], თელავიდან [60, გვ. 53], ერწო-თიანეთიდან [75, ტაბ. XXII 690], ჟინვალიდან [27, გვ. 22] არაერთი სხვა ძეგლიდან. ისინი ყველგან ძირითადად XII-XIII სს-ით თარიღდება. ტუჩაზნექილი ხელაღები განვითარებული შუასაუკუნეების ქართული კერამიკის დამახასიათებელ ფორმადაა მიჩნეული [71, გვ. 43].

ზოგიერთ ხელადას ჰქონია სამფეხა ძირი (ტაბ. IX 1927). XII-XIII სს-ის მოჭიქული სამფეხა ხელადა აღმოჩენილია

საკუთრივ კვეტერაში (კვ-68-1906). ამავე ხანებით თარიღდება თბილისიდან [16, გვ. 153], რუსთავიდან [61, გვ. 168], ჟინვალიდან [27, გვ. 22] მომდინარე მოუჭიქავი სამფეხა ხელადები.

II ტიპში ერთიანდება წითელი და ლეგაკეციანი მრგვალპირიანი ხელადები, რომლებშიც გამოიყოფა ორი ვარიანტი: II1. მრგვალპირიან წითელკეციან ხელადებს აქვთ დაბრტყელებული ბაკო, გაშლილი პირი და მაღალი ვიწრო ყელი. ოვალურგანივკვეთიანი ყურის ყელთან მიერთების ადგილას შემოუყვება წიბო. ზოგჯერ ყური შემკულია ჩაჭდული წერტილებით. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში მუქი (ტაბ. IX 1630, 1700, 1774). XI-XIII სს-ით დათარიღებული მსგავსი ხელადები აღმოჩენილია: თბილისში [11, ტაბ. XXXIII 256; 71, ტაბ. II 3], რუსთავში [21, ტაბ. XXX 15], დმანისში [9, გვ. 128], უჯარმაში [22, ტაბ. XXVIII 673], თელავში [60, გვ. 52], ქვემო ქართლის ნამოსახლარებზე [4, ტაბ. XVII 10; 92, ტაბ. XXII], ჟინვალში [27, გვ. 21] და სხვ. II2. მრგვალპირიანი ხელადის ტიპს მიეკუთვნება ერთი ლეგაკეციანი ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი. ის ხასიათდება მომრგვალებული ბაკოთი, გაშლილი პირით. ყელის შუა ნაწილში აქვს საწური. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირზე. თიხა წვრილმარცვლოვანია (ტაბ. IX 354). საწურავიანი ხელადები ჩვენში სამაჭრე ჭურჭლებადაა მიჩნეული [63, გვ. 108]. ბუნებრივია, რომ ვაზის კულტურით განთქმული ქვეყნის არქეოლოგიურ მასალებში საწურავიანი ხელადების არაერთი ნიმუში გვხვდება. XII-XIII სს-თ დათარიღებული საწურავიანი ხელადები აღმოჩენილია: თბილისის კერამიკულ სახელოსნოში [16, გვ. 154], თბილისშივე, ერეკლე II-ეს მოედანზე [11, ტაბ. XXII 60, 72], რუსთავში [63, გვ. 108], დმანისში [71, გვ. 22, ტაბ. IX 10], უჯარმაში [22, გვ. 201, ტაბ. XXX 149], თელავში [60, გვ. 53], ჟინვალში [27, გვ. 22] და სხვ.

III ტიპს მიეკუთვნება ლეგაკეციანი სამტუჩა ხელადები, რომლებიც ხასიათდება მომრგვალებული ბაკოთი და გაშლილი

სამტუჩა პირით. ხელადები დაბალყელიანია. ბრტყელგანიკვეთიანი ყურები მიერთებულია პირსა და მხარზე (ტაბ. IX 268, 371, 951, 1571). ორნამენტი, ამოდარული მოკლე ხაზებისა და კოკების სახით, ძირითადად ჭურჭლების ყურებზეა წარმოდგენილი. ზოგიერთი შემკულია მორგვისეული ხაზებით. ერთი მათგანი ტანგოფრირებულია (კვ-68-284). თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცი თხელია, ზოგჯერ გადანატეხში მუქი. სამტუჩა ხელადები ფორმით ახლოს დგანან კვეტერის სამტუჩა კოკებთან და მათგან ძირითადად ზომებით განსხვავდება. ისინი ერთმანეთთან ქრონოლოგიურადაც ახლოს უნდა იდგნენ. მსგავსი სამტუჩა ხელადები ცნობილია: უჯარმიდან [22, ტაბ. XXVII 630], თელავიდან [60, გვ. 42], ერწო-თიანეთიდან [75, სურ. 22 689, 695], ჟინვალიდან [27, გვ. 17] და სხვ.

IV ტიპს შეადგენს მილიანი ხელადები, რომლებიც განათხარკერამიკაში მხოლოდ მილებისა და მილ-გვერდის ნატეხებითაა შემორჩენილი. მილები წითელკეციანია. გვხვდება როგორც სადა, ისე ორნამენტის ნიმუშები (ტაბ. VIII 1008, 1629). შემკულობის სახეებია: ამოდარული სარტყლები, ნაპრიალები ზედაპირი და შავი საღებავით მოხატვა (კვ-68-1922). თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში მუქი. მილები დამერწილი ყოფილა ჭურჭლების მხარზე. სხვა ძეგლებიდან მომდინარე მილიან ხელადებს ხშირად ყელში დატანებული აქვთ საწური [71, გვ. 22]. გაურკვეველია ჰქონდა თუ არა კვეტერულ მილიან ხელადებს ამგვარი საწურები. როგორც მივუთითეთ, აქ მხოლოდ ერთი საწურისანი ხელადაა აღმოჩენილი, მაგრამ ფრაგმენტულობის გამო ძნელი გასარკვევია, ეკუთვნოდა თუ არა ის მილიანი ხელადების ტიპს. XI-XIII სს-ით დათარიღებული მილიანი ხელადები ცნობილია: დმანისიდან [71, გვ. 22, ტაბ. IX 15], რუსთავიდან [61, გვ. 167], თელავიდან [60, ტაბ. VI 2], ერწო-თიანეთიდან [75, გვ. 88], ჟინვალიდან [27, გვ. 8]. მილიანი ხელადები აღმოჩენილია აზერბაიჯანისა და სომხეთის განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლებზე [81, ტაბ. XI 2; 87, - სურ. 160]. ამგვარი ჭურჭელი დიდი რაოდენობით გვხვდება

აღმ. საქართველოს გვიანი შუასაუკუნეების განათხარ მასალებშიც. მილიანი ხელაღები ძირითადად მუსულმანური სამყაროსთვისაა დამახასიათებელი [2, გვ. 180], მაგრამ ეტყობა ამგვარი ჭურჭელი ქრისტიანული მოსახლეობის ყოფაშიც საკმაოდ ფართოდ გამოიყენებოდა და მათი დიდი ნაწილი ადგილობრივაც მზადდებოდა. საინტერესოა, რომ მილიანი ხელაღების წარმოება საქართველოში ამ ბოლო ხანებამდეც იყო შემორჩენილი [29, გვ. 110, სურ. 14]. კვეტერის მილიანი ხელაღები გვიანი შუასაუკუნეები ნაწარმი უნდა იყოს.

ცალკე განვიხილავთ ხელაღებს, რომლებიც ფრაგმენტულობის გამო ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას არ ექვემდებარება. სხვა ხელაღებისაგან ისინი გამოირჩევიან მოჩაღისფრო-მოთეთრო კეცით. შემორჩენილი ნატეხების მიხედვით ხელაღებს ჰქონიათ ოდნავ გაშლილი პირი, ვიწრო ან ფართო, ცილინდრული ყელი (ტაბ. IX 171, 1596); ბრტყელი, ოვალური და ოთხკუთხაგანიკვეთიანი ყურები (კვ-68-576, კვ-68-641, კვ-68-819); უქუსლო ან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირები (ტაბ. IX 937). ნატეხები შემკულია ამოდარული სარტყლებით, წნევით დატანილი ზოლებითა და მორგვისეული ხაზებით. თიხა წმინდადაა განლექილი. კეცი მკვრივია ან რბილი. ისინი გვიანი შუასაუკუნეების კერამიკული ნაწარმია და XVI-XVII სს-ით შეიძლება დათარიღდნენ.

**ჯამები** მცირე რაოდენობითაა. ისინი საშუალო ზომისაა. თიხა მსხვილმარცვლოვანია, მაგრამ გვხვდება წვრილმარცვლოვანი თიხისაგან დამზადებული ჯამებიც. გამომწვარია წითლად. კეცი გადანატეხში ზოგჯერ მუქია. ფორმების მიხედვით მათში გამოიყოფა ოთხი ტიპი:

I ტიპს მიეკუთვნება სწორპირიანი ჯამები. მხრები კალთისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი (ტაბ. X 261).

II ტიპად გამოიყოფა პირმოყრილი, ოვალურმხრებიანი ჯამები (ტაბ. X 557). გათხრებისას აღმოჩენილია ამ ტიპის ერთი წუნდებული ნატეხიც. ჭურჭლის პირ-გვერდი დეფორმირებულია ზედმეტი სიმხურვალისაგან (კვ-68-549).



სხვა მასალებთან ერთად, ჯამის ეს ნიმუშიც ადასტურებს კვეტერაში ადგილობრივი სამეთუნეო წარმოების არსებობას.

III ტიპს შეადგენს დაბრტყელებულბაკოიანი ჯამები, რომლებშიც ბაკოს მოყვანილობის მიხედვით ორი ვარიანტი გამოიყოფა: III1. ჯამი დაბრტყელებული, ჩადარული ბაკოთი და აწეული ქიმიტ. პირი სწორი აქვს. მხრები გამოყოფილია კალთისაგან (ტაბ. X 731); III2. ჯამები დაბრტყელებული, ქიმაწეული ბაკოთი, მოყრილი პირითა და ოვალური მხრებით (ტაბ. X 707, 1787). ჯამები სადაზედაპირიანია. მხოლოდ ერთ მათგანს ამკობს მხარზე ამოკაწრული კონცენტრული ხაზები (ტაბ. X 707). ზოგიერთი ჯამის ზედაპირი გულდასმითაა ნაპრიალები. სამივე ტიპის ჯამები გვიანდელი შუასაუკუნეების ნაწარმია.

IV ტიპში ერთიანდება განათხარ კერამიკაში მცირე რაოდენობით წარმოდგენილი ჯამები. ისინი ხასიათდება გამლილი პირით, რომელსაც გარედან შემოუყვება ამოღარული სარტყელი. წერნაქით შეღებილი და ცენტრისაკენ გადაზნექილი მხრები კალთისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი. ჯამების შიდაპირიც წერნაქითაა შეღებილი (ტაბ. X 35). გვხვდება სადა, უწერნაქო ნიმუშებიც (კვ-68-321). წერნაქიანი ჯამები მრავლადაა ცნობილი აღმ. საქართველოს გვიანდელი შუასაუკუნეების ძეგლებიდან და ვფიქრობთ, მათი კვეტერული ანალოგები XVII-XVIII სს-ით შეიძლება დათარიღდნენ.

წერნაქიანი ჯამების გარდა გვხვდება უწერნაქო, დაბალქუსლიანი, ბრტყელძირიანი ჯამები (ტაბ. X 200), რომელთა მთლიანი ფორმების წარმოდგენა ჭირს. XIV-XV სს-ში მოჭიქული ჯამების წარმოების შემცირებასთან ერთად ჩვენში ფართოდ ვრცელდება ბრტყელძირიანი მოუჭიქავი ჯამები [49, გვ. 56, 63]. კვეტერის მოუჭიქავი ბრტყელძირიანი ჯამების დასათარიღებლად მთლად მყარი საყრდენი არ მოგვეპოვება, მაგრამ სავარაუდოდ მათი თარიღი XVI-XVII სს-ით შეიძლება განისაზღვროს.

**სასმისები** თხელკედლიანია. გამომწვარია მოთეთრო-მოჩალისფროდ. მათში გამოიყოფა ორი ტიპი:

I ტიპის სასმისებისათვის დამახასიათებელია მომრგვალებული ბაკო. ოდნავ გაშლილ პირზე დამერწილი აქვთ ოვალურ-განივკვეთიანი ყური (კვ-68-728, 858, 1996). ძირები ბრტყელია, უქუსლო ან ოდნავ პროფილირებული (ტაბ. X 603, 2079). ჭურჭლის კედლები თხელია და მკვრივი. თიხა წმინდადაა განლექილი. ისინი წარმოადგენენ განვითარებული შუასაუკუნეების აღმ. საქართველოს განათხარი ძეგლებიდან კარგად ცნობილ მოთეთრო-მოჩალისფროდ გამომწვარი თხელკედლიანი სასმისების ნატეხებს. მსგავსი სასმისები აღმოჩენილია: თბილისში [11, ტაბ. XXX 219], უჯარმაში [22, ტაბ. XXX 203, 320, 498], ივრის სიონის სამაროვანზე [45, ტაბ. XXVIII 1], უფლისციხეში [32, გვ. 42, 43] და სხვ.

II ტიპს მიეკუთვნება დაბალტანიანი, ძირშეზნექილი, ბრტყელგანივკვეთიანი ყურების მქონე სასმისები. ნაპრიალები ზედაპირი შემკულია შიგნიდან დატანილი კოპებითა და კანელურებით (ტაბ. X, 603ა). ჭურჭლის კედლები თხელია და მკვრივი. თიხა წმინდადაა განლექილი. მსგავსი ფორმის სასმისები ცნობილია: რუსთავიდან [61, გვ. - 172, 173, ტაბ. IV 8], იყალთოდან [47, გვ. 85-89], უფლისციხიდან [32, გვ. 42, 43], ქვემო ქართლის კლდის ძეგლებიდან [4, ტაბ. XIII 14, 17], ჟინვალის ნაქალაქარიდან [27, გვ. 202], ჟინვალის სამაროვნიდან [77, გვ. 93] და სხვ. კვეტერის სასმისები ძირითადად XIII-XIV სს-ით შეიძლება დათარიღდეს. მოთეთრო-მოჩალისფროდ გამომწვარი თხელკედლიანი სასმისები განვითარებული შუასაუკუნეების ქართული კერამიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი, ამასთან მხატვრული თვალსაზრისით უაღრესად დახვეწილი სახეობაა.

**სარიტუალო** დანიშნულების კერამიკაში ერთიანდება ე. წ. «სასაკმევლეები» და თიხის დისკოები. «სასაკმევლეები» ეწოდებათ წითელკეციან, პირგაშლილ, დაბალქუსლიან მცირე ზომის ჯამებს. ისინი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. ფორმების მიხედვით მათში გამოიყოფა ორი ტიპი:

I ტიპის «სასაკმევლეები» დაბალია, ნაკლებად ჩაღრმავებული ფსკერითა და უმნიშვნელოდ პროფილირებული ძირით (ტაბ. XI 218, 336, 1994). II ტიპის სასაკმევლე შედარებით მაღალია, ფსკერი უფრო ჩაღრმავებული აქვს. ქუსლი პროფილირებულია (ტაბ. XI 627). მათგან მხოლოდ II ტიპის ნიმუშია შებოლილი. სხვებზე ცეცხლის კვალი არ შეიმჩნევა. ამდენად, მათი «სასაკმევლეებად» მიჩნევა პირობითია. მსგავსი ფორმის ჭურჭელი ცნობილია რუსთავის ნაქალაქარის XII-XIII სს-ის განათხარი მასალიდან [21, გვ. 36, ტაბ. XXXII 6]. კვეტერის «სასაკმევლეებიც» ამავე პერიოდით შეიძლება დათარიღდეს.

**სხვადასხვა სახის კერამიკული ნაწარმი.** კვეტერის კერამიკაში გვხვდება თიხის ჭურჭლის კედლებისაგან დამზადებული გახვრეტილი და გაუხვრეტავი **დისკოები** (ტაბ. XI 1079, 1799). მათ შორის მრავლადაა მოჭიქულებიც (კვ-68-196, კვ-68-1327). თიხის დისკოები დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი წინაფეოდალური ხანის ნასახლარებსა თუ სამლოცველოებზე და ხშირად გვხვდება როგორც ადრეული, ისე განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლებზეც. ეთნოგრაფიული მასალების გათვალისწინებით, თიხის დისკოები სარიტუალო ნივთებადაა მიჩნეული [3, გვ. 19, 20, 42, 43; 68, გვ. 24, 25]. არ გამორიცხავენ, რომ შუასაუკუნეებში ამგვარი ნივთები საბავშვო თამაშების რაიმე სახეობასთანაც ყოფილიყო დაკავშირებული [26, გვ. 47].

სხვადასხვა დანიშნულების კერამიკაში ერთიანდება **ჭრაქები**. ისინი დამზადებულია წითლად გამომწვარი, მსხვილმარცვლოვანი, კვარცისა და სილისმინარევიანი თიხისაგან. გვხვდება როგორც ხელით ნამერწი, ისე მორგვზე ამოყვანილი ნიმუშები. ფორმების მიხედვით მათში გამოიყოფა სამი ტიპი:

I ტიპს მიეკუთვნება ხელით ნამერწი მცირე ზომის ოთხსაპატრუქიანი, ფეხმოტეხილი ჭრაქი (ტაბ. XI 224). განვითარებული შუასაუკუნეების ოთხსაპატრუქიანი ჭრაქები ცნობილია: ქვემო ქართლიდან [4, ტაბ. VII 10; 10, გვ. 138], არე-

შის ნაქალაქარიდან [66, ტაბ. XVIII 3], უფლისციხიდან [32, გვ. 43, 44]. მსგავსი ფორმის ჭრაქი გვხვდება თბილისის კერამიკული სახელოსნოს მასალაში. მისი დანგრევის თარიღად ბოლო ხანებში XIV ს-ის მიწურულია მიჩნეული [73, გვ. 41, 47, 53, 56; 67, გვ. 56]. კვეტერის ჭრაქი შესაძლოა დათარიღდეს XIII-XIV სს-ით.

II ტიპში ერთიანდება მილიანი ჭრაქები, რომლებიც ნატეხების სახითაა შემორჩენილი. თუმცა, მათი ფორმების წარმოდგენა ძნელი არაა. ჭრაქები ვიწროყელიანია. დაბალ, განიერ ტანზე დაძერწილია საპატრუქე მილი. მუცელზე შერჩენილი აქვთ მრგვალგანივკვეთიანი ყურის კვალი. ძირები ბრტყელია, უქუსლო (ტაბ. XI 40, 160, 1931). საპატრუქე მილების ფორმის მიხედვით II ტიპის ჭრაქებში გამოიყოფა სამი ვარიანტი: II1. ჭრაქები განიერი და მოგრძო მილებით. საპატრუქე ხვრელის პირი ფართო და მომრგვალებულია (ტაბ. XI 855); II2. ჭრაქი, მოკლე ჰორიზონტულად წაკვეთილი და ბოლოში დავიწროებული საპატრუქე მილით (ტაბ. XI 1931); II3. ჭრაქი ვერტიკალურად ბოლოკვეთილი მილითა და ზემოდან მცირე ზომის საპატრუქე ნახვრეტით (ტაბ. XI 160). II ტიპის ჭრაქები ყველა მორგვზეა ამოყვანილი. ისინი რაოდენობრივად სჭარბობენ I და III ტიპის ჭრაქებს. აღმ. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ძეგლებზე მილიანი ჭრაქები უფრო VIII-IX სს-ში ჩნდება [50, გვ. 56]. IX-X სს-ით დათარიღებული მილიანი ჭრაქები ცნობილია ორენყალადან, სადაც მათი სახელოსნოცაა მიკვლეული [96, გვ. 51]. ისინი აღმოჩენილია დვინში [86, ტაბ. XXVI], ივრისპირის «ქვაბებში» [42, გვ. 161, 162], უფლისციხეში [32, ტაბ. IX 3]. განვითარებულ შუასაუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს თბილისში, ერეკლე II-ეს მოედანზე აღმოჩენილი მსგავსი ჭრაქები [11, ტაბ. 19 29]. XI-XIV სს-ის მილიანი ჭრაქები გვხვდება თბილისის კერამიკულ სახელოსნოში [20, გვ. 111]. მათ შორის ერთი მოჭიქულია [36, გვ. 64]. XIII ს-ით თარიღდება ანალოგიური ჭრაქი დმანისიდან [72, გვ. 66]. მილიანი ჭრაქებიც ცნობილია რუსთავიდან [21, ტაბ. XXXII

3], Lუჯარმიდან [22, გვ. 231, 257]. ამ ფორმის ჭრაქები გამოვლენილია თელავშიც, სადაც ერთი მოჭიქულიცაა [60, გვ. 55]. კვეტერის მილიან ჭრაქებს ყველაზე ახლო პარალელი ეძებნებათ თელავის XII-XIII სს-ით დათარიღებულ მილიან ჭრაქებთან [60, ტაბ. VI 7]. კვეტერის ჭრაქები შეიძლება დათარიღდეს XII-XIV სს-ით. მილიანი ჭრაქები არსებობას განაგრძობენ გვიანდელ შუასაუკუნეებშიც.

მილიანი ჭრაქები აღმ. საქართველოს შუასაუკუნეების ძეგლებისათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი. ჩვენში ძირითადად «ნიჟარისებრი» ჭრაქებია გავრცელებული [20, გვ. 111]. თუმცა, თელავის მასალებში სწორედ მილიანი ჭრაქები სჭარბობს [60, გვ. 55]. მსგავსი ვითარებაა კვეტერაშიც, სადაც 13 ჭრაქიდან 10 მილიანია.

III ტიპს მიეკუთვნება ხელით ნაძერწი, პირმოყრილი, ოდნავ ტანგამობერილი ბრტყელძირა ჭრაქები. ერთ მათგანზე შემორჩენილია მცირე ზომის საპატრუქე ტუჩი და მრგვალგანიკვეთიანი ყურის კვალი (ტაბ. XI 225). მეორე ჭრაქს პირზე შემოუყვება ამოღარული სარტყელი და ჩაჭდული წერტილები (ტაბ. XI 460). დაახლოებით მსგავსი მოყვანილობის ჭრაქი ცნობილია თბილისიდან [11 ტაბ. XXXVI 310]. საინტერესოა, რომ ჭრაქების ეს უმარტივესი ფორმა დიდხანს შემორჩა და ეთნოგრაფიულ ყოფაშიც დასტურდება [29, გვ. 117, სურ. 55]. კვეტერის III ტიპის ჭრაქები გვიანდელ შუასაუკუნეებს უნდა მიეკუთვნოს და შესაძლოა უფრო XVII-XVIII სს-ით დათარიღდნენ.

ხელოსნობასთან, კერძოდ, სამეთუნეო წარმოებასთან დაკავშირებულ მეტად საყურადღებო ნივთებს შეადგენს თიხის **სოლები**. ისინი მრგვალგანიკვეთიანია. დამზადებულია მსხვილმინარევიანი თიხისაგან. სოლები ნაკლებია. შემორჩენილი მაქსიმალური სიგრძეა 17,5 სმ, დიამეტრი 5,2-6,1 სმ (ტაბ. XI 205, 444, 1233). ზოგიერთ სოლზე შემორჩენილია მწვანე და სოსნისფერი ჭიქურის კვალი (ტაბ. XI 1334, 1410, 1869). თიხის სოლები მაგრდებოდა სამეთუნეო ქურის კედლებში, თანაბარი მანძილით დაშორებულ ფო-

სოლებში. მათზე ლაგდებოდა გამოსაწვავი ჭურჭელი. ზოგჯერ სოლებზე მაგრდებოდა S-ის მაგვარი თიხის «კაკვები», რომლებზეც კიდებდნენ მოსაჭიქად გამზადებულ ჭურჭელს [25, გვ. 141]. სამეთუნეო წარმოებასთან დაკავშირებული განვითარებული შუასაუკუნეების თიხის სოლები აღმოჩენილია: თბილისის კერამიკულ სახელოსნოში [16, გვ. 144], ერეკლე II-ეს მოედანზე [11, ტაბ. 37 322-324], დმანისში [71, გვ. 70], გუდარეხში, ჟინვალში [25, გვ. 139], თელავში [60, გვ. 46]. თიხის სოლები ცნობილია სომხეთისა და აზერბაიჯანის შუასაუკუნეების ძეგლებიდან [85, გვ. 287; 96, გვ. 146]. მართალია, გათხრებისას საკუთრივ სამეთუნეო სახელოსნო არ აღმოჩენილა, მაგრამ კვეტერაში თიხის სოლების, მათ შორის ჭიქურიანი ცალების გამოვლენის ფაქტი, შუასაუკუნეებში იქ მოუჭიქავი და მოჭიქული კერამიკის წარმოების უტყუარი დადასტურებაა.

**სამშენებლო კერამიკა** წარმოდგენილია კრამიტის, აგურისა და წყალსადენის მილების სახით. **კრამიტები** ორგვარია: ბრტყელი და ღარიანი. ბრტყელი კრამიტები ცოტაა აღმოჩენილი და ისიც ფრაგმენტულად. მათში გამოიყოფა ორი სახეობა:

I სახის კრამიტები ნაკლებად ტრაპეციულია, ბოლოში გარდიგარდმო «ღობით». აკეცილი გვერდები დაბალია. ზოგიერთი კრამიტის ბოლოში დამერწილია საბჯენი (ტაბ. XII 97, 1155). ბრტყელი კრამიტის ორი ნატეხი შემკულია ჯვრის რელიეფური გამოსახულებით (ტაბ. XII 574). თიხა მსხვილმინარევიანია. კეცი გადანატეხში ზოგჯერ მუქი. კრამიტები მოჭრილია ყალიბში. ყველაზე უკეთ შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით კრამიტების სიგრძე აღწევს 38 სმ. აკეცილი გვერდის სიმაღლე 2,5-3,5 სმ. კეცის სისქე მერყეობს 1-2 სმ შორის. მსგავსი ფორმის კრამიტები კარგადაა ცნობილი აღმ. საქართველოს განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლებიდან [60, გვ. 45; 79, გვ. 37]. მათ შორის მრავლადაა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით შემკული ბრტყელი კრამიტებიც [66, გვ. 98; 79, ტაბ. V]. ჯვრიან კრამიტებს

ძირითადად იყენებდნენ საკულტო ნაგებობების გადასახურად [78, გვ. 100].

II სახის კრამიტები ბრტყელი კრამიტების იშვიათი ნიმუშებია, რომლებიც განკუთვნილი უნდა ყოფილიყო სახურავის კუთხეებში დასატანებლად. ჩვეულებრივი ბრტყელი კრამიტებისაგან განსხვავებით ისინი ძალზე ვიწრო და სწორტანიანია. კრამიტების ზომებია: შემორჩენილი სიგრძე 21 სმ, სიგანე 10 სმ, აკეცილი გვერდების სიმაღლე 2 სმ, კედლის სისქე 1,5 სმ. აკეცილი გვერდები არათანაბარი სიმაღლისა და სისქისაა (ტაბ. XII 722). კრამიტები უყალიბოდაა მოჭრილი, რის გამოც ნაკეთობა საკმაოდ ულაზათოა.

კრამიტების უმრავლესობა ღარიანია. ფორმა-მოყვანილობით ისინი ოთხი სახისაა:

I. კრამიტების ვიწრო თავები მთელ სიგანეზე შემადლებულია. თავის ქვედა ნაწილზე აქვთ მოგრძო და ფართო შვერილები (ტაბ. XII 724, 1949). კრამიტები ვიწროა. განივკვეთში უახლოვდებიან ნახევარწრეს. კრამიტების სიგანე 10-12 სმ, კედლის სისქე 0,8-1 სმ. ფრაგმენტულობის გამო სიგრძის ზუსტი განსაზღვრა ჭირს. მათი სიგრძე დაახლოებით 35-40 სმ შორის უნდა მერყეობდეს. ზოგიერთ კრამიტზე შემორჩენილია კირხსნარის კვალი. ჩანს, მათი გარკვეული ნაწილი სახურავზე დუღაბით მაგრდებოდა. ანალოგიური ფორმის ცისფრად, მწვანედ და სოსნისფრად მოჭიქული კრამიტები მრავლადაა აღმოჩენილი საკუთრივ კვეტერაში.

II. ღარიანი კრამიტების ვიწრო თავზე დამერწილია ორმაგი საბჯენი (ტაბ. XII 1409). კრამიტების განიერი ბოლო საბჯენებს შუა მაგრდებოდა. კრამიტები ვიწროა. განივკვეთში უახლოვდებიან ნახევარწრეს. კრამიტების სიგანე 11-12 სმ, კედლის სისქე 1 სმ. სიგრძით ისინი დაახლოებით I სახის კრამიტების ზომის უნდა ყოფილიყვნენ. ზოგიერთ კრამიტზე შემორჩენილია კირხსნარის კვალი.

III. ღარიანი კრამიტი, რომელსაც ვიწრო თავთან აქვს მოგრძო საბჯენი (ტაბ. XII 297). კრამიტი ვიწროა, განივკვეთში უახლოვდება ნახევარწრეს. კრამიტის სიგანე 12 სმ, კედლის

სისქე 1-1,2 სმ. სიგრძით ისიც დაახლოებით I-II სახის კრამიტების ზომის უნდა ყოფილიყო. კრამიტები გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. გვხვდება ნიმუშები, რომელთა თიხა შედარებით უკეთაა გარჩეული. კეცი გადანატეხში ზოგჯერ მუქია.

IV. რელიეფური ორნამენტით შემკული ღარიანი კრამიტები განათხარ მასალაში მრავლადაა წარმოდგენილი. ვიწრო თავთან დაძვრწილი საბჯენის ფორმების მიხედვით მათში რამდენიმე ვარიანტი გამოიყოფა: IV1. კრამიტები ოთხკუთხა მოყვანილობის საბჯენით (ტაბ. XII 780); IV2. კრამიტები სამკუთხა მოყვანილობის მოკლე საბჯენით (ტაბ. XII 1937); IV3. კრამიტები სამკუთხა მოყვანილობის საბჯენით, რომელთა დაგრძელებული ბოლოები კრამიტს მთელ სიგანეზე გასდევს (ტაბ. XII 250); IV4. კრამიტები სამკუთხა მოყვანილობის საშუალო ზომის საბჯენით (ტაბ. XIII 41, 340, 1154). კრამიტები გამომწვარია წითლად, იშვიათად მოჩალისფროდ ან მონაცრისფროდ. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში ზოგჯერ მუქია. საბჯენების განსხვავებული მოყვანილობის გარდა IV სახის კრამიტების გვერდები უფრო გაშლილია. მთლიანად შემორჩენილი კრამიტების მიხედვით მათი სიგრძეა 40-45 სმ, ვიწრო თავის სიგანე - 16-17 სმ, განიერი ბოლოს სიგანე - 19-20 სმ, კედლის სისქე - 1,5-2 სმ. ყველაზე დიდი ზომისა ჩანს IV3 სახის კრამიტი, რომლის ვიწრო თავის სიგანე 22 სმ აღწევს (ტაბ. XII 250). შესაძლოა ამგვარი კრამიტები სახურავის კალთების შეერთების ადგილის გადასახურავად გამოიყენებოდა. IV სახის კრამიტები შემკულია რელიეფური ხაზებით გამოყვანილი გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით (ტაბ. XII 250; ტაბ. XIII 41, 90, 249, 251, 300, 340, 570, 742, 1154, 1415, 1416, 1935). მსგავსი ფორმა-მოყვანილობისა და შემკულობის კრამიტები თარიღდება გვიანი შუასაუკუნეებით [79, გვ. 45], მაგრამ ჩანს, ამგვარი კრამიტები ფართოდ ყოფილა გავრცელებული განვითარებულ შუასაუკუნეებშიც. ამ პერიოდითაა დათარიღებული ჟინვალში [27, გვ. 36], ერწოს ველზე [75,



გვ. 29], უჯარმაში [22, ტაბ. XII 16, 108], თელავსა [60, გვ. 45] და არემის ნაქალაქარზე [66, გვ. 98, 116] აღმოჩენილი ანალოგიური კრამიტები. ამგვარი კრამიტები განსაკუთრებით მრავლად აღმოჩნდა ჟალეთის მთის გათხრებისას და ისინი დათარიღდა XII-XIII სს-ით [76, გვ. 148]. ვფიქრობთ, კვეტერის ღარიანი კრამიტების ეს სახეობა პარალელური მასალების მიხედვით XII-XIV სს-ს შეიძლება მიეკუთვნოს. თუმცა, არაა გამორიცხული, რომ მათი ერთი ნაწილი მოგვიანო პერიოდისაც იყოს.

**აგური** ერთი ნიმუშითაა წარმოდგენილი. აგური გამომწვარია წითლად (23X23X4სმ). თიხა მსხვილმინარევიანია. მოჭრილია ყალიბში (კვ-68-719). კვეტერაში (ისევე როგორც კახეთის სხვა ძეგლებზე) სამშენებლო კერამიკის ამ სახეობას მაინცადამაინც ფართო გამოყენება არ ჰქონია.

**წყალსადენის მილები** ერთ მხარეს დავიწროებულია. ტანზე შემოუყვებათ ამოღარული სარტყლები (ტაბ. XII 2103). მილები გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმინარევიანია. მილები ჩარხზეა ამოყვანილი. მათი შემორჩენილი სიგრძე აღწევს 30 სმ, დიამეტრი – 8,5-10,5 სმ. ზოგიერთ მათგანზე შემორჩენილია კირხსნარის კვალი. წყალსადენის საშუალებით მარაგდებოდა შიდა ციხის წყალსაცავი, რომელიც განვითარებული შუასაუკუნეების მიწურულისათვის ჩანს გაუქმებული<sup>4</sup>.

კვეტერის სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების მქონე სადა კერამიკის თიხა თითქმის ერთგვაროვანია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ განათხარი კერამიკა ძირითადად ერთ სამეთუნეო საწარმოში მზადდებოდა. ხოლო სამეთუნეო საწარმო შიდა ციხის ტერიტორიაზე რომ არსებობდა, ამას

---

<sup>4</sup> შიდა ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის უბანზე მიკვლეულ იქნა წყალსადენის მილების დულაბში მოქცეული რიგი, რომელიც განვითარებული შუასაუკუნეების ნაგებობის კარის ზღურბლზე მაღლა იყო გამართული. ნაგებობასთან შედარებით წყალსადენის ეს მონაკვეთი უფრო მოგვიანოა [44, გვ. 29]. ეტყობა, ის გვიან შუასაუკუნეებში გაუმართავთ აქ ახალი სამოსახლოს გაჩენის შემდეგ.

ადასტურებს იქ გამოვლენილი ნახევრადნამზადი და წუნდებული ნაკეთობა თუ სამეთუნეო ქურების თიხის სოლები [23, გვ. 30]. განვითარებული შუასაუკუნეების სადა კერამიკის გარკვეული ნაწილი, შესაძლოა, იქ სხვა საწარმოო ცენტრებიდანაც იყოს მოხვედრილი და ეს სავსებით რეალურია თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელი საქართველოს საშინაო და საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ფრიად მაღალ დონეს. თუმცა, მოჭიქული კერამიკისაგან განსხვავებით დღეისათვის ძნელია კვეტერის სადა კერამიკაში გამოიყოს ცალკეული ნივთები ან ნივთების ჯგუფი, რომლის მიკუთვნება სხვა საწარმოო ცენტრისადმი უეჭველი იქნებოდა.

კვეტერის სამეურნეო, ცეცხლზე სადგამი და სამშენებლო დანიშნულების კერამიკის თიხა მეტი სიმტკიცისათვის როგორც წესი მსხვილი მინარევებითაა გამჭლევებული. წვრილმარცვლოვანი და წმინდად განლექილი თიხისგანაა დამზადებული სასუფრე დანიშნულების ჭურჭელი. მოუჭიქავი კერამიკის უმრავლესობა გამომწვარია წითლად. საკმაო რაოდენობით გვხვდება ლეგა-მონაცრისფრო და მოჩალისფრო-მოთეთრო ზედაპირის მქონე ჭურჭლებიც. კვეტერის სადა კერამიკულ ნაწარმზე წარმოდგენილია აღმ. საქართველოს შუასაუკუნეების კერამიკისათვის დამახასიათებელი ორნამენტის თითქმის ყველა სახე: რელიეფური ხაზები, კოპები, შვერილები, გრეხილი ყურები, ხვეულები; ამოღარული ჯვრები, სწორი და ტალღოვანი, ხშირად კონცენტრული ხაზები, ჩაჭდეული წერტილები, ირიბი ნაჭდევები, ამოღარული თევზიფხური ორნამენტი, კანელურები, მორგვისეული ხაზები, ზედაპირის ანგობირება. კვეტერის სადა კერამიკისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია შიშველ ან ანგობირებულ ზედაპირზე წნევით დატანილი ზოლები. ძალზე იშვიათად გვხვდება წერნაქით შეღებილი ან მოხატული ჭურჭელი. ზოგჯერ ჭურჭლის შესამკობად ერთდროულად ორნამენტის რამდენიმე სახეა გამოყენებული, მაგრამ დეკორის გადაჭარბება არ შეიმჩნევა არც ერთ ჭურჭელზე, რაც

საერთოდ დამახასიათებელია აღმ. საქართველოს განვითარებული შუასაუკუნეების კერამიკისათვის. კვეტერის განხილული კერამიკა ძირითადად ექცევა XI-XIV სს-ის ფარგლებში. თუმცა, როგორც ზემოთ ვნახეთ, მათი ერთი ნაწილი განეკუთვნება გვიან შუასაუკუნეებს.

## II თავი

### მოჭიქული კერამიკა

კვეტერის განათხარ მასალაში მოჭიქული კერამიკა მრავალრიცხოვანი ნიმუშებითაა წარმოდგენილი. რაოდენობით, ფორმებითა და მოჭიქვის ხერხების მიხედვით განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია განვითარებული შუასაუკუნეების მოჭიქული კერამიკა.

მოჭიქული ჭურჭლის უმრავლესობა ჯამებია. ისინი ხასიათდება მომრგვალებული, ბრტყელი ან ქიმაწეული ბაკოთი, სწორი მხრებით, მაღალი ვიწრო ქუსლითა და კოპიანი ძირით. იშვიათად გვხვდება ჯამები დაბალი, ფართო ქუსლით. ცალკეული გამონაკლისის გარდა, ჭურჭლები იფარებოდა თეთრი ანგობით, რომელზეც ამოკაწვრით მოხატულია სხვადასხვა სახეები.

მრავალრიცხოვან მოჭიქულ ჯამებს შორის გამოირჩევა ორი ფრაგმენტი. 1. ჯამის თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე დაღვენთილია მწვანე და სოსნისფერი ნაღვენთები. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური (ტაბ. XXI 749). მსგავსი ორნამენტით შემკული ჯამები აღმოჩენილია: თბილისში, რუსთავში, დმანისში, უჯარმაში, გუდარეხში და მათ IX ს-ით ათარიღებენ. ანალოგიური ორნამენტის მქონე ჯამები ცნობილია სამარიდან [34, გვ. 17; 64, გვ. 159, 160. ლიტ. იხ. იქვე]. აღმ. საქართველოს შუასაუკუნეების ნაქალაქარებზე აღმოჩენილი ამგვარი ჭურჭლების ერთი მცირე ნაწილი

წინააზიურ იმპორტადაა მიჩნეული. თუმცა, ჩვენში ამგვარი ჯამების მინაბამებსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში საკმაოდ წარმატებით ამზადებდნენ [64, გვ. 161]. ვფიქრობთ, ჯამი უფრო XI-XII სს-ით შეიძლება დათარიღდეს. ვინაიდან, ის სწორედ ამ პერიოდის მოჭიქულ კერამიკასთან ერთადაა აღმოჩენილი. ჯამი კეცითა და ჭიქურის ელფერით იმდენად განსხვავებულია კვეტერის და საერთოდ, ქართული მოჭიქული ჭურჭლებისაგან, რომ უეჭველია, ის აქ უცხო საწარმოო ცენტრიდან უნდა იყოს მოხვედრილი. პირობითად ის სამართულ ნაწარმად შეიძლება მივიჩნიოთ.

2. ჯამის შიშველ კეცზე ფუნჯის სამუალებით გამოყვანილია ანგობის თეთრი ზოლები. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური (ტაბ. XXI 24(5182)). ანალოგიური ორნამენტით შემკული ჯამები ცნობილია: რუსთავიდან, დმანისიდან, თელავიდან, უფლისციხიდან, აზერბაიჯანის განათხარი ძეგლებიდან [34, გვ. 14; 71, ტაბ. XXXIII 1, 2; 60, გვ. 31; 32, ტაბ. XIV, 8-10; 96, გვ. 431]. ამგვარი ხერხით მოჭიქული ჯამებს IX ს-ით ათარიღებენ [34, გვ. 14]. ზემოთ აღწერილი ჯამის მსგავსად აღნიშნული ჭურჭელიც მოგვიანო ჩანს. ამასთან, ისიც თიხის სტრუქტურით, გამოწვის ხარისხით, კეცის ფერით და სხვ. სრულიად განსხვავებულია ადგილობრივი, ქართული კერამიკული ნაწარმისაგან და ვფიქრობთ, იმპორტული ნიმუშია.

#### **ამოკაწვრით მოხატული ჯამები**

1. ამოკაწვრით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამები 4 ერთეულია. ჯამის ანგობირებულ შიდაპირზე გამოსახულია ნაკაწრი ტალღოვანი და სწორი ხაზები (ტაბ. XXI 1242). მეორე ჯამზე ნაკაწრი ორნამენტის ხასიათი გაურკვეველია. ამგვარი ორნამენტით შემკული ჯამები აღმოჩენილია: თბილისში, რუსთავში, დმანისში, უჯარმაში, გუდარეხში, თელავში, ჟინვალში, უფლისციხეში და არაერთ სხვა ძეგლზე [34, გვ. 24; 60, ტაბ. VIII; 26, გვ. 7; 32, გვ. 92]. საინტერესოა კვეტერაში გამოვლენილი მწვანედ მოჭიქული ორი ჯამის წუნდებული

ნიმუში. ერთი მათგანი გამოწვისას მიღებული ზედმეტი სიმხურვალის გამო ფერშეცვლილია (№369). მეორე დეფორმირებულია და გარეპირზე შემორჩენილი აქვს დადუღებული ჭიქური (№957). ჩანს, ამოკაწვრით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამები კვეტერის სამეთუნეო სახელოსნოში უმზადდებიათ.

2. ამოკაწვრით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამები 10 ერთეულია. ორი მათგანისაგან შემდგომში დაუმზადდებიათ დისკო (ტაბ. XXI 411, 450). ჯამების თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწვრულია ხვიები და ხაზები, მოჭიქულია ცისფრად (ტაბ. XXI, 18, 296). ანალოგიური ჯამები აღმოჩენილია: თბილისში, რუსთავში, დმანისში, უჯარმაში, გუდარეხში, თელავში, ჟინვალში და სხვ. [34, გვ. 25; 60, ტაბ. VIII; 26, გვ. 7].

3. გამოკაწვრით მოხატული და სოსნისფრად მოჭიქული ჯამები 2 ერთეულია. თეთრად ანგობირებული შიდაპირი მოხატულია ამოკაწვრული ხაზებით და მოჭიქულია სოსნისფრად (ტაბ. XXI 1663). მსგავსი ჯამები ცნობილია: თბილისიდან, რუსთავიდან, დმანისიდან, უჯარმიდან, გუდარეხიდან, თელავიდან, ჟინვალიდან, უფლისციხიდან [34, გვ. 25; 60, ტაბ. VIII; 26, გვ. 9; 32, ტაბ. XIV 23]. ამ სახის მოჭიქული ჭურჭელი კვეტერაში ფართოდ არ ყოფილა გავრცელებული. ჩამოთვლილი სამივე ჯგუფის მოჭიქული ჯამები სპეციალურ ლიტერატურაში XI-XII სს-ით თარიღდება [34, გვ. 24, 25]. შესაძლოა ისინი მართლაც გაჩნდნენ ამ პერიოდში, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარად შემკული ჯამები შემდგომ ხანებშიც, კერძოდ გვიან შუასაუკუნეებშიც მრავლად უმზადდებიათ.

### **მცენარეული ორნამენტით შემკული ჯამები**

1. რტო-ყლორტებით შემკული ჯამები 37 ერთეულია. რტო-ყლორტოვანი ორნამენტი უმეტესად მწვანე ფერისაა, მაგრამ გვხვდება მწვანე, ყვითელ და სოსნისფერ ფონზე გამოყვანილი ანგობის თეთრი ფერის რტო-ყლორტებიც (ტაბ. XXI 264, 1476,

1930). ორნამენტი გახალისებულია სოსნისფერი წერტილებით. კვეტერაში აღმოჩნდა ჯამის ნატეხი, რომლის ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრული რტო-ყლორტები მოუჭიქავია (ტაბ. XVII, 849). ის ნახევრადნამზადია და გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ რტო-ყლორტებით შემკული ჯამები ადგილობრივ სამეთუნეო სახელოსნოში უმზადდებიათ.

2. სტილიზებული მცენარეული ორნამენტით შემკული ჯამები 36 ერთეულია. ჯამების ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია სხვადასხვა სახისა და მოყვანილობის სტილიზებული მცენარეული ორნამენტი, რომელიც მწვანე, ყვითელი ან თეთრი ფერისაა (ტაბ. XXII 1011, 1431). ორნამენტი ყოველთვის გახალისებულია სოსნისფერი წერტილებით. მათგან აღსანიშნავია თეთრი ფერის ანგობის წნული ორნამენტით შემკული ჯამი, რომელსაც მხარზე შემორჩენილი აქვს მრგვალგანიკვეთიანი ორმაგი ყურის კვალი (ტაბ. XXII 2091). ორნამენტის მოხაზულობით, ჭიქურის ელფერით, თიხის სტრუქტურით, გამოწვის ხერხითა და ფორმების მიხედვით, ამ ჯგუფის ჭურჭელში ცალკე გამოიყოფა რამდენიმე ნატეხი (ტაბ. XXII 402, 445), რომლებიც აშკარად სხვა სამეთუნეო სახელოსნოშია დამზადებული, მაგრამ რომელში, ამის გარკვევა ჯერჯერობით ძნელია.

რტო-ყლორტებით შემკული ჯამები მრავლადაა აღმოჩენილი თბილისში, რუსთავში, დმანისში, უჯარმაში, გუდარეხში, თელავში, ჟინვალში და სხვ. [26, გვ. 31; 34, გვ. 49; 60, ტაბ. XII]. ისინი ყველგან ძირითადად XII-XIII სს-ით თარიღდება. თბილისის კერამიკულ სახელოსნოდან ამგვარი ჯამები არაერთია ცნობილი და მათ XII-XIII სს-ით ათარიღებდნენ [34, გვ. 49]. თუმცა ამ თარიღის საფუძვლიანი კორექტირების შემდეგ [67, გვ. 51-53; 73, გვ. 38-56], ამგვარი ჯამები უფრო XIII-XIV სს-ის ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ.

### გეომეტრიული ორნამენტით შემკული ჯამები

1. ფერადი სამკუთხედებით შემკული ჯამები 3 ერთეულია. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრული სამკუთხედები შევსებულია მწვანე და ყვითელი საღებავით. თეთრი ფერის ანგობით შესრულებულ სამკუთხედებზე გამოყვანილია სოსნისფერი წერტილები (ტაბ. XXII 906). XII-XIII სს-ით დათარიღებული ფერადი სამკუთხედებით შემკული ჯამები ცნობილია: თბილისიდან, რუსთავიდან, დმანისიდან, ჟინვალისა და სხვ. [34, გვ. 45; 26, გვ. 27].

2. ფერადი ოთხკუთხედებით შემკული ჯამები 19 ერთეულია. ჯამების ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე, ყვითელი, სოსნისფერი და ანგობის თეთრი ფერით შესრულებული ოთხკუთხედები (ტაბ. XXII 186). სხვა ჯამზე თეთრი ოთხკუთხედები შევსებულია სოსნისფერი წერტილებით (ტაბ. XXII 912). ანალოგიური ორნამენტით შემკული ჯამები აღმოჩენილია: თბილისში, რუსთავში, უჯარმაში, გუდარეხში, გავაზში, ჟინვალში და სხვ. [34, გვ. 45; 65, ტაბ. XXVIII; 26, გვ. 28].

ჯამების ანგობირებული შიდაპირი ამოკაწრულია მწვანე და თეთრი ფერის ანგობის წყვილი ხაზებით, რომლებიც ოთხკუთხედებს ქმნიან. ოთხკუთხედები შეფერილია მწვანე და ყვითელი საღებავით. ზოგჯერ ოთხკუთხედები თეთრი ფერის ანგობისაა. ოთხკუთხედები შევსებულია ამოკაწრული წრეებითა და სოსნისფერი წერტილებით (ტაბ. XXII 359). ოთხკუთხედებში იშვიათად გამოსახულია თეთრი ფერის ანგობის სტილიზებული მცენარეული ორნამენტი (ტაბ. XXII 1814). ჭიქურის ელფერით, შედარებით წმინდად განლექილი თიხითა და ძირ-ქუსლის მოყვანილობით ცალკე გამოიყოფა ერთი ჯამი, რომელიც კვეტერაში სხვა საწარმოო ცენტრიდან ჩანს შემოტანილი (ტაბ. XXII 1373). ანალოგიური შემკულობის ჯამები აღმოჩენილია: თბილისში, რუსთავში, გუდარეხში, გავაზში, ჟინვალში და სხვ. [34, გვ. 46; 65, ტაბ. XXVI; 26, გვ. 28].

3. ფერადი მრავალკუთხედებით შემკული ჯამები 14 ერთეულია. ჭურჭლების ანგობირებულ შიდაპირზე

ამოკაწრულია თეთრი ფერის ანგობის სამკუთხედები და მწვანე-ყვითელი საღებავით შეფერილი ექვსკუთხედები. მრავალკუთხედში ამოკაწრულია სოსნისფერი წერტილებით შემკული თეთრი წრეები (ტაბ. XXII 362). ზოგჯერ სამკუთხედები მწვანედ და ყვითლადაა შეფერილი, ექვსკუთხედები კი ანგობის თეთრი ფერისაა (ტაბ. XXII 518). გვხვდება ჯამები, რომელთა მწვანედ და ყვითლად შეფერილ ექვსკუთხედებში ამოკაწრულია თეთრი ფერის ანგობის სტილიზებული მცენარეული ორნამენტი, გახალისებული სოსნისფერი წერტილებით. ფერადი მრავალკუთხედებით შემკული მოჭიქული ჯამები ცნობილია: რუსთავიდან, დმანსიდან, გუდარეხიდან, ნადარბაზევიდან, თელავიდან, ჟინვალიდან და სხვ. ისინი ყველგან XII-XIII სს-ით თარიღდება [18, ტაბ. III; 34, გვ. 46; 60, ტაბ. X 7; 26, გვ. 28].

4. გეომეტრიული ორნამენტით შემკულ ჭურჭელში ცალკე შეიძლება გამოიყოს ჯამები (6 ერთეული), რომლებზეც ამოკაწრულია გვერდებშეზნექილი ოთხკუთხედები. ორნამენტი მეტწილად შედგენილია წყვილი ხაზებით, რომლებიც შეფერილია მწვანედ, ყვითლად ან ორივე ფერით. ოთხკუთხედების ცენტრში გამოსახულია ამოკაწრული ყვითელი ან მწვანე რგოლები, გახალისებული სოსნისფერი წერტილებით. ზოგჯერ ოთხკუთხედები წყვილი ხაზებით დაყოფილია მწვანე და ყვითელი საღებავით შეფერილ ოთხ სექტორად (ტაბ. XXII 1817). ამგვარი ორნამენტით შემკული ჯამები ცნობილია თელავიდან, ჟინვალიდან [60, ტაბ. X 1; 26, გვ. 29].

5. ფერადი სხივებით შემკული ჯამები 11 ერთეულია. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია ჯამის ცენტრიდან გამომავალი მწვანე და ყვითელი სხივები, რომელთა შორის სოსნისფერი ზოლებია გამოყვანილი (ტაბ. XXII 974). ორნამენტს კალთის დასაწყისთანაც სოსნისფერი ზოლი შემოუყვება. ზოგჯერ ჯამზე ამოკაწრული სხივები მწვანეა. მათ შორის კი ყვითელი ზოლებია წარმოდგენილი (ტაბ. XXII 232). გვხვდება ჯამები, რომელთა ყვითლად და მწვანედ



შეფერილი სხივების ერთი გვერდი სწორხაზოვანია, მეორე – ტალღოვანი. თავისუფალი არე შევსებულია სოსნისფერი ზოლებითა და წერტილებით (ტაბ. XXII 986). XII-XIII სს-ით დათარიღებული, სხივებით შემკული ჯამები აღმოჩენილია: თბილისში, კასპში, რუსთავში, ჟინვალში და სხვ. [71, ტაბ. LV 1; 36, ტაბ. XXXVIII; 21, ტაბ. VIII; 26, გვ. 14].

#### **ჯვრის გამოსახულებით შემკული ჯამები**

1. ჯვრისებური ორნამენტით შემკული ჯამები 7 ერთეულია. ჭურჭლების ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრული ჯვრის გამოსახულებები შეფერილია ყვითელი, ზოგჯერ მწვანე საღებავით (№№1166, 1243). ხშირად ჯვრები გამოყვანილია ამოკაწრული ყვითელი და მწვანე ხაზებით. მკლავებში ჩახატულია მწვანე ან სოსნისფერი სამკუთხედები (ტაბ. XVI 1337, 2006). მკლავების კონტურები გამოსახულია ამოკაწრული სოსნისფერი ხაზებითაც. მკლავები შევსებულია მცენარეული ორნამენტით. თავისუფალი არე მწვანე და ყვითელი რგოლებითაა მოხატული (№652). ჯვრის გამოსახულებით შემკული ჯამები ფართოდაა გავრცელებული განვითარებული შუასაუკუნეების აღმ. საქართველოში. ისინი აღმოჩენილია: თბილისში, დმანისში, უჯარმაში, თელავში, გავაზში, ჟინვალში და ყველგან XII-XIII სს-ით თარიღდება [34, გვ. 35; 71, ტაბ. XXXVII; 21, ტაბ. XXXVI 115; 60, ტაბ. X 4; 65, ტაბ. XVIII 1, 2; 26, გვ. 13].

#### **ფრინველის გამოსახულებით შემკული ჯამები**

მოჭიქული კერამიკის საინტერესო ჯგუფს შეადგენს ფრინველის გამოსახულებიანი ჯამები. თითქმის ყველა ჭურჭელი სასახლის გათხრებისას გამოვლინდა.

1. ჯამების (28 ერთეული) ანგობირებულ შიდაპირზე გამოსახულია მარცხნივ, იშვიათად მარჯვნივ, მიმართული ფრინველი, რომლის სხეული ყოველთვის ყვითლადაა შეფერილი. თვალი გამოსახულია ამოკაწრული წრითა და სოსნისფერი წერტილით. ყელი შემკულია თეთრ სარტყელზე

დაღვენილი სოსნისფერი წერტილებით. ფრთაზე გამოსახულია მწვანე ოვალში მოქცეული თეთრი ფერის მცენარეული ორნამენტი, რომელსაც ზოგჯერ ამოკაწრული წრეები ან მოკლე ხაზები ცვლის. ფრთის ბოლოს დაუყვება ამოკაწრული გრძივი ხაზები. ორად გაყოფილი კუდი შევსებულია მწვანე ან ყვითელი საღებავით (ტაბ. XVI 1274). ფრინველის ბარკლები მწვანეა, სადა. იშვიათად მოხატულია ნაკაწრი ხაზებით. დაგრძელებული წვრილი ფეხები ყვითელია. ჯამის თავისუფალი არე შევსებულია მწვანე რტო-ყლორტებითა და სოსნისფერი წერტილებით. გამოსახულება შემოსაზღვრულია ამოკაწრული ხაზებითა და მწვანე ან სოსნისფერი ზოლებით (ტაბ. XVI 962, 1657, 1741, 1791, 1992, 2009). ჭურჭლებს გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური.

მიუხედავად გარკვეული სქემატურობისა, ჯამებზე კარგად გაირჩევა სხვადასხვა ჯიშის ფრინველები: ბელურა, მტრედი, იხვი, შევარდენი, ყანჩა. გარეგნული მსგავსების გარდა, შესანიშნავადაა მიგნებული ფრინველის ბუნება და ხასიათი. ამაყად მდგარი მტაცებელი ფრინველები უფრო ექსპრესიულადაა გამოსახული. წყნარი და მშვიდი გამომეტყველება აქვთ მტრედებს, ბელურას, იხვს. ფრინველთა ხასიათის ასე კარგად წარმოჩენა, მეთუნე ოსტატების მაღალ პროფესიონალიზმზე მიუთითებს. ფრინველის გამოსახულებიანი ჯამები იყო შუასაუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და პოპულარული სახე. ფრინველის გამოსახულებიანი ჯამები კვეტერაშიც რომ უმზადებიათ, ამაზე მეტყველებს იქ აღმოჩენილი, ამოკაწრით მოხატული და მოუჭიქავი ჯამის ნატეხი (ტაბ. XVI 1570).

ამოკაწრით მოხატული და მრავალფრად მოჭიქული XII-XIII სს-ით დათარიღებული ფრინველის გამოსახულებიანი ჯამები აღმოჩენილია: თბილისში, რუსთავში, დმანისში, უჯარმაში, გუდარეხში, გორში, ჟინვალში, გავაზში, არეშში, თელავში, უფლისციხეში და არაერთ სხვა ძეგლზე [34, გვ. 39; 26, გვ. 15-19; 65, ტაბ. XXII 1-4; 66, სურ. 2; 60, ტაბ. XI 7; 32, გვ. 46].

შუასაუკუნეებში მოჭიქული კერამიკა, მათ შორის ფრინველის გამოსახულებიანი ჯამები ექსპორტის საგანსაც შეადგენდა. სომხეთისა და აზერბაიჯანის ძეგლებზე გამოვლენილი ზოგიერთი ჯამი უდავოდ ქართული წარმოშობისაა [34, გვ. 75; 64 გვ. 165].

2. შედარებით მცირერიცხოვანია (9 ერთეული) ჯამები, რომელთა ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწვრით მოხატულია მარცხნივ, იშვიათად მარჯვნივ მიმართული ფრინველი (ტაბ. XVI 1477, 1884, 1974). განსხვავება პირველი ჯგუფის ფრინველის გამოსახულებიან ჯამებსა და მათ შორის ისაა, რომ უკანასკნელთა ანგობირებულ გარეპირზე ფუნჯის საშუალებით გამოყვანილია ჭურჭლის პირიდან ქუსლამდე დაშვებული სოსნისფერი წყვილი ზოლები. ჯამებს ორმხრივ გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. მათში გამოირჩევა ჯამი, მხარზე დაძერწილი ორმაგი ყურით, მოვარდისფრო ანგობითა და უფერული, კრიალა ჭიქურის უხვად გამოყენებით (ტაბ. XVI 873). ჯამი აშკარად «ამოვარდნილია» კვეტერის ფრინველის გამოსახულებიანი მოჭიქული ჯამების რიგიდან და ის იქ სხვა საწარმოო ცენტრიდან ჩანს მოხვედრილი.

განვითარებული შუასაუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკისათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი ჯამების გარედან მოჭიქვა და მათი ყურებით შემკობა. მსგავსი ჯამები მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი თელავში, გავაზში [60, ტაბ. XI 608; 65, ტაბ. XXI 3, 4], ჟინვალში (X-76-498, XVII-84-262). უჯარმაში აღმოჩენილია ორი ამგვარი ჯამი [34, ტაბ. LXII]. სხვა ძეგლებისაგან განსხვავებით, კვეტერაში წარმოდგენილია ამგვარი ჯამების (მათ შორის 4 ყურიანის) 80-ზე მეტი ნატეხი. ნატეხების გარკვეული ნაწილი შესაძლოა ერთი და იმავე ჯამის იყოს, მაგრამ კვეტერაში ასეთი ჯამების მაინც მნიშვნელოვანი რაოდენობა დასტურდება.

### ცხოველის გამოსახულებით შემკული ჯამები

ფრინველის გამოსახულებიან ჯამებთან შედარებით ცხოველის გამოსახულებიანი ჯამები ცოტაა (9 ერთეული). ერთის გარდა, ყველა გამოვლენილია სასახლის გათხრებისას.

1. ამოკაწვრით მოხატული და მრავალფრად მოჭიქული ცხოველის გამოსახულებიანი ჯამები 5 ერთეულია. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწვრით მოხატულია მარჯვნივ ან მარცხნივ მიმართული სხვადასხვა ცხოველები. ფრაგმენტულობის გამო ცხოველთა სახეობების გარკვევა ზოგჯერ შეუძლებელია. ჯამებზე შემორჩენილია ჩლიქოსანი თუ მტაცებელი ცხოველის ყვითლად შეფერილი ფეხი. თავისუფალი არე შევსებულია მწვანე რტო-ყლორტებით, ყვითელი რგოლებითა და სოსნისფერი წერტილებით. (ტაბ. XVI 1680, 1729). საინტერესოა ჯამზე ამოკაწრული, მარცხნივ მიმართული ხვადი ლომის სხეული. ცხოველის თავის ნაწილი, ფეხები და მკერდი ყვითლადაა შეფერილი. ამოკაწრული ხაზებით შემკული მწვანე ფაფარი შემოსაზღვრულია თეთრი ზოლებითა და სოსნისფერი წერტილებით. ფონი შევსებულია მწვანე რტო-ყლორტებითა და სოსნისფერი წერტილებით. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური (ტაბ. XVI 1956).

2. ამოკაწვრით მოხატული და ორმხრივ შემკული ცხოველის გამოსახულებიანი ჯამები 4 ერთეულია. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწვრით მოხატულია მარცხნივ ან მარჯვნივ მიმართული გაურკვეველი ჯიშის მოზრდილი ცხოველები. შედარებით უკეთ შემორჩენილ ნატეხზე მტაცებელი ცხოველის ყვითლად შეფერილი ფეხი და კლანჭია გამოსახული. ფონი შევსებულია მწვანე რტო-ყლორტებითა და სოსნისფერი წერტილებით (ტაბ. XVI 1612). ჯამების ანგობირებული გარეპირი შემკულია სოსნისფერი ვერტიკალური ზოლებით. ჯამებს შიდა და გარეპირზე გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. ჭურჭლებზე წარმოდგენილია როგორც მტაცებელი, ისე ჩლიქოსანი ცხოველები. ისინი მოძრაობაშია გამოსახული. ზოგიერთი ფიგურა ბოლომდე არ იკითხება, მაგრამ მაინც ჩანს, რომ გამოსახულე-

ბები დახელოვნებული ოსტატების მიერაა შესრულებული. ცხოველის გამოსახულებიანი მოჭიქული ჯამების არაერთი ნიმუშია ცნობილი: თბილისიდან, რუსთავიდან, დმანისიდან, გუდარეხიდან, სამშვილდიდან, უჯარმიდან, კასპიდან, ჟინვალისიდან, გავაზიდან, თელავიდან და სხვ. [34, გვ. 41, 42; 91, გვ. 37, 38; 26, გვ. 21; 65, ტაბ. XXII 6; 60, გვ. 60].

#### **ქალის გამოსახულებით შემკული ჯამები**

ქალის გამოსახულებით შემკული ჯამები ორი ერთეულია. ჯამის ანგობირებულ შიდაპირზე მედალიონში გამოსახულია ქალის სახე, რომელსაც გარშემო შემოუყვება ყვითელი საღებავით შევსებული სამკუთხედები და მწვანედ შეფერილი ნახევარწრეები. კალთაზე ამოკაწრულია ხვეული ორნამენტი, გახალისებული მწვანე, ყვითელი საღებავითა და სოსნისფერი წერტილებით. ბაკო მწვანედაა მოჭიქული. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური (ტაბ. XVI 228). მეორე ჯამის ანგობირებულ შიდაპირზე სოსნისფერ მედალიონში ამოკაწრულია ქალის სახე. მედალიონს შემოუყვება მწვანე და ყვითელი ზოლები. კალთაზე შემორჩენილია სოსნისფერი წერტილები. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური (ტაბ. XVI 1130). XII-XIII სს-ით დათარიღებული ქალის გამოსახულებიანი ჯამები ცნობილია: რუსთავიდან, დმანისიდან, გავაზიდან, ჟინვალისიდან [34, გვ. 43; 65, გვ. 32; 26, გვ. 23].

#### **რადიალური ხაზებით შემკული ჯამები**

რადიალური ხაზებით შემკული ჯამები 6 ერთეულია. ჭურჭლების ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია ყვითელი და მწვანე რადიალური ხაზები. თავისუფალი არე შევსებულია სოსნისფერი წერტილებით ან ზოლებით (ტაბ. XVII 1766, 1941). გადავლებული აქვთ უფერული, კრიალა ჭიქური. კვეტერაში აღმოჩნდა ამგვარი ჯამების ნახევრადნამზადი. ჭურჭლის ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია რადიალური ხაზები, რომლებიც ფერებით აღარაა შევსებული და მოუჭიქავია (ტაბ. XVII 1147). XII-XIII სს-ით დათარი-

ღებულის ამგვარი ჯამები ცნობილია: თბილისიდან, დმანისიდან, უჯარმიდან, გუდარეხიდან, ჟინვალიდან და სხვ. [34, გვ. G34; 26, გვ. 12].

### **«გ»-ს მსგავსი ორნამენტით შემკული ჯამები**

«გ»-ს მსგავსი ორნამენტით შემკული ჯამები 3 ერთეულია. ჯამების ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მსხლისებური მოყვანილობის ორნამენტი, რომელსაც ქართული მხედრული დამწერლობის «გ»-ს მსგავს ორნამენტად მიიჩნევენ [71, გვ. 65]. გამოსახულება შეფერილია ყვითელი საღებავით. თავისუფალი არე შევსებულია მწვანე ფერის სტილიზებული მცენარეული მოტივებით, რომლებიც ზოგჯერ «გ»-ს მსგავსი ორნამენტის ცენტრშიცაა გამოსახული (ტაბ. XVII 190). გადავლებული აქვთ უფერული ჭიქური. აღსანიშნავია, რომ ერთი ჯამი ნახევრადნამზადია. ანგობირებულ შიდაპირზე მხოლოდ ამოკაწრული ორნამენტია გამოსახული. რაღაც მიზეზის გამო ის ფერებით აღარ შეუმკიათ და აღარც მოუჭიქავთ (ტაბ. XVII 1148). XII-XIII სს-ით დათარიღებული ანალოგიური ორნამენტის მქონე ჯამები აღმოჩენილია: რუსთავში, დმანისში, ჟინვალში და სხვ. [34, გვ. 46; 26, გვ. 30].

### **მოხატული ჯამები**

მოჭიქული კერამიკის მოზრდილ ჯგუფს შეადგენს მოხატული ჯამები, რომლებზეც ორნამენტი გამოყვანილია არა ამოკაწრის წესით, არამედ მოხატვით. მათში გვხვდება როგორც მრავალფრად, ისე ერთფერად მოხატული ჯამები.

1. მრავალფრად მოხატული ჯამები 47 ერთეულია. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე ფუნჯის საშუალებით გამოყვანილია გეომეტრიული ან გეომეტრიულ-მცენარეული ორნამენტი (ტაბ. XXI 453, 1719, 1872, 1200). მოხატულობის დამახასიათებელი ნიშანია ორნამენტის კონტურების ყოველთვის სოსნისფერი საღებავით გამოყვანა. ამ შემთხვევაში სოსნისფერი ამოკაწრულ ხაზებს ენაცვლება. სოსნისფერი კონტურებით გამოყვანილი ორნამენტი შეფერილია მწვანე და

ყვითელი საღებავით. ბაკოს შემოუყვება მწვანე, ყვითელი ან სოსნისფერი ზოლები. ხშირად ბაკო სამივე ფერთაა შემკული. ფერთა კომბინაციაში საერთოდ არ ჩანს ცისფერი. გადავლებული აქვთ უფერული, კრიალა ჭიქური. ამ ჯგუფის ჭურჭელში გვხვდება ერთი ყურიანი ჯამიც (№1876). განათხარ მასალაში ჯამების გარდა ორი ლანგარი და ერთი თეფშია (№№462, 1293, 624). მრავალფრად მოხატული ჯამები აღმოჩენილია: რუსთავში, დმანისში, გუდარეხში, უჯარმაში, ჟინვალში და სხვ. [34, გვ. 50; 26, გვ. 33].

**2.** ერთფერად მოხატულ ჯამებზე (36 ერთეული) ორნამენტი ყოველთვის სოსნისფერი საღებავითაა გამოყვანილი. ანგობირებულ შიდაპირზე გამოსახულია წრეები, სხვადასხვა მოყვანილობის ხაზები, ვარდულები და სხვ. (ტაბ. XXI 317, 400, 488, 515, 805, 2047). გადავლებული აქვთ უფერული ჭიქური. ერთ ჯამზე შემორჩენილია მხარზე დამერწილი მრგვალგანიკვეთიანი ყურის ფრაგმენტი (№538). ანალოგიური ხერხით შემკული ჯამები ფართოდაა გავრცელებული აღმ. საქართველოში. ისინი ცნობილია: თბილისიდან, რუსთავიდან, თელავიდან, ჟინვალიდან, უფლისციხიდან და სხვ. [34, გვ. 51; 60, გვ. 63; 26, გვ. 33; 32, ტაბ. XV 13].

**3.** ფუნჯით მრავალფრად მოხატული ფრინველის გამოსახულებიანი ჯამები ორია. ჯამის ანგობირებულ შიდაპირზე შემორჩენილია მარჯვნივ მიმართული ფრინველის გამოსახულება. კონტურები შემოვლებულია სოსნისფერი ხაზებით. მკერდი, კუდის დასაწყისი და ფეხები ყვითელია. ფრთის დასაწყისი და ბოლო, აგრეთვე ბარკლები სოსნისფერი კონტურებითა და წერტილ-ხაზებითაა გამოყვანილი. ორად გაყოფილი ბოლო შეფერილია მწვანედ. პირს ქვემოთ და კალთის დასაწყისთან ჯამს შემოუყვება სოსნისფერი წერტილ-ხაზებისა და მწვანე საღებავის ზოლი. ჯამის ბრტყელი ბაკოც ასეთივე ორნამენტიტაა შემკული (ტაბ. XXI 1968(1973)). მეორე ჯამის ანგობირებულ შიდაპირზე გამოსახულია მოზრდილი მტაცებელი ფრინველის მარცხნივ მიმართული ტანი. კონტუ-

რები აქაც სოსნისფერი საღებავითაა გამოყვანილი. სხეული ყვითლადაა შეფერილი. კალთაზე შემორჩენილია სოსნისფერ წრეში მოქცეული რომბები (ტაბ. XXI 1203). ორივე ჯამს გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. ფრინველის გამოსახულებიანი მრავალფრად მოხატული ჯამები აღმოჩენილია: რუსთავში, დმანისში, გავაზში, ჟინვალში და სხვ. [34, ტაბ. XLVI 1; 71, ტაბ. XXXIV 5; 65, ტაბ. XXIII 1, 2; 26, გვ. 17;].

4. მრავალფრად მოხატული ცხოველის გამოსახულებიანი ჯამი ერთია. ჯამის ანგობირებულ შიდაპირზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული შვლის ყვითლად შეფერილი წინა კიდურები და ტანი. კონტურები სოსნისფერია (ტაბ. XXI 1168). გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. როგორც მოჭიქვის ხერხებით, ისე ნახატის შესრულების მანერითა და ფერთა შეხამებით, აგრეთვე ძირ-ქუსლის ზომითა და მოყვანილობით, იგი ფუნჯით მოხატულ ფრინველის გამოსახულებიან ჯამებს ემსგავსება და ისინი სულაც ერთ სახელოსნოში შეიძლება იყოს დამზადებული.

ფუნჯით მოხატული ჯამები არაერთ ძეგლზეა გამოვლენილი და ისინი XII-XIII სს-ით თარიღდება [34, გვ. 50]. სხვა მოსაზრების მიხედვით, საერთოდ, ფუნჯით მოხატული ჯამები უფრო XIII ს-ის მეორე ნახევრიდან მზადდება [60, გვ. 64].

კვეტერის XII-XIII სს-ის მოჭიქული ჯამების რამდენიმე ნიმუშის ქუსლი ან კალთის გარე ნაწილი შემკულია ამოკაწრული ნიშნებით, რომელთაგან არც ერთი არ იმეორებს ერთმანეთს (ტაბ. XVII 1-5). ზოგიერთ ჯამზე ნიშანი ამოკაწრულია გამოწვის შემდეგ და საფიქრებელია, რომ ის ჭურჭლის მფლობელის ნიშანს წარმოადგენდა. რაც შეეხება ისეთ ნიშნებს, რომლებიც გამოწვამდეა აღბეჭდილი, ხელოსნისა თუ სახელოსნოს ნიშანი შეიძლება იყოს. საერთოდ, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბიზანტიის, ირანისა თუ შუა აზიის მოჭიქულ ჭურჭელზე ხელოსნის ნიშნები ხშირადაა გამოსახული. საქართველოში ამგვარი ჭურჭელი შედარებით იშვიათად გვხვდება [34, გვ. 72].



XII-XIII სს საქართველოში მოჭიქული კერამიკის წარმოების აღმავლობის ხანაა. იმ პერიოდში დიდი რაოდენობით მზადდებოდა მრავალფრად მოჭიქული ჭურჭელი, რომლის შესამკობად გამოიყენებოდა მწვანე, ყვითელი, სოსნისფერი და ანგობის თეთრი ფერის კომბინაცია. მრავალფეროვანია ორნამენტის სახეები. ჯამებზე გვხვდება გეომეტრიული, მცენარეულ-გეომეტრიული ორნამენტი, ფრინველების, ცხოველებისა და ადამიანის გამოსახულებები. იმ დროისათვის მოჭიქული ჭურჭელი მრავლად გაჰქონდათ საქართველოს ფარგლებს გარეთაც [34, გვ. 33, 76]. ფიქრობენ, რომ XIII ს-ის პირველი ნახევრის შემდგომ, საქართველოში მოჭიქული კერამიკის წარმოება განიცდის დეგრადაციას, რაც გაპირობებული იყო მონღოლთა შემოსევებითა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით [34, გვ. 78]. ეს ვითარება თითქოს აისახა კიდევ მოჭიქულ ჭურჭელზე, რომელიც უკვე შედარებით მცირე რაოდენობით იწარმოებოდა. მაღალი ტექნიკითა და დახვეწილი გემოვნებით დამზადებულ მოჭიქულ ჭურჭელს ენაცვლება კერამიკა, რომელზეც მდარე ხარისხის ჭიქური უკვე ძუნწადაა გამოყენებული. მარტივი და ერთფეროვანია როგორც ორნამენტული მოტივები, ისე მოჭიქვის ხერხები და სხვ.

\* \* \*

მოჭიქული კერამიკის მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს ჯამები, რომელთაც ლიტერატურაში ზოგჯერ მოჭიქული კერამიკის იმიტაციას უწოდებენ და XIII ს-ის მეორე ნახევრითა და XIV ს-ით ათარიღებენ. ამ ჯგუფის კერამიკის მთავარ განმსაზღვრელ თავისებურებას შეადგენს ჭიქურის მომჭირნობით გამოყენება [65, გვ. 28]. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა ჭურჭლების უმრავლესობას არა აქვს გადავლებული უფერული, კრიალა ჭიქური, რის გამოც ჯამებს დაკარგული აქვს ის მხატვრული ეფექტი, რითაც ასე გამოირჩეოდა XII-XIII სს-ის მოჭიქული ჭურჭელი. ამის გამო მოგვიანო ხანის ჯამები

ერთი შეხედვით ნახევრადნამზადებისა თუ წუნდებული კერამიკის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებენ, თუმცა ისინი სავსებით დასრულებული, ყოველდღიურ ყოფაში მოსახმარი ჭურჭლებია. განსხვავება წინამორბედ და შემდგომი პერიოდის მოჭიქულ კერამიკაში, შედეგია დეგარადაციის იმ პროცესისა, რომელიც ჩვენში XIII ს-ის მეორე ნახევრიდან დაიწყო ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო [65, გვ. 29]. XIII ს-ის 30-ანი წლებიდან მოყოლებული, მონღოლთა შემოსევებს ხელოსნობის არაერთი ცენტრი შეეწირა მთელს ამიერკავკასიაში და მათ შორის რა თქმა უნდა აღმ. საქართველოშიც. ეკონომიკური კრიზისის შედეგად გამოწვეულმა სირთულეებმა, საჭიქურე ნედლეულის შემცირებამ თუ გაძვირებამ, აიძულა მეთუნეები ჭურჭლების შესამკობად ჭიქურის მინიმალური ოდენობა გამოეყენებინათ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მონღოლთა შემოსევების შედეგად აღმ. საქართველოს ქალაქებში ყველგან ერთდროულად, გარკვეული დროით წყდება ხელოსნობის ამ დარგის განვითარება [34, გვ. 79].

ვფიქრობთ, მონღოლთა შემოსევებმა და მათმა მძიმე ეკონომიკურმა პოლიტიკამ მართლაც დროებით შეაფერხა თუ შეწყვიტა მოჭიქული კერამიკის წარმოება აღმ. საქართველოში, მაგრამ ეტყობა ამგვარი ვითარება მაინცდამაინც დიდხანს არ გაგრძელებულა და ჩანს, მოჭიქული კერამიკის დამზადება XIII ს-ის მეორე ნახევარშივე განახლებულა, თუმცა, უწინდელი მასშტაბებისათვის ვეღარ მიულწევია. მიუხედავად გაკვეული განსხვავებისა, ე. წ. მოჭიქული კერამიკის იმიტაციები ფორმებით, ორნამენტის ხასიათით, სტილითა თუ თემატიკით მაინც ძირითადად XII-XIII სს-ით დათარიღებულ ჯამებს იმეორებენ, რაც შეუძლებელი იქნებოდა მოჭიქული კერამიკის წარმოებაში დიდი ხნის წყვეტილის არსებობის პირობებში.

აკად. ლ. ჭილაშვილი მოჭიქული ჭურჭლების იმიტაციის წარმოებას მოჭიქული კერამიკის განვითარების ახალ ეტაპად განიხილავდა და ამ ეტაპის თარიღად XIII ს-ის მეორე ნახე-

ვარი - XIV ს მიაჩნდა [65, გვ. 28]. მართალია, მხატვრული ღირსებით ისინი ჩამოუვარდებიან წინა პერიოდის მოჭიქულ კერამიკას, მაგრამ ასე თუ ისე მაინც მათ უშუალო გაგრძელებას წარმოადგენენ და ფრიად მნიშვნელოვანი არიან XIII ს-ის მეორე ნახევარში და XIV ს-ში აღმ. საქართველოს მოჭიქული კერამიკის წარმოების შესწავლის თვალსაზრისით.<sup>5</sup>

ამ პერიოდის კვეტერის მოჭიქული კერამიკა უპირატესად ჯამებია და არც თუ მცირერიცხოვანი. წინა ხანების მოჭიქულ ქურქელთან შედარებით ორნამენტის მრავალფეროვნება გარკვეულად შეზღუდულია.

### ამოკაწვრით მოხატული ჯამები

1. ამოკაწვრით მოხატული და ფერადი სამკუთხედებით შემკული ჯამები 8 ერთეულია. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწვრულია მწვანე და ყვითელი საღებავით შევსებული სამკუთხედები. საღებავით შეუვსებელი ნაწილები თეთრ სამკუთხედებს ქმნიან (ტაბ. XVII 433, 2095). ჯამებს არა აქვთ გადავლებული უფერული, კრიალა ჭიქური, რის გამოც

---

<sup>5</sup> მოჭიქული კერამიკის «იმიტაციების» ცალკე ქრონოლოგიურ ჯგუფად და მათი როგორც მოჭიქული კერამიკის განვითარების ახალი ეტაპის მანიშნებლად მიჩნევა თავისთავად საინტერესოა. თუმცა, ამ შემთხვევაში ერთი საკითხია გასარკვევი. თბილისის კერამიკული სახელოსნოს დანგრევის თარიღის თითქმის 170 წლით გაახალგაზრდავების შემდეგ [67, გვ. 51-53; 73, გვ. 38-56], ბუნებრივია, ისევ თბილისის კერამიკული სახელოსნოს მასალებიდან გამომდინარე, უნდა ვისაუბროთ XIII-XIV სს-ის საქართველოში მოჭიქული კერამიკის მაღალმხატვრული ნიმუშების მასიური წარმოების შესახებ და არა მოჭიქული კერამიკის წარმოების დეგრადაციაზე და მოჭიქული კერამიკის «იმიტაციაზე.» ასეთ შემთხვევაში მოჭიქული კერამიკის «იმიტაცია» ან XIII-XIV სს-ის პერიფერიულ, დაბალხარისხოვან ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ (თუმცა შეიძლება ითქვას, რომ დედაქალაქის კერამიკულ წარმოებას მხატვრობის თვალსაზრისით ბევრად არ ჩამოუვარდებოდა ქვეყნის სხვა კუთხეებში დამზადებული თანადროული კერამიკა), ან მოჭიქული კერამიკის «იმიტაციები» XIII-XIV სს-ზე კიდევ უფრო მოგვიანო ხანის ნაწარმია. ამ საკითხს მომავალში უთუოდ სჭირდება საკმაოდ ღრმა და საფუძვლიანი კვლევა.

შიდაპირი ხაოიანია. მსგავსი ორნამენტით შემკული XII-XIII სს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული უფერული ჭიქურით დაფარული ჯამები ცნობილია: თბილისიდან, რუსთავიდან, დმანისიდან. ისინი მოჭიქული კერამიკის მაღალმხატვრულ ნიმუშებს წარმოადგენენ [34, გვ. 45]. მოჭიქვის მდარე ხარისხით კვეტერული ჯამები მოგვიანო ხანას განეკუთვნება და ისინი XIII ს-ის მეორე ნახევრითა და XIV ს-ით შეიძლება დათარიღდნენ. კვეტერულის ანალოგიური ჯამები აღმოჩენილია არაგვის ხეობის განათხარ ძეგლებზეც (X-75-26, XVII-80-222, XVII-84-16).

**2.** ჯვრისებური ორნამენტით შემკული ჯამები 4 ერთეულია. ჯამის ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია ყვითელი საღებავით შევსებული ჯვარი. სექტორებზე გამოსახულია მწვანე სამკუთხედები (ტაბ. XVII 1306). მეორე ჯამის შიდაპირზე ამოკაწრული წყვილი ხაზით გამოყვანილია ჯვარი. წყვილ ხაზებს შორის სივრცე შევსებულია მწვანე საღებავით. მესამე ჯამის ნატეხზე ჯვრის მკლავები შევსებულია მუქი და ღია მწვანე საღებავით (№2080). ჯამებზე არაა გადავლებული უფერული კრიალა ჭიქური. XII-XIII სს-ის პირველი ნახევრის მოჭიქულ ჭურჭელზე ჯვრის გამოსახულება ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ორნამენტი იყო [34, გვ. 34]. შემკულობის ეს სახე როგორც ვხედავთ, კვეტერის მოგვიანო ხანის ჯამებზეც გვხვდება.

**3.** ფრინველის გამოსახულებით შემკული ჯამები 9 ერთეულია. ჯამების ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მარცხნივ მიმართული ფრინველი. მხოლოდ ორი მათგანია გამოსახული პროფილში მარჯვენა მხრიდან. ფეხები და კლანჭები გადმოცემულია ამოკაწრული ხაზებითა და ყვითელი ჭიქურით. ბარკლები შევსებულია მწვანე ჭიქურით. მკერდი, კისერი და ნისკარტი ყოველთვის ყვითელია. თავის მოხაზულობა აღარაა შემორჩენილი. ნისკარტისა და სხვა დეტალების მიხედვით ისინი მტრედებს მოგვაგონებენ. ფრთა მწვანე საღებავითაა შევსებული. ფრინველის ორად გაყოფილ

კუდზე მწვანე ან ყვითელი საღებავია წარმოდგენილი. ჯამის თავისუფალი არე შევსებულია ამოკაწრული ხაზებით შედგენილი მწვანე რტო-ყლორტოვანი ორნამენტითა და ხვიებით. ნახატი შემოსაზღვრულია კალთის დასაწყისთან ამოკაწრული წრით. ჭურჭლებს აქვთ ბრტყელი ან ქიმაწეული, ამოკაწრული ხაზებით, მწვანე და ყვითელი საღებავით შემკული ბაკო (ტაბ. XVII 823, 1816, 2052).

ჭურჭლებს არა აქვთ გადავლებული უფერული, კრიალა ჭიქური და თითქოს ნახევრადნამზადების შთაბეჭდილებას ტოვებენ, მაგრამ როგორც ზემოთ მივუთითეთ, ამგვარი ხერხით მოჭიქული, დაუმთავრებელი იერის მქონე თიხის ნაწარმი მოჭიქული კერამიკის წარმოების ახალი ეტაპის დამახასიათებელი ნიმუშებია [65, გვ. 28]. მსგავსი ხერხით მოჭიქული XIII ს-ის მეორე ნახევრითა და XIV ს-ით დათარიღებული ფრინველის გამოსახულებიანი ჯამები ცნობილია არემის ნაქალაქარიდან [66, სურ. 5, 6]. ანალოგიური ჯამები საკმაო რაოდენობითაა გამოვლენილი ჟინვალის ნაქალაქარის გათხრებისას (XVII-76-87, 148, 149, 323, 414; XVII-80, 171, 193, 228; XVII-82-172). XIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIV ს-ეს განეკუთვნება გავაზში აღმოჩენილი ჯამი [65, გვ. 28]. პარალელური მასალების მიხედვით, კვეტერის ფრინველის გამოსახულებიანი მოგვიანო ჯამებიც ამავე ხანებით შეიძლება დავათარილოთ.

ფრინველის გამოსახულებიანი რტო-ყლორტებითა და სოსნისფერი წერტილებით შემკული ჯამები ძალზე დამახასიათებელია განვითარებული შუასაუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკისათვის. რტო-ყლორტოვანი ორნამენტიც ფართოდაა წარმოდგენილი XII-XIII სს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ ჯამებზე [34, გვ. 34, 35, 39]. შემდგომში, ე. ი. XIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIV ს-ში რტო-ყლორტოვანი ორნამენტი მხოლოდ ფრინველის გამოსახულებიან ჯამებზე შემორჩა. ასეთი ვითარებაა კვეტერის განათხარი მასალების მიხედვით და თითქოს იგივე სურათი შეიმჩნევა სხვა ძეგლებზეც (ჟინვალი, გავაზი, არემი).

### სხვადასხვა სახის მოჭიქული კერამიკა

სხვადასხვა სახის მოჭიქულ კერამიკაში ყველაზე მრავალრიცხოვანია სამარილეები. მათგან 67 მწვანედ, 1 ცისფრად, 3 მრავალფერადაა მოჭიქული.

1. ანგობირებულ შიდაპირზე ცისფრად მოჭიქული სამარილე ძირის პატარა ნატეხითაა შემორჩენილი (№2125). მწვანედ მოჭიქული სამარილეები მრავალრიცხოვანია, მაგრამ ფორმათა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევიან (ტაბ. XVII 195, 838, 1834).

რამდენიმე სამარილისგან გახვრეტილი დისკოები დაუმზადებიათ. ერთ-ერთი სამარილის ძირზე გამოწვამდე ამოუკაწრავთ მკლავებგახსნილი ჯვარი (ტაბ. XVII 953). აღმ. საქართველოს განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლებზე აღმოჩენილი სამარილეები, რომელთა შორის მწვანედ მოჭიქულები ჭარბობს, ფორმა-მოყვანილობით ერთგვაროვანია და ამასთან ისეთი დიდი რაოდენობით, როგორც ჩვენში, ისინი არსად გვხვდება [34, გვ. 58]. აღსანიშნავია, რომ მოჭიქული სამარილეები დიდხანს ინარჩუნებენ ფორმათა მდგრადობას. ანალოგიური ფორმის სამარილეები გვიანდელი შუასაუკუნეების ძეგლებზეც გვხვდება.<sup>6</sup>

მრავალფერად მოჭიქული სამარილეები სამია. ორი მათგანი ფორმა-მოყვანილობით არ განსხვავდება მწვანედ მოჭიქული სამარილეებისაგან. პირი შემკულია ნაკაწრი ხაზებით. სოსნისფერი ჭიქუროვანი საღებავის ფონზე გამოყვანილია თეთრი ანგობის წრეები და სოსნისფერი წერტილები. პირზე შემოუყვება მწვანე ზოლი, გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური (ტაბ. XVII 907).

განსხვავებული ფორმისაა მრავალფერად მოჭიქული ორმაგკედლიანი სამეფხა სამარილე, ფართო პირით, შვეული

---

<sup>6</sup> ანალოგიური ფორმის სამარილისაგან დაშვადებული თიხის დისკო აღმოჩნდა XV-XVI სს-ით დათარიღებულ თისელის ნასოფლარის (ახალციხის რ-ნი, აწყურის მახლობლად) ერთ-ერთ თონეში [30, გვ. 497, ტაბ. XVII 14].

გვერდებითა და ბრტყელი ძირით. სამარილის შიდა და გარეპირი ანგობირებულია. პირზე ნაკაწრი ხაზებითა და რეზერვაციის (ამოფხევის) წესით გამოყვანილია ხვეული ორნამენტი. მხარზე შემოუყვება რეზერვაციის წესით შედგენილი სამკუთხედები. შემკულობაში გამოყენებულია მწვანე და სოსნისფერი საღებავის ზოლები. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური (ტაბ. XVII 811). აღწერილი სამარილები ყველა ძირითადად XIII-XIV სს-ით შეიძლება თარიღდეს.

2. სამელნეები ორია. ფორმით ისინი წააგვანან სამარილებს, მაგრამ უფრო ვიწროტანიანებია. სამელნეს აქვს გადმოკეცილი პირი, სწორი ტანი და ბრტყელი ძირი. პირი შემკულია ნაკაწრი ორნამენტით. შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ (ტაბ. XVII 584). მეორე სამელნე ცისფრადაა მოჭიქული (ტაბ. XVII 821). ანალოგიური სამელნეები ცნობილია: თბილისიდან, რუსთავიდან, დმანისიდან, ჟინვალიდან და სხვ. [34, გვ. 58; 26, გვ. 43].

3. «საყვავილეს» აქვს ვიწრო პირი, დაბალი ყელი და გამოზერული მუცელი. ქუსლი შეზნეკილია, ძირი კოპიანი. ანგობირებული ზედაპირი მოხატულია ნაკაწრი ხაზების სარტყლებით, სამკუთხედებით, წრეებითა და ხვიებით. ორნამენტი გახალისებულია მწვანე, ყვითელი და სოსნისფერი საღებავით. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური (ტაბ. XVII 1718). ჭურჭლის შიდაპირიც მწვანე და ყვითელი საღებავითაა მოჭიქული, მაგრამ უანგობოდ. მოჭიქვის ხერხების მიხედვით «საყვავილე» XIII-XIV სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

4. ნიჟარისებური მწვანედ მოჭიქული ჭრაქის მხოლოდ ერთი მცირე ნატეხია აღმოჩენილი (№2027). აღმ. საქართველოს განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლებიდან (თბილისი, რუსთავი, დმანისი, უჯარმა, გუდარეხი და სხვ.) მრავლადაა ცნობილი მოჭიქული ნიჟარისებური ჭრაქები და მათ სხვა ფორმის ჭრაქებს შორის გაბატონებული ადგილი უკავიათ. მცირე რაოდენობით გვხვდება ისინი სომხეთში. ხოლო აზერბაიჯანში საერთოდ არ ჩანან [34, გვ. 57]. თავის დროზე,

მოუჭიქავი ჭრაქების განხილვისას მივუთითეთ რომ, კვეტერისათვის ნიჟარისებური ჭრაქები არაა დამახასიათებელი. იქ ძირითადადმილიანი ჭრაქებია აღმოჩენილი [31, გვ. 99].

5. მოჭიქულ ჭურჭელს შორის ხელადის რამდენიმე ნატეხია. სამფეხა ხელადის ძირის ნატეხზე შემორჩენილია ორი ფეხი. ჭურჭელი ანგობირებული და ორმხრივ მწვანედაა მოჭიქული (ტაბ. XVII 1906). მოუჭიქავი სამფეხა ხელადები აღმოჩენილია საკუთრივ კვეტერაში [31, ტაბ. V, 1927], თბილისში, რუსეთაში, ჟინვალში [16, გვ. 153; 61, გვ. 168; 26, გვ. 22]. კვეტერის სამფეხადიერიანი ხელადა XIV ს-ით შეიძლება დავათარილოთ.

### მოჭიქული სამშენებლო კერამიკა

მოჭიქული სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია კრამიტებითა და შორენკეცებით. კრამიტები ორგვარია, ბრტყელი და ღარიანი. ბრტყელი კრამიტები რამდენიმე სახისაა.

1. კრამიტები ნაკლებად ტრაპეციულია. აქვთ აკეცილი გვერდები და თავთან გამოყვანილი მუხლები. აკეცილ გვერდებს შორის არე მოჭიქულია ცისფრად (ტაბ. III 1). განათხარ მასალაში ისინი ყველაზე მრავალრიცხოვანია.

2. კრამიტს შემორჩენილი აქვს აკეცილი გვერდი. ბოლოზე აქვს გარდიგარდმო «ღობე.» მოჭიქულია ცისფრად (ტაბ. XVIII 1938). ანალოგიური ფორმის მოუჭიქავი და მოჭიქული კრამიტები მრავლადაა ცნობილი აღმ. საქართველოს განვითარებული შუასაუკუნეების განათხარი ძეგლებიდან [79, გვ. 36, 37].

3. კრამიტებს ფართო ბოლოზე აქვთ შეუკვრელი «ღობე.» თავთან - რელიეფური სალურსმნე ნახვრეტი. მოჭიქულია ცისფრად (ტაბ. XVIII 96, 666). ამ ფორმის კრამიტები ცნობილია თბილისის კერამიკული სახელოსნოდან [79, გვ. 40, ტაბ. VIII 1], რომლის განადგურების თარიღად უკანასკნელ ხანებში მიჩნეულ იქნა არა XIII ს-ის 30-იანი წლები [37, გვ. 17], არამედ XIV ს-ის დასასრული [20, გვ. 120; 67, გვ. 53; 73, გვ. 54].



4. გვერდებაკეცილი ბრტყელი კრამიტები მოჭიქულია მწვანედ. კრამიტებს აქვთ რელიეფური სალურსმნე ნახვრეტი (ტაბ. XVIII 746, 790). ცისფრად მოჭიქულებთან შედარებით, მწვანედ მოჭიქული კრამიტები მცირერიცხოვანია. ამ ფორმის მწვანედ მოჭიქული კრამიტები ცნობილია: ჟინვალიდან, უფლისციხიდან და სხვ. [26, გვ. 44; 32, გვ. 52].

5. კრამიტები მოკლეა, ტრაპეციისებური. ფართო ბოლოზე ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად დაძვრწილი აქვთ ორ-ორი ცისფრად მოჭიქული კბილანისებური ან ნახევარწრიული შვერილები (ტაბ. XVIII 159). კრამიტების დანარჩენი ნაწილი მოუჭიქავია. ამგვარი კრამიტები უნდა გამოეყენებინათ სახურავის ბოლო რიგზე, შვერილებით ქვემოთ. ვერტიკალური შვერილები აკავებდა კრამიტების ზედა რიგს. შვერილებს შორის არსებულ ჭრილში გადიოდა წვიმის წყალი. ჰორიზონტული შვერილები კი ქმნიდა სახურავის საკმაოდ ლამაზ და შთამბეჭდავ დაბოლოებას. ამ ფორმის მოჭიქული კრამიტები აღმოჩენილია თბილისის კერამიკულ სახელოსნოში. კვეტერული ნიმუშებისაგან განსხვავებით, მათ აკეცილი გვერდები, ვიწრო თავთან კი რელიეფური სალურსმნე ნახვრეტი აქვთ [79, გვ. 41, ტაბ. VIII 2].

ღარიანი კრამიტები რამდენიმე სახისაა:

1. კრამიტის ვიწრო თავი მთელ სიგრძეზე შემადლებულია. თავთან აქვთ ფართო და მოგრძო შვერილი. მოჭიქულია ცისფრად (ტაბ. XVIII 885, 1938).

2. კრამიტები ფორმით ზემოთ აღწერილების მსგავსია, მაგრამ მათგან განსხვავებით აქვთ სალურსმნე ნახვრეტები. კრამიტებიდან ერთი სოსნისფრად (ტაბ. XVIII 724), დანარჩენები კი მწვანედაა მოჭიქული. მსგავსი ფორმის მოუჭიქავი კრამიტები მრავლადაა აღმოჩენილი კვეტერაში. აღწერილი კრამიტები XII-XIII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

3. კრამიტებს ფართო ბოლოზე შემოუყვება რელიეფური სარტყლები. გვხვდება როგორც ცისფრად (ტაბ. XVIII 243), ისე მწვანედ მოჭიქული ნიმუშები (ტაბ. XVIII 607).

4. ცისფრად მოჭიქული ღარიანი კრამიტები ფორმით იმეორებენ აღწერილ კრამიტებს, იმ განსხვავებით, რომ უფრო ვიწროებია. ზურგზე დაუყვებათ ქედი. სალურსმნე ნახვრეტი რელიეფურია (ტაბ. XVIII 164). კრამიტები ბოლოვდება შვერილითა და ჯვრის რელიეფური გამოსახულებით (ტაბ. XVIII 1333). ზოგჯერ შვერილების ნაცვლად კრამიტებზე ჯვარია დაძერწილი (ტაბ. XVIII 820). ანალოგიური მწვანედ მოჭიქული კრამიტები აღმოჩენილია ჟინვალის ნაქალაქარის განვითარებული შუასაუკუნეების ფენებშიც [26, გვ. 44].

5. ცისფრად მოჭიქულ ღარიან კრამიტებს თავთან აქვთ მცირე ზომის მუხლი (ტაბ. XVIII 1359). თიხის სტრუქტურითა და ჭიქურის ელფერით ისინი არ განსხვავდება ზემოთ აღწერილი ღარიანი კრამიტებისაგან.

მოჭიქული კრამიტები წითლადაა გამომწვარი. დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. ზოგიერთი მათგანი გამოირჩევა შედარებით წმინდად გარჩეული თიხით. ბრტყელი კრამიტები ყველა ყალიბშია მოჭრილი. ღარიანი კრამიტების მოსაჭრელად, კი როგორც ეთნოლოგიური მასალებით ირკვევა, ყალიბსა და ქობუნას იყენებდნენ [7, გვ. 152]. კრამიტების მოსაჭიქავი ნაწილი იფარებოდა თეთრი ანგობით და იჭიქებოდა ცისფრად, მწვანედ და სოსნისფრად. მოჭიქული კრამიტების აბსოლუტური უმრავლესობა ცისფერია. მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი მწვანედ მოჭიქულები. სოსნისფრად მოჭიქული კი მხოლოდ ორია. როგორც წესი, იჭიქებოდა მხოლოდ კრამიტის გამოსაჩენი ნაწილი.

შორენკეცები შუასაუკუნეების სამშენებლო კერამიკის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სახეა. სხვადასხვა ფორმისა და ზომის მოჭიქული თუ მოუჭიქავი შორენკეცები მრავლადაა აღმოჩენილი შუასაუკუნეების ნაქალაქარებზე [79, გვ. 34, 35]. კვეთერიდან მომდინარე შორენკეცები ტრაპეციისებურია, საფასადო მხარეს სწორკუთხა, ცისფრად მოჭიქული. მოუჭიქავი ნაწილი სოლისებურია (ტაბ. XVIII 2126).

კვეტერის განათხარ მასალაში წარმოდგენილი მოჭიქული კრამიტები და შორენკეცები, რომელთა ნაწილი ეკლესიიდანაა ჩამოცვენილი, პარალელური მასალების მიხედვით XII-XIII სს-ზე უფრო ადრეული ხანით ვერ თარიღდება. ეკლესია გ. ჩუბინაშვილის მიხედვით X ს-ში, უფრო კი ამ საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს აგებული [95, გვ. 415].

მკვლევართა მტკიცებით IX-X სს-ის მოჭიქული კერამიკა აღმ. საქართველოში შედარებით მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. ისინი უპირატესად ჯამებია და იმ პერიოდში მოჭიქული კერამიკის წარმოების მასშტაბები საკმაოდ შეზღუდულია [34, გვ. 19]. როგორც ვარაუდობენ, IX-X სს-ის კერამიკის შემკულობაზე ცისფერი ჭიქური არ გვხვდება არც დამოუკიდებლად და არც სხვა ფერის ჭიქურთან ერთად. განსხვავებული ვითარებაა XI-XIII სს-ში, როცა ჭიქუროვან საღებავებს შორის ცისფერიც გამოიყენება [34, გვ. 29]. ის აზრიცაა გამოთქმული (თუმცა არგუმენტების გარეშე), რომ ჩვენში მოჭიქული კრამიტი საერთოდ XII ს-ში ჩნდება [79, გვ. 34]. თუ ეს მოსაზრებები სწორია, მაშინ საეჭვოა, რომ X ს-ის პირველ ნახევარში ეკლესია ცისფრად მოჭიქული კრამიტით დაეხურათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ როგორც აღნიშნავენ, IX-X სს-ში არ მზადდებოდა ცისფრად მოჭიქული კერამიკა და მათ შორის მოჭიქული კრამიტი. ცხადია, რომ გარკვეული შეუსაბამობაა ეკლესიისა და მის გადასახურავად გამოყენებული ცისფრად მოჭიქული კრამიტების თარიღებს შორის. ეს საკითხი სამომავლოდ უთუოდ გასარკვევი და დასაზუსტებელია. ერთი რამ უდავოა, მოჭიქული კრამიტები ეკლესიისათვის საგანგებოდაა დამზადებული. როგორც ჩანს, დროდადრო ხდებოდა დაზიანებული კრამიტების შეცვლა ახლით. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ეკლესიის ცისფრად მოჭიქული კრამიტების ერთი წყება გამოირჩევა შედარებით მუქი ტონალობის მაღალხარისხოვანი კრიალა ჭიქურით და უფრო ადრეული ნიმუშების შთაბეჭდილებას ტოვებს.

XIV ს-ის მიწურულს ქვეყანაში უმძიმესი ვითარება შეიქმნა. თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევამ აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა საქართველოს. მოსახლეობის დიდი ნაწილი გაიჟლიტა. გაიმარცვა და დაინგრა უამრავი დასახლებული პუნქტი. მოიშალა ეკონომიკა. ადვილი წარმოსადგენია ასეთ პირობებში რა ვითარება შეიქმნებოდა სამეთუნეო წარმოების სფეროშიც. XIV ს-ის მიწურული უნდა მივიჩნიოთ აღმ. საქართველოში მოჭიქული კერამიკის წარმოების საბოლოო დაცემის ხანად. სწორედ ამ პერიოდს უნდა ემთხვეოდეს კვეტერის ციხეზე ინტენსიური ცხოვრების მოშლაც.

XIV ს-ის შემდეგ, კვეტერა ერთხანს მიტოვებული და მივიწყებული ჩანს [31, გვ. 105]. თუმცა, გვიანდელ შუასაუკუნეებში იქ ცხოვრება კვლავ აღორძინებულა. განახლებულა სასახლე, გაჩნდა სამოსახლო, მისი თანადროული სასაფლაო და სხვ. [23, გვ. 30]. კვეტერის ხელმეორედ აღორძინება ძირითადად უნდა ემთხვეოდეს კახეთის სამეფოს დაწინაურების ხანას. XV ს-ის მეორე ნახევარსა და განსაკუთრებით XVI ს-ში, როცა სამეფო საკმაოდ მოღონიერდა, წარმოიშვა ახალი ქალაქები, განახლდა ძველი კულტურულ-ეკონომიკური ცენტრები და სხვ. მართალია, კვეტერას აღარ დაბრუნებია ძველი მნიშვნელობა, მაგრამ ცხოვრების გამოცოცხლება იქ მაინც შეინიშნება.

კვეტერის გვიანდელი შუასაუკუნეების მოჭიქული კერამიკა შედარებით მცირერიცხოვანია და არც მრავალფეროვნებით გამოირჩევა. იმ პერიოდის მოჭიქული კერამიკის უმრავლესობა ჯამებია, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთ სახეობაზე შევჩერდებით.

1. ამოკაწვრით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამები 4 ერთეულია. ჯამის ანგობირებული შიდაპირი ამოკაწვრული ხაზებით დაყოფილია რვა სექტორად. ცენტრში გამოსახულია ვარდული, რომელსაც გარშემო მცირე ზომის წრეები შემოუყვება (ტაბ. XIX 365). სექტორების გამყოფი ხაზები მთავ-

რდებოდა ფოთლის გამოსახულებით. ჭურჭელი მოჭიქულია მწვანედ. ფორმითა თუ ჭიქურის მდარე ხარისხით ჯამი მოგვიანო ხანისაა და ის შესაძლოა XVI-XVII სს-ით დათარიღდეს.

2. ჯამების (2 ერთეული) ანგობირებულ შიდაპირზე წყვილი ხაზებისაგან შედგენილ წრეში ამოკაწრულია ექვსი და ცხრაქიმიანი ვარსკვლავი, შუაში მცირე ზომის წრით. ამოკაწრული ხაზები დაფარულია შავი საღებავით. გადავლებული აქვს მწვანე ჭიქური (ტაბ. XIX 1714, 1819). ჭურჭლების შესამკობად შავი საღებავის გამოყენებას განვითარებული შუასაუკუნეების მოჭიქულ კერამიკაზე საერთოდ ვერ ვხვდებით. ამ ფერით მოჭიქული ჭურჭლების შემკობა მხოლოდ გვიანდელ შუასაუკუნეებში იწყება. ჯამების ფორმა, კეცის სტრუქტურა, შემკულობის ხასიათი, მათ გვიანდელობაზე მეტყველებს. სავარაუდოდ ჯამები XVI-XVII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

3. მწვანედ მოჭიქული სადა ჯამები გვიანდელი შუასაუკუნეების მოჭიქულ ჭურჭელში ყველაზე მრავალრიცხოვანია (74 ერთეული). ჯამების შიდაპირი ანგობირებულია, მაგრამ მათზე აღარ გვხვდება ორნამენტი. ჭურჭლებს გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. ზოგიერთი ჯამი ორმხრივ ანგობირებული და მოჭიქულია (№№539, 958, 1017). ჯამებს ახასიათებს სწორი მხრები, ოდნავ შეზნექილი ან ბრტყელი ძირი.

4. მცირერიცხოვანია (15 ერთეული) თეთრად ანგობირებული და ფირუზისფრად მოჭიქული ჯამები. ორნამენტი არც მათზე გვხვდება. ზოგიერთი ჯამი ორმხრივაა მოჭიქული (№№238, 415). ჯამებს აქვთ მომრგვალებული ბაკო, გაშლილი პირი; სწორი, ზოგჯერ რამდენადმე გამობერილი მხრები; შეღარული კოპიანი ან ოდნავ შედრეკილი ძირ-ქუსლი.

მწვანედ და ფირუზისფრად მოჭიქული გვიანდელი შუასაუკუნეების ჯამები, მათ შორის ორმხრივ მოჭიქულებიც აღმოჩენილია უფლისციხის XVII-XVIII სს-ის კულტურულ ფენებში. XVI-XVIII სს-ს მიეკუთვნება ჯავახეთის ახალქალა-

ქიდან მომდინარე მწვანედ მოჭიქული ჯამები [70, გვ. 35]. XVI-XVII სს-ით თარიღდება ფირუზისფრად მოჭიქული ჯამები თელავიდან [60, გვ. 79]. XVIII ს-ის ნაწარმადაა მიჩნეული თბილისის ციტადელის ორმხრივ ფირუზისფრად მოჭიქული ჯამები [35, გვ. 194]. კვეტერის მწვანედ და ფირუზისფრად მოჭიქული ჯამები პარალელური მასალების მიხედვით ძირითადად XVII-XVIII სს-ს შეიძლება მივაკუთვნოთ.

ერთფერად მოჭიქულ კერამიკაში ცალკე გამოიყოფა მოჩალისფრო-მოწითალოდ გამომწვარი გაშლილი პირ-კალთის მქონე თევში. ჭურჭლის შიდაპირზე შემორჩენილია ანგობისა და მწვანე ჭიქურის კვალი (ტაბ. XIX 548). კვეტერაში საერთოდ არ ჩანს გვიანდელი შუასაუკუნეების აღმ. საქართველოში ფართოდ გავრცელებული მოუჭიქავი თევშები. მოჭიქულებში კი თევშის მხოლოდ ერთი ნატეხია გამორეული.

### **ამოკაწვრით მოხატული და მრავალფერად მოჭიქული ჯამები**

მოვარდისფრო ანგობით დაფარული, ამოკაწრული ხაზებითა და ფერადი ლაქებით შემკული ჯამები 4 ერთეულია. ჯამების მოვარდისფრო ანგობით დაფარულ შიდაპირზე ღრმად ამოკაწრული ხაზები დაფარულია ცისფერი ლაქებითა და სოსნისფერი სქელი ნაღვენთებით. გადავლებული აქვთ უფერული, კრიალა ჭიქური (ტაბ. XIX 496). შემორჩენილი ნატეხების მიხედვით ისინი მოზრდილი ჯამები ყოფილა. ჭურჭლების თიხა მსხვილმარცვლოვანია. მსგავსი ორნამენტით შემკული ჯამები აღმოჩენილია: თბილისში, გავაზში, უფლისციხეში, ჟინვალში (X-73-20, X-73-531, XVII-80-160) და სხვ. [34, გვ. 19; 65, ტაბ. XIX; 32, ტაბ. XIV 33]. ბოლო ხანებში ამგვარად მოჭიქული ჯამი აღმოჩნდა XV-XVI სს-ით დათარიღებულ თისელის ნასოფლარზე (აწყურის მახლობლად) [30]. ვფიქრობთ, მოვარდისფრო ანგობით დაფარული, ამოკაწრული ხაზებითა და ფერადი ლაქებით შემკული კვეტერული ჯამი XVI-XVII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

შესაბამისად, უნდა გადაიხედოს სხვადასხვა ძეგლებიდან მომდინარე მისი ანალოგების თარიღიც.

### **ქალის გამოსახულებით შემკული ჯამი**

ჯამის ანგობირებულ შიდაპირზე წარმოდგენილია ნაკაწრი ორნამენტით შევსებული სამკუთხედები და მწვანე ფერის ექვსკუთხედები, რომლებშიც გამოსახულია ქალის სახეები. ჯამზე აქა-იქ შეიმჩნევა ყვითელი საღებავის კვალი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. ფრაგმენტულობის გამო ჯამზე მხოლოდ ორი სახეა შემორჩენილი (ტაბ. XIX 1113). ჯამი კეცის ფაქტურით, ჭიქურის ელფერით, ნახატის გამოსახვის მანერით, მოგვიანო ნიმუში ჩანს და საფიქრებელია, ის უფრო XVI-XVII სს-ს განეკუთვნებოდეს.

### **კუფური ორნამენტით შემკული ჯამი**

ჯამს პირთან შემოუყვება მკრთალი ნაკაწრი და მომწვანო ზოლი. ფართო და ბრტყელი ბაკოს თეთრი ფონი ყავისფერი საღებავით მოხატულია კუფური ორნამენტით, რომელიც წერტილებითა და კუთხოვანი ხაზებითაა წარმოდგენილი. ბაკო შემკულია ყავისფერი კონტურით შემოვლებული მომწვანო ოვალითა და ზოლით. გადავლებული აქვს უფერული ჭიქურის თხელი ფენა (ტაბ. XIX 1001). არამეული დამწერლობის მიხედვით ანუ ე. წ. კუფური ორნამენტით შემკული ჭურჭელი დიდძალი რაოდენობითაა ცნობილი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. ჩვენში ისინი იშვიათად გვხვდება და ცნობილია: თბილისიდან, დმანისიდან, რუსთავიდან [34, გვ. 48]. აღწერილი ჯამი, რომელიც ზოგადად XVI-XVII სს-ით შეიძლება დათარიღდეს, კეცით, ფორმით, ორნამენტის ხასიათითა თუ ჭიქურის ელფერით მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართული მოჭიქული კერამიკისაგან და ის აშკარად იმპორტული ნიმუში უნდა იყოს.

### **მრავალფრად მოჭიქული ჯამები**

მრავალფრად მოჭიქულ კერამიკაში გვხვდება ჯამები (3 ერთეული), რომლებიც ამოკაწვრით მოხატული და ორმხრივ მოჭიქულია. ჯამებს აქვთ მომრგვალებული ბაკო და სწორი მხრები (№№812, 1679). შიდა და გარეპირი ყვითლადაა ანგობირებული. ჯამებს პირს ქვემოთ და კალთის დასაწყისთან ამოკაწრულ ხაზებს შორის მოქცეული მწვანე ზოლი შემოუყვება. კალთაზე ამოკაწრულია ფოთლები, რომელთა ერთი ნაწილი მწვანე, მეორე კი მუქი ყვითელი საღებავითაა შეფერილი. ფოთლებიდან ცენტრისაკენ დაშვებულ ხაზებზე და ხაზებს შორის გამოსახულია ყავისფერი წერტილები. კალთას შემოუყვება ამოკაწრული ყავისფერი რგოლები (ტაბ. XIX 1618). ჯამების გარეპირი მოხატულია ვერტიკალური ყავისფერი წყვილი ზოლებით. ჯამს შიდა და გარეპირზე გადავლებული აქვს უფერული ჭიქურის თხელი ფენა. ჭურჭლების ყვითელი ანგობით დაფარვა, შესამკობად ყავისფერი საღებავის გამოყენება გვიანდელი შუასაუკუნეების მოჭიქული კერამიკის დამახასიათებელი ნიშანია. ამავე ხანებში იშვიათია შემკობის ძველი წესი - ამოკაწვრა [35, გვ. 189]. კვეტერულ ჯამებზე გვხვდება ამოკაწრული ორნამენტი, მაგრამ ჭურჭლებზე ამოკაწრულია გაუბედავი, მოუქნელი ხაზები, დარღვეულია სიმეტრიები.

### **ფუნჯით მოხატული ჯამები**

კვეტერის გვიანდელი შუასაუკუნეების მოჭიქულ კერამიკაში გვხვდება ანგობირებულ შიდაპირზე ფუნჯით მოხატული ჯამები.

1. ანგობირებულ შიდაპირზე მრავალფრად მოხატული ჯამები 17 ერთეულია. თეთრი ანგობით დაფარული შიდაპირი მოხატულია ყვითელი და მწვანე საღებავის ზოლებით, წრეებით. ორნამენტი გახალისებულია სოსნისფერი წერტილებით. ბაკოზე შემოუყვებათ მწვანე ან სოსნისფერი ზოლები (ტაბ. XIX 236, 357). ჯამებს აქვთ მომრგვალებული, ზოგჯერ ბრტყელი ბაკო; დაბალი, ოვალური ან



სწორი მხრები; მაღალი, ვიწრო ქუსლი და შეღარული კოპიანი ძირი. ჯამებს გადავლებული აქვს უფერული ჭიქური, მაგრამ იმდენად თხლად, რომ ჭურჭლის შიდაპირის ხაოიანობა მაინც თვალშისაცემია. ვფიქრობთ, ჯამები XVI-XVII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

2. ჯამები მოხატულია მწვანე წრეებით, ტალღოვანი ზოლებით, ურთიერთგადამკვეთი ხაზებით და სხვ. (ტაბ. XIX 1, 11, 116). ერთფერად მოხატულ ჯამებზე მხოლოდ მწვანე ფერია გამოყენებული. ჯამებს აქვთ მომრგვალებული, იშვიათად ბრტყელი ბაკო; ოდნავ მოყრილი პირი; დაბალი, ოვალური მხრები; მაღალი ქუსლი და შეღარული კოპიანი ძირი. ამგვარი ჯამები 20 ერთეულია. კვეტერაში ამ ჯგუფის კერამიკის ერთი წუნდებული ნიმუშიცაა აღმოჩენილი. ჯამის თეთრად ანგობირებული შიდაპირი მეთუნეს ორნამენტით მოუხატავს. ეტყობა ხელოსანს არ მოსწონებია თავდაპირველი ანგობის თხელი ფენა, თუ მოხატულობა ვერ გამოსვლია კარგი და ჯამის შიდაპირი ხელმეორედ, უკვე სქელი ფენის ანგობით დაუფარავს, მაგრამ ამჯერად აღარ მოუხატავს და თავი მიუნებებია (კვ-68-1). აღნიშნული წუნდებული ნიმუში იმის დასტურია, რომ კვეტერაში გვიანდელ შუასაუკუნეებშიც არსებობდა ადგილობრივი სამეთუნეო წარმოება.

3. ანგობირებულ შიდაპირზე მწვანედ და ყვითლად მოხატული ჯამები (12 ერთეული) ფორმით იმეორებენ ერთფერად მოხატულ ჯამებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მოხატვისას მწვანე ფერთან ყვითელი საღებავიცაა გამოყენებული (ტაბ. XIX 180, 348, 1446). ჯამების შემკულობაში სოსნისფერი საღებავი არ ფიგურირებს. როგორც ერთ, ისე მეორე ჯგუფის ჯამებს უფერული ჭიქური არა აქვთ გადავლებული, რის გამოც ჭურჭლების ხაოიანი ზედაპირი საკმაოდ ულაზათოდ გამოიყურება.

4. ანგობირებულ შიდაპირზე ყვითლად და ყავისფრად მოხატული ჯამები 3 ერთეულია. ანგობირებულ შიდაპირზე ფუნჯის საშუალებით გამოყვანილია ერთმანეთის პარალელური ყავისფერი ზოლები და ყვითელი ხაზები (ტაბ.

XIX 1305). მხოლოდ ერთ მათგანს აქვს გადავლებული უფერული ჭიქურის თხელი ფენა. შემორჩენილი ნატეხების მიხედვით ჯამები დიდი და საშუალო ზომისაა. შემკულობის ხერხით, ჭიქურის ძუნწად გამოყენებით, მოჭარბებული ყავისფერი საღებავისა თუ ფორმების მიხედვით ისინიც მოგვიანო – XVI-XVII სს-ის ნიმუშებია.

5. ყვითლად ანგობირებული და მოხატული ჯამი ხასიათდება მომრგვალებული ბაკოთი, გაშლილი პირითა და ოვალური მხრებით. შიდა და გარეპირი დაფარულია ყვითელი ანგობით. შიდაპირი მოხატულია ყავისფერი მრავალკუთხედებითა და ხაზებით. გარეპირზე შემორჩენილია ვერტიკალური, წყვილი ყავისფერი ზოლი (ტაბ. XIX 872). შიდა და გარეპირზე გადავლებულია უფერული ჭიქურის თხელი ფენა. ჯამების მრავალკუთხედებით შემკობა, ოღონდ ამოკაწვრის წესით, ფართოდ იყო გავრცელებული XII-XIII სს-ის მრავალფერად მოჭიქულ ჯამებზე. ეტყობა ყვითელანგობიანი ჯამიც ძველი ტრადიციების მიზამვითა თუ გავლენითაა დამზადებული. თბილისის ციტადელზე აღმოჩენილი ყვითელი ანგობით დაფარული მოჭიქული ჭურჭელი XVII-XVIII სს-ით თარიღდება [35, გვ. 197]. ვფიქრობთ, კვეტერის ყვითელანგობიანი როგორც ამოკაწვრით, ისე ფუნჯით მოხატული ორმხრივ მოჭიქული ჯამებიც XVII-XVIII სს-ს შეიძლება მივაკუთვნოთ.

6. შავად მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამები 4 ერთეულია. ჭურჭლების ანგობირებულ შიდაპირზე ფუნჯის საშუალებით გამოყვანილია შავი საღებავის მოგრძო და წრიული ლაქები (ტაბ. XX 1565). ერთი მათგანის ფსკერი შემკულია შავი სვასტიკით (ტაბ. XX 351). ჯამები მოჭიქულია მწვანედ. ჭურჭლებს ახასიათებს მაღალი ქუსლი და შედარული, კოპიანი ძირი. სვასტიკის გამოსახულებიანი კერამიკა ფართოდაა გავრცელებული დროსა და სივრცეში. ამ ორნამენტით შემკული ჭურჭელი არც თუ იშვიათად გვხვდება ბრინჯაო-რკინისა თუ ანტიკურ ხანაში. შემდგომში, შედარებით უკვე ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება ადრეული შუასა-

უკუნეებიდან მოყოლებული გვიანდელი შუასაუკუნეების ჩათვლით [74, გვ. 135; 45, ტაბ. XXXI 190]. მოჭიქული სვასტიკიანი ჯამები ცნობილია დმანისიდან [15, გვ. 125, ტაბ. XXIV]. ჟინვალის ნაქალაქარზე აღმოჩენილია შიშველ კეცზე ანგობით მოხატული სვასტიკიანი ჯამები, რომლებიც XIV ს-ის პირველი ნახევრითაა დათარიღებული [26, გვ. 34]. სვასტიკის გამოსახულებიანი მოჭიქული ჯამები გვხვდება შუასაუკუნეების სომხეთის განათხარ ძეგლებზეც [83, გვ. 76]. როგორც აღვნიშნეთ, შავი საღებავით შემკობა უცხოა განვითარებული შუასაუკუნეების მოჭიქული კერამიკისათვის და ეს ფერი ჭურჭლის შესამკობად მხოლოდ მოგვიანებით გამოიყენება. კვეტერის შავად მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამები ისევე, როგორც დმანისისა და ჟინვალის ნაწარმი XVI-XVII სს-ით უნდა დათარიღდეს.

### **შიშველ კეცზე ანგობით მოხატული და სხვადასხვა ფერით შემკული ჯამები**

მოჭიქული კერამიკის ცალკე ჯგუფს (35 ერთეული) ქმნიან შიშველ კეცზე ანგობით მოხატული და სხვადასხვა ფერის საღებავით შემკული ჯამები. ჭურჭლების შიშველი კეცი მოხატულია ანგობის თეთრი წრეებით, ოვალური ხაზებითა და სხვ. ნახატი დაფარულია მწვანე, ცისფერი ან სოსნისფერი ჭიქუროვანი საღებავის ლაქებით (ტაბ. XX 8, 710). განათხარ მასალაში სოსნისფერი ლაქებით შემკული ჯამის წუნდებული, ქურაში უხარისხო გამოწვის შედეგად გაშავებული ნიმუშიც გვხვდება (ტაბ. XX 712). რამდენიმე ჭურჭელზე ორნამენტი განსხვავებულადაა გამოყვანილი. ჯამების შიშველი კეცი მოხატულია ანგობის თეთრი ზოლებითა და ხვიებით. მწვანე საღებავი წარმოდგენილია არა ლაქების სახით, არამედ ანგობის ზოლებსა და ხვიებს ზემოდან შემოუყვება (ტაბ. XX 175). ჯამებს აქვთ მომრგვალებული ან ბრტყელი ბაკო, სწორი მხრები, მაღალი ვიწრო ქუსლი და შედარული კოპიანი, ზოგჯერ უკოპო ძირი. ჭურჭლებს არა აქვთ გადავლებული უფერული ჭიქური.

### **შიშველ კეცზე ანგობით მოხატული და მოუჭიქავი ჯამები**

ჭურჭლის შიშველი კეცი ფუნჯის საშუალებით მოხატულია ანგობის თეთრი ზოლებით, წრეებითა და ხვებებით (ტაბ. XX 9). ამგვარი ჯამები 6 ერთეულია. ანგობით მოხატული და სხვადასხვა ფერის ჭიქუროვანი საღებავის ლაქებით შემკული ჯამებისაგან განსხვავებით, მათზე ჭიქუროვანი საღებავი საერთოდ არაა წარმოდგენილი. ჭურჭლებზე არაა გადავლებული უფერული ჭიქური. ჯამებს აქვთ მომრგვალებული ან ბრტყელი ბაკო, სწორი მხრები; მაღალი, ვიწრო ქუსლი და შეღარული კოპიანი ძირი. ეს ჯამები ერთი შეხედვით თითქოს დაუსრულებელი ნამუშევრების შტაბეჭდილებას ტოვებენ, მაგრამ ისინი დასრულებული ნიმუშებია, რომელთა ჭიქურით შემკობა თავიდანვე არ ყოფილა გამიზნული. ამგვარად მოხატული და მოუჭიქავი ჯამები აღმ. საქართველოს სხვა პუნქტებშიც უმზადებიათ. მაგ. ჟინვალის ნაქალაქარისა და მისი გარეუბნების გათხრებისას მრავლადაა აღმოჩენილი ანგობით მოხატული და მოუჭიქავი ჯამები [26, გვ. 46]. ასეთივე ჯამები ცნობილია: რუსთავიდან, თელავიდან, იყალთოდან, ჟალეთიდან, ივრის სიონიდან და სხვ. [45, გვ. 99]. აღნიშნული ჯამების მოჭიქული კერამიკის ჯგუფში გაერთიანება პირობითია, ვინაიდან მათზე ჭიქური საერთოდ აღარაა გამოყენებული, მაგრამ ეს ჯამები სწორედ ანგობით მოხატულ და სხვადასხვა ფერის ლაქებით შემკულ ჯამებთანაა დაკავშირებული და ასახავენ გვიანდელი შუასაუკუნეებისათვის ქვეყნის ეკონომიკაში საერთოდ და კონკრეტულად მოჭიქული კერამიკის წარმოებაში არსებულ მძიმე კრიზისულ ვითარებას.

### **სხვადასხვა სახის კერამიკა**

1. გვიანდელ შუასაუკუნეებს მიეკუთვნება მილიანი ჭურჭლის ნატეხები (5 ერთეული). ფრაგმენტულად შემორჩენილი თეთრად ანგობირებული მილები მწვანედაა მოჭიქული (ტაბ. XX 552). მოჭიქვის ხერხების მიხედვით მილიან ჭურჭლებში გამოირჩევა ერთი ეგზემპლარი, რომლის

უანგობო ზედაპირზე აქა-იქ დაღვენთილია მწვანე ჭიქურის ლაქები (ტაბ. XX 3). გვხვდება ნიმუშები, რომელთა თეთრად ანგობირებულ ზედაპირზე ფუნჯის საშუალებით მწვანე ლაქებია გამოყვანილი (№183). მათ არა აქვთ გადავლებული უფერული ჭიქური რის გამოც ჭურჭლების ზედაპირი ხაოიანია.

ფორმითა და მოჭიქვის ხერხით განსხვავებულია წითლად გამომწვარი ჭურჭლის მილ-გვერდის ნატეხი. ჭურჭელს მილის ირგვლივ და ტანზე შემოუყვება ანგობის თეთრი წერტილები, რომლებიც მომწვანო-მონაცრისფრო, საკმაოდ მდარე ხარისხის ჭიქურითაა დაფარული (ტაბ. XX 491). თუ გავითვალისწინებთ ჭიქურის დაბალ ხარისხს და ჭურჭელზე მის ძუნწად გამოყენებას, ხელადა გვიანდელი შუასაუკუნეების ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ და XVII-XVIII სს-ით დავათარილოთ.

**2.** კოტოშები სააკვნი ჭურჭლებია. ხასიათდება ფართო პირით, მაღალი ტანითა და ბრტყელი ძირით (ტაბ. XX 252). კოტოშების მხოლოდ შიდაპირი იჭიქებოდა. 10 ნატეხიდან ყველა მწვანედაა მოჭიქული. ანალოგიური ფორმის მწვანედ, ცისფრად, იშვიათად კი სოსნისფრად მოჭიქული ჭურჭლები ცნობილია: თბილისიდან, რუსთავიდან, დმანისიდან, თელავიდან, ჟინვალიდან და სხვ. [26, გვ. 39; 34, გვ. 57; 60, გვ. 64].

გვიანდელი შუასაუკუნეების მოჭიქული კერამიკის უმრავლესობა სასახლის ზედა ფენებშია გამოვლენილი, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ადრე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სასახლე «ორასაკოვანია» და განვითარებული შუასაუკუნეების მიწურულისათვის განადგურებული ნაგებობა გვიანდელ შუასაუკუნეებში კვლავ განუახლებიათ [23, გვ. 29]. ჯამების მცირე ნაწილი წყალსაცავის სულ ზედა ფენიდან მომდინარეობს. ეტყობა განვითარებული შუასაუკუნეების ბოლოს გაუქმებული წყალსაცავი შემდგომ ხანებში უკვე სანაგვე ორმოდ ყოფილა გამოყენებული.

### III თავი

#### ლითონის, მინისა და ქვის ნივთები, მონეტები

**ლითონის ნაწარმი.** კვეტერის ციხის სხვადასხვა უბანზე (სასახლე, წყალსაცავი, V უბანი, კოშკზე მიდგმული ნაგებობა, ნახევარწრიული კოშკი, კარიბჭე) წარმოებული გათხრების შედეგად მრავალრიცხოვან კერამიკასთან ერთად გამოვლენილ იქნა ლითონის, მინისა და ქვის ნაწარმი. აგრეთვე ორი მონეტა.

კვეტერის ციხის ლითონის ნაწარმიდან აღსანიშნავია რკინის ცალპირლესული დანები, სწორი სამუშაო პირითა და მოხრილი ზურგით (ტაბ. XIV 245, 1668). დანები აღმ. საქართველოს განვითარებული და გვიანდელი შუასაუკუნეების არაერთ ძეგლზეა გამოვლენილი [80, გვ. ტაბ. 34, 36,]. ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თონიდან პურის ასაფხევი ხელსაწყო – ასტამი (ტაბ. XIV 1350). XI-XIII სს-ით დათარიღებული კვეტერულის მსგავსი ასტამი ცნობილია რუსთავიდან [17, გვ. 118, სურ. 3]. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი შუასაუკუნეების ასტამები ტიპოლოგიურად სრულიად არ განსხვავდება ქართლ-კახეთში ბოლო დრომდე შემორჩენილი ანალოგიური ნივთებისაგან [17, გვ. 118].

ლითონის ნივთებიდან საყურადღებოა რკინის სამართებელი, რომელიც მანჭვალის საშუალებით ჩამაგრებულია ძვლის ბუდეში (ტაბ. XIV 111). კვეტერაზე აღმოჩნდა სამართებლის ძვლის ბუდის გახვრეტილ-გაპრიალებული და ნაკაწრებით შემკული სხვა ნატეხიც (ტაბ. XIV 411). XI-XIII სს-ის ძვლისბუდიანი სამართებლები ცნობილია: დმანისიდან [80, გვ. 85], უჯარმიდან [22, ტაბ. XLVII 292]. განათხარ მასალაში სამართებლების უმრავლესობა შემორჩენილია რკინის პირებით. ჩანს, მათ უკეთებდნენ ხის ბუდეებსაც, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. სამართებლის რკინის პირები

აღმოჩენილია: ნაჭივჭავებში, გუდარეხში [80, ტაბ. 33, 35], ქინვალში [90, ტაბ. XC 13], ფშავის არაგვის ხეობაში [49, ტაბ. XXVI 160, 172]. ამგვარ ნივთებს სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ დასაკეც დანებსაც უწოდებენ და მიაჩნიათ, რომ ჰიგიენის გარდა, მათ სამეურნეო დანიშნულებაც (მაგ. ვაზის გასხვლა და სხვ.) ჰქონდათ [80, გვ. 86].

ლითონის სხვა ნივთებიდან კვეტერაში გვხვდება რკინის ნალები (ტაბ. XIV 1046), ბრინჯაოს თხელი, კიდედახვრეტილი დისკო (ტაბ. XIV 776). რკინის ბრტყელი, შუაში შევიწროებული და ერთ მხარეს გახვრეტილი ფირფიტა, ხის კარის დეტალს წარმოადგენს (ტაბ. XIV 1667). რკინის ოთხკუთხაგანივკვეთიანი ღეროს მქონე 11-15 სმ სიგრძის ლურსმნები ნაგებობათა გადახურვის სისტემასთანაა დაკავშირებული (ტაბ. XIV 162, 165, 266, 421, 1522). მათი მეშვეობით ზოგიერთი სახის კრამიტი სახურავის ძელებზე მაგრდებოდა. კვეტერაზე აღმოჩენილ სადა და მოჭიქული კრამიტების ერთ ნაწილს თავთან აქვთ სალურსმნე ნახვრეტი. გათხრების დროს გამოვლინდა ლურსმანჩარჭობილი კრამიტის ერთი ნატეხიც (კვ-68-786). გარდა მოზრდილი ლურსმნებისა, გვხვდება სწორკუთხათავიანი მცირე ზომის ლურსმნებიც (ტაბ. XIV 2030, 2030ბ).

**მინის ნაწარმი** იყოფა ორ ჯგუფად: სამკაულები და ჭურჭელი. სამკაულების უმრავლესობა სამაჯურებია, რომლებშიც გამოიყოფა ორი ტიპი:

I. მრგვალგანივკვეთიანი სადა სამაჯურები, ცისფერი გამჭვირვალე, თაფლისფერი და ლურჯი გაუმჭვირვალე მინისა (ტაბ. XV 242, 265, 1199, 1252, 1641, 1773, 2030დ).

II ტიპს შეადგენს გრეხილი სამაჯურები, რომლებიც ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი: II1 გაუმჭვირვალე ლურჯი მინის მრგვალგანივკვეთიანი წმინდად გრეხილი სამაჯურები (ტაბ. XV 1253, 1408, 1826); II2. მსხვილად გრეხილი სამაჯურები, რომელთა შორის გვხვდება თანაბარწნულიანი მწვანე და არათანაბარწნულიანი შავი მინის სამაჯური (ტაბ. XV 1251, 1499). აღმ. საქართველოში იშვიათად მოიძებნება

განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლი, სადაც არ იყოს აღმოჩენილი სხვადასხვა ფორმისა თუ ფერის მინის სამაჯურები [13, გვ. 98; 52, გვ. 65]. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მინის სამაჯურებისათვის შემუშავებულ ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურ კლასიფიკაციას [13, ტაბ. I, II], კვეტერის მინის სამაჯურები შეიძლება დავათარილოთ XI-XIII სს-ით. არაა გამორიცხული I ტიპის სამაჯურების ზოგიერთი ნიმუში XIV ს-ეს მიეკუთვნებოდეს.

განათხარ მასალაში გვხვდება ლურჯი გაუმჭვირვალე მინის, განივკვეთში ნახევარწრიული რკალის მქონე ბეჭდის ნატეხი (ტაბ. XV 2031). ამ ფორმის მინის ბეჭდები თარიღდება XI-XIII სს-ით [12, გვ. 185].

აქვე განვიხილავთ ბრინჯაოს თავმორკალულ საყურეს, რომლის მოგრძო ღეროზე სპირალისებურადაა დახვეული წვრილი მავთული. ღეროს ბოლოზე წამოცმულია ოვალური მოყვანილობის გამჭვირვალე მინის მძივი (ტაბ. XV 2034). ამ ტიპის საყურეების სხვადასხვა ვარიანტები ცნობილია ივრის სიონის განვითარებული შუასაუკუნეების სამარხებიდან [45, გვ. 114, 115], XI-XIV სს-ით დათარიღებული ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნიდან [77, გვ. 158, ტაბ. LXIV 712, 713, LXVI 766, LXXII 753, LXXIV 769, 771], შიდა ქართლის ჩრდილო ზოლის სამაროვნიდან [84, გვ. 37]. მსგავსი საყურეების ცალკეული ტიპები გავრცელებულია ჩრდ. კავკასიაშიც, სადაც ისინი XIII-XIV ან XIV-XVI სს-ით თარიღდება [88, სურ. 14; 89, გვ. 102, 103; 93, სურ. 14]. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჩრდ. კავკასიაში საყურეების ეს ტიპი საქართველოდან ვრცელდებოდა. მით უფრო, რომ შუასაუკუნეებში ჩრდ. კავკასიის დიდი ნაწილი საქართველოს უშუალო გამგებლობაში შემოდიოდა და ქართული კულტურის დიდ ზეგავლენას განიცდიდა [45, გვ. 115].

მინის ჭურჭლიდან ძირითადად შემორჩენილია მწვანე, გამჭვირვალე მინის თხელკედლიანი სასმისების პირ-გვერდისა და ძირ-ქუსლის ნატეხები. მათში გამოიყოფა ხუთი ტიპი:



I ტიპის სასმისების პირ-გვერდის ნატეხები ხასიათდება ოდნავ გაშლილი პირით. სწორი მხრები გადადის გამობერილ-შეზნექილ კალთაში (ტაბ. XV 1083, 1843). ერთ მათგანს პირზე შემოუყვება ძაფი (ტაბ. XV 1839).

II ტიპის სასმისები წარმოდგენილია შეზნექილი ძირის ნატეხებით (ტაბ. XV 2032). მ. ჩხატარაშვილმა, რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა საქართველოში გავრცელებული მინის ჭურჭელი, ამგვარი სასმისები გააერთიანა განვითარებული შუასაუკუნეების მინის ჭურჭლების III ტიპში. ანალოგიური სასმისები აღმოჩენილია: თბილისის კერამიკულ სახელოსნოში, ერეკლე II-ეს მოედანზე, რუსთავის ნაციხარზე, დმანისში. ფართოდ ჩანან ისინი გავრცელებული განვითარებული შუასაუკუნეების სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდ. კავკასიის ძეგლებზეც [62, გვ. 36, 37].

III ტიპის სასმისები შემორჩენილია პირისა და ძირ-ქუსლის ნატეხებით. ხასიათებიან ფართო, ოდნავ დატალღული პირითა და სხვადასხვა სიმაღლის ძირ-ქუსლით (ტაბ. XV 715, 1084ა, 1331, 1333). XII-XIII სს-ის მსგავსი ფორმის სასმისები (მ. ჩხატარაშვილისეული III ტიპი) ცნობილია: რუსთავის ნაციხარიდან, გუდარეხიდან, დმანისიდან, ივრის სიონიდან. ანისში აღმოჩენილი ამგვარი ჭურჭელი საქართველოდან გატანილადაა მიჩნეული [62, გვ. 38].

IV ტიპად გამოიყოფა მინის ჭურჭლების პირ-გვერდისა და ძირის ნატეხები, რომლებიც უნდა ეკუთვნოდეს ძაბრისებურ-პირიან სასმისებს მაღალი, ვიწრო ტანითა და ბრტყელი ქუსლით (ტაბ. XV 768, 1084, 1332, 1500, 1501, 1838, 2033). მსგავსი სასმისები (მ. ჩხატარაშვილისეული IV ტიპი) აღმოჩენილია: თბილისის კერამიკულ სახელოსნოში, ერეკლე II-ეს მოედანზე, ნარიყალაზე, რუსთავის ნაციხარზე, ნაქალაქარსა და სამაროვანზე, დმანისში, გუდარეხში, უჯარმაში, მცხეთაში, იყალთოში, სიონში, მატანში. სომხეთში გამოვლენილი ამგვარი სასმისების თითო-ოროლა ნიმუშები საქართველოდან უნდა იყოს გატანილი. აღნიშნული

სასმისები გავრცელებულია XII-XIII, უფრო კი XIII ს-ში [62, გვ. 38-40].

V ტიპი წარმოდგენილია ყალიბში დამზადებული, ორნამენტირებული, სქელკედლიანი, უფერული მინის სასმისის ძირ-გვერდის ნატეხით (ტაბ. XV 229). მინის სასმისების უმრავლესობა გამოვლინდა სასახლის გათხრებისას. ეტყობა ამ ნაწი და ფაქიზი ჭურჭლის მომხმარებლები ძირითადად სასახლის მესვეურები იყვნენ.

**ქვის ნივთები** კვეტერაში მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. მათგან აღსანიშნავია შურდულის ქვები (კვ-68-1401), ქვის მრგვალ-ბრტყელი ნივთი (კვ-68-2096), ნახევარ-სფეროსებური მოყვანილობის ქვა, რომლის ერთი მხარე ნაწილობრივ ამოუკვეთავთ (კვ-68-905). იქვეა გამოვლენილი სხვადასხვა ჯიშისა და ფორმა-ზომის სალესავი ქვები (კვ-68-631, კვ-68-748, კვ-68-1710).

აღმ. საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიურ მასალაში ქვის ჭურჭლების იშვიათობის ფონზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შავი ფერის (სტეატიტის) ქვის ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი. ჭურჭლის ფართო, ჰორიზონტული პირი ერთ ადგილას შეჭრილია მახვილი კუთხით და შემკულია ამოღარული პარალელური ხაზებით. ჭურჭელი დაბალყელიანია. ზედაპირზე შემოუყვება ამოღარული კონცენტრული ხაზები. შიდაპირი ნაპრიალებია (ტაბ. XIV 577). ქვის ჭურჭელს თანადროულ მასალებში ანალოგი ჯერჯერობით არ ეძებნება.

**მონეტები.** 1. მანგუ ყაენის (1251-1259 წწ) ფელსი. შუბლზე არაბული წარწერით: «მანგუ ყაენი უზენაესი სამართლიანი». ზურგზე: «არა არს ღმერთი გარდა ალაჰისა და არ ჰყავს მას თანამზრახი». მოჭრილია თბილისში 1254-1257 წწ შორის. წონა 5 გრ. დ. 28-29 სმ (საინ. №20779).

2. ილხან აბუ-საიდის (1316-1336 წწ) ორიანი დირჰემი. შუბლზე არაბული წარწერით: «მოჭრილია უზენაესი სულთანის მმართველობის დროს, აბუ საიდ გამარჯვებული ხანის მიერ. ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი.» ზურგზე:

«არა არს ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი მოციქული მისი.»  
წარწერას ირგვლივ შემოუყვება ოთხი ხალიფას სახელი:  
აბუბექარი, ომარი, ოსმანი, ალი. მოჭრილია ჰამადანში 1322-  
1329 წწ შორის. წონა 3,5 გრ. დ. 22-23 სმ (საინ. №20780).<sup>7</sup>

როგორც ვნახეთ, მონეტებიდან ერთი მოჭრილია მანგუ  
ყანის (1251-1259 წწ), მეორე კი ილხან აბუ-საიდის (1316-1336  
წწ) სახელით [1, გვ. 142; 44, გვ. 71].

ცნობილია, რომ კახეთ-ჰერეთის სავაჭრო ცენტრების  
ბარდავთან და სამხრეთის ქვეყნებთან დამაკავშირებელი გზის  
ზედა მონაკვეთი გადიოდა ფშაველი-ახმეტა-კვეტერის ხაზზე.  
აქედან შეიძლებოდა გადასვლა თიანეთის გზით მცხეთისაკენ  
(ოხერხიდით) და თბილისისაკენ (გლდანო-ავჭალით) [64, გვ.  
73]. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთ მნიშვნელოვან  
სავაჭრო გზაზე მდებარე პუნქტიდან მხოლოდ ორი მონეტაა  
ცნობილი. ჯერჯერობით ეს მოვლენა იქნებ იმით აიხსნას, რომ  
გათხრები მიმდინარეობდა ერთი სეზონის განმავლობაში და  
ძეგლის მთელი ტერიტორია შესწავლილი არაა. კვეტერის  
ნუმისმატიკური მონაპოვარი მცირეა, მაგრამ ეს ორი მონეტა,  
XIII-XIV სს-ის მოჭიქული კერამიკის მრავალრიცხოვან ნიმუ-  
შებთან ერთად, გვაფიქრებინებს, რომ კვეტერაზე ინტენსიური  
ცხოვრების შესუსტება არ უნდა უკავშირდებოდეს მონღოლთა  
შემოსევას, როგორც ამას ადრე ფიქრობდნენ [23, გვ. 29, 30].  
ჩანს XIII-XIV სს-ში ციხე-სიმაგრე კვლავ განაგრძობდა არსე-  
ობას და იმხანად მას რაიმე მნიშვნელოვანი ნგრევა არ განუც-  
დია. წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის  
შეჯერების შედეგად, უფრო მართებული იქნებოდა კვეტერის  
დაკნინების მიზეზად მიგვეჩნია XIV ს-ის ბოლოს საქართვე-  
ლოში თემურ-ლენგის სასტიკი და გამანადგურებელი შე-  
მოსევები.

---

<sup>7</sup> მონეტების შესახებ ცნობები მოგვაწოდა ქალბატონმა თ. ქუთელიამ,  
რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

## დასკვნა

კვეტერის არქეოლოგიური მასალა მნიშვნელოვანი წყაროა ძველი ისტორიის სხვადასხვა საკითხების გასარკვევად. გათხრებისას გამოვლენილი მრავალრიცხოვანი კეცები, თონების ცალკეული ფრაგმენტები, თონიდან პურის ასაფხევი ხელსაწყო ასტამი და სხვ. მიუთითებს კვეტერაში მარცვლეული კულტურების მოხმარების მაღალ დონეზე. მაღალ დონეზე უნდა მდგარიყო ღვინის მოხმარებაც, რისი დასტურიცაა იქ მრავლად აღმოჩენილი სხვადასხვა ზომის ქვევრები. ოსტეოლოგიური მასალების მიხედვით, კვეტერაში, როგორც მთისა და ბარის შესაყარზე მდებარე პუნქტში საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა მესაქონლეობაც.

განათხარი ნივთები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის კვეტერის მოსახლეობის სოციალურ ყოფაზე. აღსანიშნავია, რომ კერამიკული ნაწარმის დიდი უმრავლესობა სასახლეშია გამოვლენილი. ორიოდ გამონაკლისის გარდა იქვეა აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკის ისეთი შთამბეჭდავი და მაღალმხატვრული ნიმუშები, როგორცაა ფრინველისა და ცხოველის გამოსახულებებით შემკული მოჭიქული ჯამები. მინის ნაწი და ფაქიზი სასმისების მოხმარებლებიც ძირითადად სასახლის მესვეურები ყოფილან. გათხრებისას ჩნდებოდა და მოჭიქული ჯამების შესაკოწიწებლად გახვრეტილი ნიმუშებიც. განვითარებულ შუასაუკუნეებში ჩვენში მოჭიქული კერამიკა დიდი რაოდენობით მზადდებოდა, მაგრამ ეტყობა მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მაინც არ ჰქონია იმის საშუალება, რომ დამტვრეული ჭურჭლის სანაცვლოდ ახალი შეემინა და ძველის აღდგენას არჩევდა.

არქეოლოგიური მასალა საინტერესოა კვეტერის ისტორიის ძირითადი ეტაპების გასარკვევად. მით უფრო, რომ წერილობით წყაროებში ის იშვიათადაა მოხსენიებული. გათხრებისას სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის უბანზე აღმოჩნდა ეკლესიის ნაშთები, რომლის აბსიდაზეც შემდგომში ციხის მძლავრი ზღუდე დაუშენებიათ [23, გვ. 29]. ძნელი

სათქმელია ზღუდის კედელი მაინცადამაინც ეკლესიაზე რატომ დააშენეს, მაგრამ ფაქტია, რომ ეკლესია ზღუდის კედელზე ადრეულია და თანაც კედლის მშენებლობის დროს ეკლესია უკვე დანგრეული უნდა ყოფილიყო და ჩანს, მისი განახლება აღარ ჩათვალეს მიზანშეწონილად. მართალია, ამ უბნის გათხრებისას აღმოჩენილ ისედაც მცირე და ფრაგმენტულ მასალაში ძნელია გამოიყოს დანგრეული ეკლესიის თანადროული კერამიკა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა უფრო კონკრეტულად გვემსჯელა ეკლესიისა თუ ზღუდის კედლის თარიღზე, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ზღუდის ქვეშ მოქცეული ეკლესია კვეტერის ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილ ნაგებობათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ადრეულია და კვეტერის ტერიტორია უკვე ადრე შუასაუკუნეებში ჩანს ათვისებული [23, გვ. 29]. არაა გამორიცხული, რომ ეკლესია არაბთა ერთ-ერთი სასტიკ შემოსევას შეეწირა.

კვეტერის, როგორც საერისთავოს ცენტრის წარმოქმნა-განვითარებას დიდად შეუწყო ხელი მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. კვეტერაზე გადიოდა კახეთ-თიანეთის დამაკავშირებელი უმოკლესი და უმნიშვნელოვანესი გზები. ციხე კონტროლს უწევდა ივრის ხეობის ზემო წელის მთიანეთს, ილტოს ხეობასა და ხეობის წინ გაშლილ ველს [40, გვ. 100]. განათხარი მასალის მიხედვით მთლად ნათელი არაა რა ვითარება იყო IX-X სს-ის კვეტერაში. ჯერჯერობით არ ხერხდება ცალკე ჯგუფად გამოიყოს IX-X სს-ის კერამიკული ნაწარმი, რის გამოც არ გვაქვს საშუალება ამ პერიოდის კვეტერის შესახებ უფრო ვრცლად ვისაუბროთ.

განსხვავებული ვითარებაა XI საუკუნისათვის, როცა კვეტერის შესახებ პირველი წერილობითი წყაროები ჩნდება და იმ პერიოდის არქეოლოგიური მასალაც საკმაოდ მოგვეპოვება. ბაგრატ III-ის (1001-1014 წწ) გარდაცვალების შემდეგ, კვირიკე III-ემ (1010-1037 წწ) კვლავ ჩამოაშორა კახეთ-ჰერეთი ერთიან საქართველოს და გაატარა რა ადმინისტრაციული რეფორმები, კახეთის ერთ-ერთი ერისთავი დასვა კვეტერაში. დაუმორჩილა მას ერწო-თიანელნი,

ფხოვნნი, დურძუკნი და ლლიღვი [55, გვ. 561]. საერისთავოს ცენტრად გადაქცევის დროს კვეტერა უკვე დიდად დაწინაურებული და საკმაოდ ძლიერი პუნქტი უნდა ყოფილიყო. ფიქრობენ, რომ სწორედ იმ პერიოდში, XI ს-ის დასაწყისში აუშენებიათ კვეტერის სასახლე [14, გვ. 45]. ნიშნდობლივია «მატიანე ქართლისაჲ»-ს ცნობა იმის შესახებ, რომ ბაგრატ IV-ემ (1027-1072 წწ) «წარიხუნა ყოველნი ციხენი ჰერეთისა და კახეთისანი, თვინიერ კუეტარისა» [53, გვ. 306]. წყაროს მონაცემების გათვალისწინებით ადვილი მისახვედრია, რომ კვეტერა კახეთ-ჰერეთის ძლიერ ციხე-სიმაგრეებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ყოფილა. იმ პერიოდის კვეტერის განათხარი მასალა წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი სამეურნეო, სამზარეულო, სასუფრე თუ სხვა დანიშნულების კერამიკით, რომელიც ფორმათა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ჩანს, იქ საკმაოდ ინტენსიური, ხალხმრავალი დასახლება ყოფილა. XI ს კვეტერის აღორძინების ხანაა. კვეტერის პოზიციები, არ შესუსტებულა საქართველოს გაერთიანების შემდეგაც. იქ აღმოჩენილი XII-XIII სს-ის დიდძალი მოუჭიქავი თუ მოჭიქული კერამიკა იმის დასტურია, რომ ქვეყნის საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკური აღმავლობის დროს კვეტერა კვლავ ინარჩუნებს ძლიერი ეკონომიკური თუ სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-სიმაგრის სტატუსს [23, გვ. 30].

კვეტერის განვითარებული შუასაუკუნეების განათხარი კერამიკა დახვეწილი ფორმებითა და შემკულობის მრავალფეროვნებით, მაღალმხატვრული ღირსებებით თითქმის არაფრით ჩამოუვარდება შესაბამისი პერიოდის დიდად დაწინაურებული ქალაქების (თბილისი, რუსთავი, დმანისი და სხვ.) კერამიკულ ნაწარმს. ეს მით უფრო ხაზგასასმელია, რომ კვეტერაში გამოვლენილი კერამიკა ძირითადად ადგილობრივად დამზადებული. ჩანს, კულტურულ-ეკონომიკური აღორძინების პროცესი, რომელსაც ქვეყანა განიცდიდა XI-XIII სს-ში, თითქმის თანაბრად ეხებოდა როგორც მსხვილ ქალაქებს, ისე განაპირა მხარეებში მდებარე საერისთავოს

ცენტრებსაც. საკუთრივ სამეთუნეო სახელოსნო კვეტერაში ჯერჯერობით მიკვლეული არაა, მაგრამ ადგილობრივი კერამიკული წარმოების შესახებ მეტყველებს არაერთი ფაქტი: წუნდებული მოჭიქული კერამიკის ნიმუშები (№№969, 1190); ნახევრადნამზადი მოჭიქული ჯამები (№№849, 938, 1147, 1148, 1150, 1570); სამეთუნეო ქურის სოლები, რომელთაგან ზოგიერთზე ჭიქურის ლაქებია შემორჩენილი (№№205, 2104, 2115, 1334, 1410, 1869) [91, გვ. 38; 31, გვ. 102, ტაბ. VII]. მონღოლთა დაპყრობისა და ქვეყნის მძიმე ეკონომიკური პირობების გამო XIII ს-ის შუა ხანებიდან კვეტერაში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, სამეთუნეო წარმოება გარკვეულ კრიზისს განიცდის. მიუხედავად ამისა, ხელოსნობის ეს დარგი კვლავ განაგრძობს არსებობას.

უეჭველია, ადგილობრივ დამზადებული კერამიკის ერთი ნაწილის რეალიზაცია კვეტერის ფარგლებს გარეთ ხდებოდა. ხოლო გათხრებისას აღმოჩენილი განვითარებული შუასაუკუნეების მოჭიქული კერამიკის რიგი ნიმუშები (№№24, 82, 126, 402, 445, 500, 524, 749, 811, 873, 1001, 1014, 1076, 1098, 1221, 1226, 1257, 1284, 1347, 1373, 1436, 1592, 1739) კვეტერაში აშკარად შემოტანილია, რაც თავისთავად მეტყველებს იმ ხანებში კვეტერის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე სხვა საწარმოო ცენტრებთან. ამგვარი კავშირურთიერთობების განვითარებას ხელს უწყობდა ერთი მხრით ქვეყნის საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკური აღმავლობა, მეორე მხრით კვეტერის ხელსაყრელი მდებარეობა მთისა და ბარის დამაკავშირებელ მნიშვნელოვან გზაზე და საერთოდ მისი დიდი შინაგანი ეკონომიკური პოტენციალი. აღსანიშნავია, რომ XIII-XIV სს-ით დათარიღებულ კერამიკაში თითქმის ვეღარ ვხვდებით ისეთ ნიმუშებს, რომელთა მიკუთვნება სხვა საწარმოო ცენტრებისადმი უეჭველი იქნებოდა. აშკარაა, რომ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დაკნინების კვალობაზე თანდათან ეცემა სავაჭრო კავშირურთიერთობები, როგორც ქვეყნის შიგნით არსებულ, ისე სხვა

ქვეყნების საწარმოო ცენტრებთან და ეს ვითარება აისახა კიდევ კვეტერის XIII-XIV სს-ის კერამიკაზე.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ მონღოლების შემოსევის გამო, XIII ს-ის შემდეგ კვეტერაში ცხოვრება ჩაკვდა [23, გვ. 30]. მართალია, მონღოლებს დიდი როლი უნდა ეთამაშათ კვეტერის, როგორც ძლიერი ციხე-სიმაგრის დასუსტების საქმეში, მაგრამ ვფიქრობთ, ის მონღოლთა შემოსევების შედეგად არ განადგურებულა. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ კვეტერის XI-XIV სს-ით დათარიღებული მოჭიქული კერამიკის ადგილობრივ წარმოებაში რაიმე წყვეტილი არ ჩანს. მონღოლთა შემოსევებმა და მათმა მძიმე ეკონომიკურმა პოლიტიკამ XIII ს-ის შუა ხანებიდან ეკონომიკის ყველა სფეროში, მათ შორის კერამიკულ წარმოებაშიც უარყოფითი შედეგები გამოიღო. XIII ს-ის შუა ხანების შემდეგ მოჭიქული კერამიკა უკვე შედარებით მცირე რაოდენობით მზადდება და მხატვრულობის თვალსაზრისითაც ისინი საკმაოდ მდარე ნამუშევრებია, მაგრამ ქვეყანაში არსებული მძიმე პირობების მიუხედავად, სამეთუნეო წარმოება კვეტერაში მაინც აგრძელებს არსებობას. კვეტერა მონღოლებს რომ გაეპარტახებინათ, ეს ვითარება რაღაც ფორმით უნდა ასახულიყო სამეთუნეო წარმოების სფეროში, მაგრამ სურათი სულ სხვაგვარია. განათხარ მასალაში გვხვდება XIII-XIV სს-ის მოჭიქული ჯამების წუნდებული ნიმუშები. მამასადამე, სამეთუნეო წარმოება იქ არ მოშლილა. სასახლის გათხრებისას მრავლად აღმოჩნდა XIII-XIV სს-ის მოჭიქული ჭურჭელი, რაც იმის მანიშნებელია, რომ იმ პერიოდში სასახლეში კვლავ გრძელდებოდა ცხოვრება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ განათხარ მასალაში გვხვდება მანგუ ყანისა (1251-1259 წწ) და ილხან აბუ-საიდის (1316-1336 წწ) მონეტა. ჩანს, იმ პერიოდში კვეტერა კვლავ განაგრძობს არსებობას. კვეტერის დაცემა-გაპარტახების მიზეზი უნდა ყოფილიყო არა იმდენად მონღოლთა შემოსევები (თუმცა ამ მოვლენამაც ითამაშა გარკვეული როლი), რამდენადაც თემურ-ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობები XIV ს-ის ბოლოს. ამასთან დაკავშირე-



ბით უნდა გავიხსენოთ წერილობითი წყაროების ცნობები. ქვათახევის მონასტრისა და რუისის აოხრების შემდეგ თემურ-ლენგის ჯარმა «ჩამოვლეს კახეთი, და იგიცა ალაოხრეს და დაწვეს და წარვიდეს» [54, გვ. 329]. იგივე ამბავს ვახუშტი ბაგრატიონი ასე გადმოგვცემს: თემურმა «ჩავლო ჰერ-კახნი, მოაოხრნა იგინიცა ყოვლითა შენებულებითა» [55, გვ. 268]. არქეოლოგიური მასალები და წერილობითი წყაროების მონაცემები გარკვეულ შესაბამისობაში მოდის და გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ მონღოლთა ბატონობის შედეგად დასუსტებული კვეტერის დაცემის მიზეზი იყო თემურ-ლენგის შემოსევები. იმ პერიოდში უნდა განადგურებულიყო სასახლე, წყალსაცავი და სხვა ძირითადი ნაგებობები. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გათხრებისას ნგრევის მაინცადა-მაინც დიდი კვალი არ დადასტურებულა. ამის შემდეგ კვეტერაში ცხოვრება გარკვეული დროით ჩამკვდარია. მისი ხელახალი აღორძინება იწყება XVI ს-ში, როცა კახეთის დამოუკიდებელი სამეფო საკმაოდ მომძლავრდა. იმ დროისათვის კვლავ განახლებულა ცხოვრება სასახლეში, ჩნდება სხვა სამოსახლოებიც, სასაფლაო და სხვ. მაგრამ იქ გამოვლენილი, წინა პერიოდთან შედარებით მცირერიცხოვანი XVI-XVII სს-ის არქეოლოგიური მასალა იმაზე მიუთითებს, რომ დასახლებას უკვე აღარ ჰქონდა უწინდელი ფართო მასშტაბები. კვეტერას კიდევ ერთი მძიმე დარტყმა უნდა განეცადა XVII ს-ის დასაწყისში, შაჰ-აბასის მიერ კახეთის სასტიკი აოხრების დროს. ამ თარიღს არქეოლოგიური მასალაც უჭერს მხარს. მომდევნო პერიოდის მასალა იქ კვლავ გვხვდება, თუმცა უკვე ნაკლებად. კვეტერა 1775 წლის ერთ საბუთშია მოხსენიებული, მაგრამ არა როგორც დასახლებული პუნქტი, არამედ როგორც ჩოლოყაშვილების კუთვნილი მამული [56, გვ. 316].

ასეთია კვეტერის ციხე-სიმაგრის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ეტაპები არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების ანალიზის მიხედვით. კვეტერის ციხის განათხარი მასალა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მომავალში კიდევ მოითხოვს დამატებით კვლევა-ძიებას,

რათა ამომწურავი პასუხი გაეცეს ციხე-სიმაგრის გარშემო წამოჭრილ ყველა კითხვას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრამიშვილი თ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 1980-1981 წწ შემოსული ნუმიზმატიკური მასალა, სსმმ, ტ. XXXVII-B, 1984.
2. არჩვაძე თ. თბილისის დედა ციხეზე აღმოჩენილი წერნაქიანი ჭურჭელი, ფსაძ, ტ. II, თბ., 1974.
3. ბარდაველიძე ვ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941.
4. ბახტაძე ნ. ქვემო ქართლის კლდის ძეგლები, თბ., 1991.
5. ბედუკაძე ს., რეხვიაშვილი ნ., მოლოდინი ლ., ჩართოლანი მ., ჩაჩაშვილი გ. ქართული ხალხური კერამიკა, თბ., 1964.
6. ბოხოჩაძე ა. მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1963.
7. ბოჭორიშვილი ლ. ქართული კერამიკა I, კახური, თბ., 1949.
8. ბუჩუკური ა. არაგვის ხეობის ქვევრები და თაღარები (ხელნაწერი).
9. გოჩიაშვილი მ. მოუჭიქავი თიხის ჭურჭელი დმანისიდან, აძ, თბ., 1977.
10. გპელიშვილი ი. არქეოლოგიური გათხრა სოფ. ღუნია-ყალაში, მსკი, ნაკ. 29, 1951.
11. გპელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო. თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961.
12. დოლაბერიძე რ. XI-XIII სს ბეჭდები, სსმმ, ტ. XXVII-B, 1967.
13. დოლაბერიძე რ. საქართველოს მინის სამაჯურები, სსმმ, XXVIII-B, 1969.
14. ვაჩნაძე დ. სასახლე კვეტერაში, ძმ, №2, 1989.
15. კოპალიანი ჯ. დმანისის ციხე, თბ., 1996.
16. ლომთათიძე გ. არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, მსკა, ტ. I, თბ., 1955.

17. **ლომთათიძე გ.** რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსკა, ტ. I, თბ., 1955.
18. **ლომთათიძე გ.** შუაფეოდალური ხანის ნამოსახლარების გათხრა სამშვილდის მიდამოებში, ფსად, ტ. II, თბ., 1974.
19. **ლომთათიძე გ.** საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII ს.ს., თბ., 1977.
20. **ლომთათიძე გ.** არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1949 წლის გაზაფხულზე, ფსად, ტ. IV, თბ., 1982.
21. **ლომთათიძე გ.** ქალაქი რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით, რუსთავი I, თბ., 1988.
22. **ლომთათიძე გ.** არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთსა და ივრის ხეობებში, თბ., 1989.
23. **ლომთათიძე გ., რამიშვილი რ.** პირველი არქეოლოგიური კამპანია კვეტერაში, სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში 1968 წელს წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1969.
24. **მაკალათია მ.** მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1985.
25. **მარგველაშვილი მ.** მეთუნეობასთან დაკავშირებული მასალები ჟინვალის «ნაქალაქარიდან», აძ, თბ., 1982.
26. **მარგველაშვილი მ.** არაგვის ხეობის განვითარებული შუასაუკუნეების თიხის ნაწარმი (მოჭიქული კერამიკა), თბ., 1987 (ხელნაწერი).
27. **მარგველაშვილი მ.** არაგვის ხეობის მოუჭიქავი ჭურჭელი, თბ., 1989 (ხელნაწერი).
28. **მარგველაშვილი მ.** ჟინვალის ნაქალაქარის სამეთუნეო ქურები, აძ თბ., 1990.
29. **მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის**, ტ. II, ნაწ. I, თბ., 1979.
30. **მინდორაშვილი დ.** თისელის ნასოფლარი, კრ. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბ., 2010.
31. **მინდორაშვილი დ.** კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა I, სშაძ, ტ. I, თბ., 2007.

32. მინდორაშვილი დ. უფლისციხე შუა საუკუნეებში, თბ., 2008.
33. მინდორაშვილი დ. არქეოლოგიური გათხრები ძველ თბილისში, თბ., 2009.
34. მიწიშვილი მ. მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში, IX-XIII სს, თბ., 1969.
35. მიწიშვილი მ. თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა, ფსაძ, ტ. II, თბ., 1974.
36. მიწიშვილი მ. მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეთა თბილისში, IX-XIII სს, თბ., 1979.
37. მიწიშვილი მ. შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკა (IX-XIII სს.), სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1998.
38. მოსულიშვილი ირ. კვეტერის ციხე-კომპლექსი, წელიწდეული, VI-VII, 2002-2003, გვ. 140-163.
39. მუსხელიშვილი ლ. დმანისი, კრ. «შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა», თბ., 1937.
40. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1980.
41. მუსხელიშვილი დ., რამიშვილი რ. ჟალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წლის ანგარიში, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1964.
42. მჭედლიშვილი ბ. ივრისპირის «ქვაბების» არქეოლოგიური დაზვერვები, სსმაე, ტ. V, 1977.
43. ნიკოლაიშვილი ბ. არქეოლოგიური მასალები ტამალას წმიდა გიორგის ეკლესიიდან, ძმ, №67, 1984.
44. რამიშვილი რ. კვეტერის 1968 წ. გათხრების დღიური (ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დუშეთის ბაზაზე).
45. რამიშვილი რ. სიონი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები I, თბ., 1970.

46. რამიშვილი რ. ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ განათხარის მიხედვით, ჟინვალი I, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, თბ., 1983.
47. რამიშვილი რ., ჭეიშვილი გ. აღდგენითი მუშაობა და მასთან დაკავშირებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება იყალთოში 1966 წელს, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები-სადმი, თბ., 1967.
48. რჩელიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები ჟინვალის ხერთვისზე (ხელნაწერი).
49. რჩელიშვილი გ. ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1990.
50. სინაურიძე მ. აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა, მსმკი, ტ. I, თბ., 1966.
51. უგრელიძე ნ. ნატბურის მინის საწარმო, მსკა, ტ. III, თბ., 1963.
52. ფრუიძე ლ. მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, თბ., 1974.
53. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
54. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
55. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
56. ქსმ, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. VII, თბ., 1981.
57. ღვაბერიძე ც. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაიართა სახელმწიფოსთან, თბ., 1986.
58. ჩიკოიძე ც. ქალაქ თელავის ისტორიისათვის, ფსამ, ტ. I, თბ., 1969.

59. ჩიკოძე ც. თელავი გვიანფეოდალურ ხანაში, ფსად, ტ. II, თბ., 1974.
60. ჩიკოძე ც. ქალაქი თელავი, თბ., 1979.
61. ჩხატარაშვილი მ. რუსთავის შუასაუკუნეთა ხანის მოღუჭიქავი კერამიკის ერთი თავისებური სახეობა, მაცნე, №5, 1964.
62. ჩხატარაშვილი მ. მინის ჭურჭელი შუასაუკუნეთა საქართველოში, თბ., 1978.
63. ჭილაშვილი ლ. ქალაქი რუსთავი, თბ., 1958.
64. ჭილაშვილი ლ. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II, თბ., 1970.
65. ჭილაშვილი ლ. ძველი გავაზი, თბ., 1975.
66. ჭილაშვილი ლ. არეში, თბ., 1991.
67. ჭილაშვილი ლ. თბილისის კერამიკული სახელოსნოს დანგრევის თარიღისათვის, სსმმ, ტ. 43-ბ, 1999.
68. ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე I, 1957-1963 წწ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბ., 1964.
69. ჯანდიერი ე. ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიისათვის, ფსად, ტ. I, თბ., 1969.
70. ჯანდიერი ე. ჯავახეთის ახალქალაქის განათხარ ნაგებობათა თარიღისათვის, ფსად, ტ. III, თბ., 1978.
71. ჯაფარიძე ვ. კერამიკული წარმოება XI-XIII სს საქართველოში, თბ., 1956.
72. ჯაფარიძე ვ. ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა, სსმმ, ტ. XXVIII-B, 1969.
73. ჯაფარიძე ვ. შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის თარიღის დაზუსტებისათვის, კრ. დმანისი I, თბ., 1998.
74. ჯაფარიძე ვ. ვარდციხის ნაქალაქარი, თბ., 1989.
75. ჯორბენაძე ბ. ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში, თბ., 1982.
76. ჯორბენაძე ბ. ჟალეთის მთის არქეოლოგიური ძეგლები, მაცნე, №4, 1982.

77. **ჯორბენაძე ბ.** ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნის თხრა 1972 წელს, ჟინვალი I, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, თბ., 1983.
78. **ჯღამაია ჯ.** სამშენებლო კერამიკის წარმოება ფეოდალური ხანის საქართველოში, ფსად, ტ. I, თბ., 1969.
79. **ჯღამაია ჯ.** სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში, თბ., 1980.
80. **Артилаква В. Е.** Железообрабатывающее ремесло древней Грузии, Тб., 1976.
81. **Ахмедов Г. М.** Неполивная керамика Орен-кала IX-XIII вв, МИА, т. 67, М-Л, 1959.Ш
82. **Ахмедов Г. М.** Средневековый город Байлакан (историко-археологическое исследование), автореферат, Баку, 1974.
83. **Бабаян Ф.** Орнаментальные мотивы художественной керамики средневековой Армении, Ер., 1981, სომხურ ენაზე, რუსული რეზიუმეით.
84. **Джатиев Р. Г.** Раскопки могильников в сс. Бритат и Сба Джавского района, ПАИ в 1976 г. Тб., 1979.
85. **Калантарян А. А.** К вопросу о способах изготовления керамики в средневековой Армении, ფსად, ტ. II, თბ., 1974.
86. **Калантарян А. А.** Двин I, раскопки центрального квартала 1964-1970 гг, Ер., 1976.
87. **Кафадарян К. Г.** Город Двин и его раскопки, Ер., 1952.
88. **Марковин В. И.** Пещеры-родовые усипальницы в Шатоевской котловине (Чечня), КСИА, вып. 86, М. 1961.
89. **Милорадович О. В.** Христианский могильник на городище верхней Джулат, МИА, т. 114, М-Л, 1963.
90. **Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Глonti М. Г., Мухигулашвили Н. З., Робакидзе Ц. Ш., Чихладзе В. В., Циклаური Д. К., Маргвелашვილი М. Г., Рчеულიшვილი Г. М., Лომიძე Ц. შ., Цикლაური ი. დ., Цერетელი კ. ბ.** Работы Жинвальской комплексной археологической экспедиции, ПАИ в 1981 г. Тб., 1984.

91. Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А. Полихромная керамика из раскопок в Кветера и Хорнабуджи, Материалы I Симпозиума по проблеме «Полихромная поливная керамика Закавказья - Истоки и пути распространения», тезисы докладов, Тб., 1985.
92. Синауридзе М. И. Результаты археологического изучения Болнисского района, Тб., 1977.
93. Умаров С. Ц. Археологические исследования в высокогорных районах Чечни в 1968 году, АЭС, т. 4, Грозный, 1976.
94. Чикоидзе Ц. Н. Арчвадзе Т. Д., Чхатарашвили М. Н., Джандиери Е. Г., Джапаридзе И. В. Археологические исследования кухетской экспедиции в 1983-1985 гг, ПАИ в 1984-1985 гг, Тб., 1987.
95. Чубинашвили Г. Н. Архитектура кахетии, Тб., 1959.
96. Якобсон А. Л. Раскопки на городище Орен-кала в 1953-1955 гг, МИА, т. 67, М-Л, 1959.У



## კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალის კატალოგი

### თონები

I. თონის პირის ნატეხი<sup>8</sup>. წითელკეციანი. მასიური, ფართოდ დაბრტყელებული ოთხკუთხაგანიკვეთიანი პირით. თიხა მსხვილმინარევიანი. პირის სიმაღლე 7 სმ, სიგანე 10,5 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. V 248).

II. თონის პირის ნატეხი. წითელკეციანი. პირის სიგანე არ აღემატება კეცის სისქეს. პირმოყრილი. შიდაპირი შემკულია ამოღარული ხაზებითა და წრეებით. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცის სისქე 2,5 სმ. კარიბჭე (ტაბ. V 1955).

\* \* \*

თონის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. გადანატეხში მუქი. შიდაპირი შემკულია ამოღარული კონცენტრული ხაზებითა და ნახევარწრეებით. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცის სისქე 3,3 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. V 220).

თონის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შიდაპირი შემკულია ამოღარული ხაზებითა და წრეებით. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცის სისქე 2,6 სმ. კვ-68-685, შიდა ციხე, V უბანი.

თონის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შიდაპირი შემკულია ამოღარული ხაზებითა და წრეებით. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცის სისქე 4 სმ. კარიბჭე (ტაბ. V 1916).

---

<sup>8</sup> რომაული ციფრებით მითითებულია კერამიკული ნაწარმის ცალკეული ჯგუფების ტიპები. ვარსკვლავებით გამოყოფილია ფრაგმენტები, რომლებიც ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას არ ექვემდებარებიან.

თონის ხუფის სახელურის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. ოვალურგანივკვეთიანი. ზურგზე დაუყვება რელიეფური ქედი. თიხა მსხვილმინარევიანი. დ. 2,2-2,5 სმ. კვ-68-717, შიდა ციხე, V უბანი.

თონის ხუფის სახელურის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. მრგვალგანივკვეთიანი. ხელით ნამერწი. თიხა მსხვილმინარევიანი. დ. 2,7 სმ. კვ-68-1358, შიდა ციხე, სასახლე.

### ქვევრები

I. ქვევრის პირის ნატეხი. წითელკეციანი. ფართოპირიანი. სწორი, მომადლო ყელით. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცი გადანატეხში მუქი. ბაკოს სიგანე 5 სმ, კეცის სისქე 2 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. V 893).

ანალოგიურია: ტაბ. V 948, კვ-68-1023, შიდა ციხე, სასახლე.

II. ქვევრის პირის ნატეხი. წითელკეციანი. სამკუთხაგანივკვეთიანი პირით. დაბალყელიანი. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცი გადანატეხში მუქი. ბაკოს სიგანე 6,5 სმ, კეცის სისქე 2 სმ. შიდა ციხე V უბანი (ტაბ. V 660).

ანალოგიურია: ტაბ. V 1411, შიდა ციხე, სასახლე; 1919, კარიბჭე; კვ-68-222, 374, 380, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-575, 651, 659, 725, შიდა ციხე, V უბანი; კვ-68-946, 1033, 1048, 1365, 1421, 1597, შიდა ციხე, სასახლე; კვ-68-1918, 1919, 2038 კარიბჭე; კვ-68-2107, შემთხვევითი მონაპოვარი.

\* \* \*

ქვევრის ძირის ნატეხი. წითელკეციანი. დაბალქუსლიანი. ბრტყელძირა. თიხა მსხვილმინარევიანი. ძირის დ. 14 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. V 208).

ანალოგიურია: კვ-68-747, შიდა ციხე, V უბანი; კვ-68-1024, შიდა ციხე, სასახლე.

ქვევრის გვერდის ნატეხი (2ც). წითელკეციანი. სადა. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 2-3 სმ. კვ-68-221, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-156 შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-797, 828, შიდა ციხე, სასახლე.

ქვევრის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. სადა. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 2,5-3,5 სმ. კვ-68-833, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-868 შიდა ციხე, სასახლე; კვ-68-1917, კარიბჭე.

ქვევრის ძირის ნატეხი. წითელკეციანი. ბიკონუსური მოყვანილობის ქუსლით. ბრტყელძირა. თიხა მსხვილმინარევიანი. ძირის დ. 15 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. V 1771).

ქვევრის ხუფის ნატეხი. წითელკეციანი. დისკოსებური მოყვანილობის. მასიური. ცენტრში ფართო ნახვრეტით. ხუფის ქვედა მხარე შემკულია ამოდარული რომბისებური ხაზებით. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 3,5 სმ. კვ-68-32, შიდა ციხე, წყალსაცავი.

#### **სადღვებლები**

სადღვებლის(?) პირ-გვერდისა და ძირის ნატეხები. ლეგაკეციანი. ოთხკუთხაგანივკვეთიანი გაშლილი პირით. მაღალი, ვიწრო ყელით. ბრტყელძირა. ზედაპირი შემკულია წნევით დატანილი ზოლებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ძირის დ. 12 სმ, კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-107, 108, 109, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-49, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-1045, შიდა ციხე, სასახლე.

სადღვებლის ნატეხი. წითელკეციანი. ფართო, შემადღვებული ნახვრეტით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში

მუქი. ნახვრეტის დ. 2,5 სმ, კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1102, შიდა ციხე, სასახლე.

### კოკები

**I1.** კოკის პირ-ყელის ნატეხი. ლეგაკეციანი. ფართო, ცილინდრულ ყელზე შემოუყვება წიბო. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,4 სმ. კვ-68-368, შიდა ციხე, წყალსაცავი.

კოკის პირ-ყელის ნატეხი. ლეგაკეციანი. სწორი წრიული პირით. ფართო ცილინდრულ ყელზე შემოუყვება წიბო. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,4 სმ. შიდა ციხე, V უბანი (ტაბ. V 694).

კოკის პირ-ყელის ნატეხი. ლეგაკეციანი. წრიულპირიანი. ფართო, ცილინდრულ ყელზე დაძერწილია ოვალურგანიკვებითიანი ყური და წიბო. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,4 სმ. შიდა ციხე, ეკლესიის ეზო, თხრილი №2 (ტაბ. V 783).

**I2.** კოკის პირ-ყელის ნატეხი. ლეგაკეციანი. ბაკოჩადარული. გაშლილი წრიული პირით. დაბალი, ფართო ყელით. შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,6 სმ. შიდა ციხე, V უბანი (ტაბ. V 689).

კოკის პირ-გვერდის ნატეხი. ლეგაკეციანი. გაშლილი წრიული პირით. დაბალი, ფართო ყელით. ყურმოტეხლი, მხრებგანზიდული. თიხა წვრილმარცვლოვანი. პირის დ. 7,5 სმ, კეცის სისქე 0,7 სმ. შიდა ციხე, ეკლესიის შესასვლელი, თხრილი №2 (ტაბ. V 788).

კოკის პირ-ყელის ნატეხი. ლეგაკეციანი. გაშლილი წრიული პირით. ბრტყელგანიკვებითიანი ყური მიერთებულია პირზე. ყელი ფართოა, დაბალი. მხარი შემკულია მორგვისეული

ხაზებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. პირის დ. 6,5 სმ, კეცის სისქე 0,7 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. V 1921).

**III.** კოკის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. სამტუჩა. ფართოყელიანი. ყურმოტეხილი. თეთრად ანგობირებული ზედაპირი შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-54, შიდა ციხე, წყალსაცავი. ანალოგიურია: კვ-68-139, 435, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-1063, შიდა ციხე, სასახლე.

კოკის პირ-ყელის ნატეხი. წითელკეციანი. სამტუჩა. დაბალი ფართო ყელი შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებითა და ამოღარული სარტყელებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-58, შიდა ციხე, სასახლე.

კოკის პირ-ყელის ნატეხი. წითელკეციანი. სამტუჩა. ნაჭდევებით შემკული ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირზე. ყელი დაბალია, ფართო. ტუჩს ქვემოთ, ორივე მხარეს აქვს ჩაჭდეული წერტილი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 1 სმ. კვ-68-247, შიდა ციხე, წყალსაცავი.

კოკის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. სამტუჩა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე. ყელი ფართოა, დაბალი. მხარი შემკულია ამოღარული ტალღოვანი და სწორი ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-325, შიდა ციხე, სასახლე.

კოკის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. სამტუჩა. გაშლილი პირით. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირ-

სა და მხარზე. ყელი ფართოა, დაბალი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,7 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. VI 370).

კოკის პირ-ყელის ნატეხი. წითელკეციანი. სამტუჩა. პირგაშლილი. დაბალი, ფართო ყელით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-729, შიდა ციხე, სასახლე.  
ანალოგიურია: კვ-68-950, 1044, შიდა ციხე, სასახლე.

კოკის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. სამტუჩა. ნაქდევებით შემკული ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე. ფართო, დაბალი ყელით. მხარზე შემოუყვება მორგვისეული ხაზები. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. VI 860).

კოკის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. სამტუჩა. მომრგვალებული ბაკოთი. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,6. კვ-68-1779, შიდა ციხე, სასახლე.  
ანალოგიურია: კვ-68-1103, შიდა ციხე, სასახლე.

კოკის პირ-ყელის ნატეხი. წითელკეციანი. სამტუჩა. მომრგვალებული ბაკოთი. დაბალ ყელზე შემოუყვება წიბო. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-1258, შიდა ციხე, სასახლე.

კოკის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. სამტუჩა. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე. დაბალი, ვიწრო ყელითა და გაშლილი მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,6 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. VI 1892).

კოკის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. სამტუჩა. რელიეფური შვერილით შემკული ყური მიერთებულია ყელსა და მხარზე. ყელი ფართოა, მაღალი. მხრები შემკულია მორგვისეული ხაზებით. ჭურჭელი შეღებილია წერნაქით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,6 სმ. კომპოზიტი მიდგმული ნაგებობიდან (ტაბ. VI 741).

**II2.** კოკის პირ-ყელის ნატეხი. წითელკეციანი. სამტუჩა. ოდნავ პირგაშლილი. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირზე. მაღალი, ფართო, ცილინდრული მოყვანილობის ყელი შემკულია წიბოებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. ყურის დ. 1,2-2,3 სმ, კეცის სისქე 0,4 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. VI 215).

ანალოგიურია: კვ-68-409, შიდა ციხე, წყალსაცავი.

\* \* \*

კოკის ყურის ნატეხი. წითელკეციანი. ბრტყელგანივკვეთიანი. შემკულია ორი გრძივი ღარით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ყურის დ. 1,7-6 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. VI 86).

კოკის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,9 სმ. კვ-68-92, შიდა ციხე, წყალსაცავი.

კოკის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია რელიეფური სარტყელითა და წნევით დატანილი რომბისებური ზოლებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-93, შიდა ციხე, წყალსაცავი.

კოკის ყელ-გვერდის ნატეხი. პირმოტეხილი. ფართოყელიანი. მხრები შემკულია წნევით დატანილი ზოლებით. თიხა მსხვი-

ლმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-113, შიდა ციხე წყალსაცავი.

კოკის ყურ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ოვალურგანივ-კვეთიანი ყური შემკულია ნაჭდევებით. ტანზე გამოყვანილია წნევით დატანილი ზოლები. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,9 სმ. კვ-68-142, შიდა ციხე, წყალსაცავი.

კოკის ძირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ბრტყელძირა. შემკულია მორგვისეული ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ძირის დ. 12 სმ, კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-147, შიდა ციხე, წყალსაცავი.

კოკის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია წნევით დატანილი ზოლებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-149, შიდა ციხე, წყალსაცავი.  
ანალოგიურია: კვ-68-734, შიდა ციხე, V უბანი.

კოკის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-151, შიდა ციხე, წყალსაცავი.

კოკის ძირის ნატეხი. წითელკეციანი. ბრტყელძირა. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ძირის დ. 15 სმ, კეცის სისქე 1 სმ. კვ-68-204, შიდა ციხე, წყალსაცავი.  
ანალოგიურია: კვ-68-246, 306 (2ც), 379, 384, 533, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-582, შიდა ციხე V უბანი; კვ-68-756 (2ც), აღმოსავლეთის კოშკზე მიდგმული ნაგებობიდან.

კოკის ყელ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ფართო ყელი შემკულია ამოღარული კონცენტრული და სწორი ხაზებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-207, შიდა ციხე, წყალსაცავი.



ანალოგიურია: კვ-68-1344, შიდა ციხე, სასახლე.

კოკის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. თეთრად ანგობირებული ზედაპირი შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-276, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-291 (5ც), 316, 352, 459, შიდა ციხე, წყალსაცავი.

კოკის ყელ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. მაღალი ყელით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-281, შიდა ციხე, წყალსაცავი.

კოკის ყელ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. პირმომტვრეული. ფართო ყელზე შემოუყვება წიბო. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-326, შიდა ციხე, წყალსაცავი.

კოკის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია მორგვისეული ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,9 სმ. კვ-68-345, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-388, 519, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-771, აღმოსავლეთის კოშკზე მიდგმული ნაგებობიდან.

კოკის ძირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. თეთრად ანგობირებული ზედაპირი შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ძირის დ. 16 სმ, კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-382, შიდა ციხე, წყალსაცავი.

კოკის ყელ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ფართო, მომაღლო ყელით. პირმოტეხილი. შემკულია მორგვისეული ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-446, შიდა ციხე, წყალსაცავი.

კოკის პირ-ყელის ნატეხი. წითელკეციანი. პირზე შემორჩენილია ბრტყელგანივკვეთიანი ყურის ნაწილი. ფართოყელიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,9 სმ. კვ-68-606, შიდა ციხე, V უბანი.

კოკის ყელ-გვერდის ნატეხები (2ც). წითელკეციანი. პირმოტეხილი. ფართოყელიანი. შემკულია ამოდარული სარტყელე-ბით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,5-0,7 სმ. კვ-68-670, შიდა ციხე, V უბანი.

კოკის ყურის ნატეხი. წითელკეციანი. ოვალურგანივკვეთიანი. კეცი გადანატეხში მუქი. ყურის დ. 1,8-3,9 სმ. კვ-68-683, შიდა ციხე, V უბანი.

კოკის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია მორგვის-ეული ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-689, შიდა ციხე, V უბანი.

კოკის ყურის ნატეხი. წითელკეციანი. ბრტყელგანივკვეთიანი. შემკულია ვერტიკალური ღარითა და მოკლე ნაჭდევებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ყურის დ. 1,8-5,7 სმ. შიდა ციხე, V უბანი (ტაბ. VI 700).

კოკის ყურის ნატეხი. წითელკეციანი. მრგვალგანივკვეთიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ყურის დ. 2,6-2,9 სმ. კვ-68-711, შიდა ციხე, V უბანი

კოკის ყურის ნატეხი. წითელკეციანი. ბრტყელგანივკვეთიანი. ყურის პირთან მიერთების ადგილას დამერწილი აქვს კოკი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ყურის დ. 2,2-4,6 სმ. აღმოსავლეთის კოშკზე მიდგმული ნაგებობიდან (ტაბ. VI 751).

კოკის ყურის ნატეხი. წითელკეციანი. მრგვალგანივკვეთიანი. შემკულია მოკლე ნაჭდევებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი.

კეცი გადანატეხში მუქი. ყურის დ. 3 სმ. შიდა ციხე სასახლე (ტაბ. VI 824).

კოკის ყურ-ყელის ნატეხი. წითელკეციანი. ბრტყელგანივკვეთიანი. ნაჭდევებით შემკული ყური მიერთებულია პირზე. ყელი ფართოა, მომადლო. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ყურის დ. 1,7-5,3 სმ. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-825, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-867, შიდა ციხე, სასახლე.

კოკის ძირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ბრტყელძირიანი. ზედაპირი შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-939, შიდა ციხე სასახლე.

კოკის ძირის ნატეხები (3ც). წითელკეციანი. ბრტყელძირიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 1 სმ. კვ-68-1025, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-1061, 1149, 1190, 1554, 2065, კარიბჭე.

კოკის ყურ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. მრგვალგანივკვეთიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ყურის დ. 2,6-3,3 სმ. კვ-68-1137, შიდა ციხე, სასახლე.

კოკის ყურ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ბრტყელგანივკვეთიანი. შემკულია მოკლე ნაჭდევებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ყურის დ. 2,1-4,8 სმ. კვ-68-1507, შიდა ციხე, სასახლე.

კოკის ყურის ნატეხი. წითელკეციანი. ბრტყელგანივკვეთიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ყურის დ. 2-5,7 სმ. კვ-68-1560, შიდა ციხე, სასახლე.

კოკის ყურის ნატეხი. წითელკეციანი. მრგვალგანივკვეთიანი. გრებილი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ყურის დ. 3,3 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. VI 1769).

კოკის ყურის ნატეხი. წითელკეციანი. ბრტყელგანივკვეთიანი. შემკულია კოპითა და მოკლე ნაჭდევებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ყურის დ. 2,4-6 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. VI 1893).

### კეცები

კეცის ნატეხი. წითლად გამომწვარი. პირგაშლილი. დაბალი კალთით. ბრტყელძირიანი. თიხა მსხვილმინარევიანი. სიმაღლე 5,7 სმ, კედლის სისქე 2 სმ. კვ-68-145, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-33, 68, 77, 88, 226, 272, 279, 328, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-565, 587, 629, 633, 635, 648, 696, 701, შიდა ციხე, V უბანი; კვ-68-782, გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხის ეკლესიიდან; კვ-68-882, 908, 1096, 1142, 1261, 1268, 1339, 1395, შიდა ციხე, სასახლე; კვ-68-2037, კარიბჭე.

კეცის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ირიბი ნაჭდევებით შემკული, მომრგვალებული ბაკოთი. პირგაშლილი. დაბალი კალთით ბრტყელძირიანი. თიხა მსხვილმინარევიანი. სიმაღლე 4 სმ. კედლის სისქე 1,2 სმ. კვ-68-845, შიდა ციხე, სასახლე. ანალოგიურია: კვ-68-809, 841, 1136, 1649, შიდა ციხე, სასახლე.

კეცის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ირიბი ნაჭდევებით შემკული, მომრგვალებული ბაკოთი. პირგაშლილი. დაბალი კალთით. ბრტყელძირიანი. ფსკერზე გამოსახულია ამოდარული ხაზები. თიხა მსხვილმინარევიანი. სიმაღლე 4,4 სმ, კედლის სისქე 1,5 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. V 223).

კეცის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ირიბი ნაჭდევებით შემკული, გაშლილი პირით. დაბალი კალთით. ბრტყელძირ-

იანი. ფსკერზე გამოსახულია ჩაჭდული წერტილები. თიხა მსხვილმინარევიანი. შემორჩენილი სიმაღლე 6,6 სმ, კედლის სისქე 1,8 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. V 226).

კეცის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ირიბი ნაჭდევებით შემკული პირითი. დაბალი კალთით. ბრტყელძირიანი. ფსკერზე გამოწვამდე ამოუკაწრავთ მკლავებგახსნილი ჯვარი და ჩაჭდული წერტილები. თიხა მსხვილმინარევიანი. პირის დ. 7,5 სმ, სიმაღლე 2,5 სმ, ძირის დ. 7 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. V 871).

ანალოგიურია: ტაბ. V 1035, შიდა ციხე, სასახლე.

კეცის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ირიბი ნაჭდევებით შემკული, მომრგვალებული ბაკოთი. პირგაშლილი. დაბალი კალთით. ბრტყელძირიანი. ფსკერზე თითით გამოყვანილია ზოლი და ჩაჭდული წრე (ჯვარი?). თიხა მსხვილმინარევიანი. სიმაღლე 3 სმ, კედლის სისქე 1,5 სმ. კვ-68-1366, შიდა ციხე, სასახლე.

კეცის ნატეხი. წითლად გამომწვარი. მომრგვალებული ბაკოთი. პირგაშლილი. დაბალი კალთით, რომელზეც გამოწვამდე ამოკაწრულია ასოები «ჭ» და «ნ» თუ «შ». თიხა მსხვილმინარევიანი. შემორჩენილი სიმაღლე 7,2 სმ, კედლის სისქე 2 სმ. შიდა ციხე, V უბანი (ტაბ. V 593).

### ქოთნები

I. ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. პირგაშლილი. დაბალყელიანი. მხარზე შემორჩენილი აქვს ნახვრეტი - მოტეხილი მილის კვალი. შემკულია წნევით დატანილი ზოლებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,4 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. V 138).

ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. გაშლილი პირი გადადის განზიდულ, ამოღარული ხაზებითა

და სავარცხლისებური ორნამენტით შემკულ მხრებში, რომელზეც აქვს ნახვრეტი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-901, შიდა ციხე, სასახლე.

ქოთნის მილ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. მხარზე მოკლე და ფართო, ცილინდრული მოყვანილობის მილით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. მილის დ. 2-2,3 სმ, კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-934, შიდა ციხე, სასახლე.  
ანალოგიურია: კვ-68-1032, კვ-68-1585, შიდა ციხე, სასახლე; კვ-68-2010, კარიბჭე.

ქოთნის მილ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. ცილინდრული მოყვანილობის ფართო მილი შემკულია მოკლე, ამოღარული ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. მილის დ. 2,5 სმ, კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-1311, შიდა ციხე, სასახლე.

ქოთნის მილ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. პირმოტეხილი. დაბალყელიანი. ცილინდრული მოყვანილობის მოკლე და ფართო მილით. ტანი შემკულია მორგვისეული ხაზებით, ამოღარული სწორი და ტალღოვანი სარტყელით. მილს ფუძეზე შემოუყვება მოკლე ნაჭდევები. თიხა მსხვილმარცვლოვანი. მილის დ. 2,3 სმ, კეცის სისქე 0,6 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. VII 1280).

ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. გაშლილი პირით. დაბალყელიანი. მხარზე მოკლე და ფართო ცილინდრული მოყვანილობის მილით. ტანი შემკულია მორგვისეული ხაზებითა და ამოღარული ტალღოვანი სარტყელით. მილს ფუძეზე შემოუყვება მოკლე ნაჭდევები. თიხა მსხვილმარცვლოვანი. მილის დ. 2,5 სმ, კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-1467, შიდა ციხე, სასახლე.

ქოთნების მილ-გვერდის ნატეხები (2ც). წითელკეციანი. შებოლილი. მოკლე და ფართო ცილინდრული მოყვანილობის მილით. გვერდი შემკულია მორგვისეული ხაზებითა და ამოდარული ტალღოვანი სარტყელით. მეორე ნატეხი სადაა. თიხა მსხვილმარცვლოვანი. მილის დ. 2-2,5 სმ. კვ-68-2041, კარიბჭე.

ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. დეფორმირებული პირ-ყელით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-57, შიდა ციხე, წყალსაცავი.

**II.** ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. გაშლილი პირით. დაბალყელიანი. მოგრძო ნაჭდევებით შემკული ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელსა და მხარზე. მხარზე შემოუყვება ამოდარული ტალღოვანი ორნამენტი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,5 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. VII 37).

ანალოგიურია: ტაბ. VII 932, შიდა ციხე, სასახლე.

**III1.** ქოთნის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. ოდნავ პირ-გაშლილი. დაბალყელიანი. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია მხარსა და მუცელზე. თიხა მსხვილმარცვლოვანი. სიმაღლე 15 სმ, ძირის დ. 12 სმ, კეცის სისქე 0,6 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. VII 36).

ანალოგიურია: კვ-68-39, 55 (2ც), 59 (4ც), 60 (2ც), 141 (7ც), 144 (21ც), 146 (4ც), 203, 213, 227 (2ც), 253 (6ც), 254 (13ც), 259 (5ც), 270, 275 (4ც), 283 (2ც), 285 (3ც), 286, 314 (3ც), 329 (2ც), 335, 342 (2ც), 378 (2ც), 391, 486, 539, 547, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-602, 614, 639, 682, 702, შიდა ციხე, V უბანი; კვ-68-772, აღმოსავლეთის კოშკზე მიდგმული ნაგებობიდან; კვ-68-850, 869 (4ც), 877, 894 (7ც), 912, 913, 923, 924, 926 (4ც), 927 (2ც), 994, 995, 996, 998, 1001, 1028 (3ც), 1050, 1081 (3ც), 1087, 1105 (2ც), 1106 (2ც), 1108, 1120, 1143 (5ც), 1144 (2ც), 1156 (2ც), 1157, 1235 (2ც), 1236, 1238, 1239, 1265, 1270, 1272 (2ც), 1273, 1351, 1352, 1353, 1363,

1364, 1443, 1444, 1446, 1447, 1448, 1449, 1465, 1470, 1519, 1524 (2ც), 1525, 1550 (2ც), 1574, 1603, 1650, 1839, 1847, 1896, შიდა ციხე, სასახლე; კვ-68-1902, კარიბჭე.

**III2.** ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. გაშლილი პირით. დაბალყელიანი. ტანი შემკულია მორგვისეული ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,5 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. VII 345).

ანალოგიურია: კვ-68-58 (4ც), 84, 85, 375, ტაბ. VII 550, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-636, 673 (2ც), 733, შიდა ციხე, V უბანი; კვ-68-807, 925, 929, 1082, 1445, ტაბ. VII 1901, შიდა ციხე, სასახლე; კვ-68-1998, 2042, 2099, 2100, 2101, ტაბ. VII 2102, კარიბჭე.

**III3.** ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. დაბალყელიანი. მხარი შემკულია მორგვისეული ხაზებით. ამოდარული, სწორი და ტალღოვანი სარტყლებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. VII 56).

ანალოგიურია: კვ-68-203, 289, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-688, შიდა ციხე, V უბანი; კვ-68-895, შიდა ციხე, სასახლე.

ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. დაბალყელიანი. მხარი შემკულია ამოდარული, სწორი და ტალღოვანი სარტყლებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,5 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. VII 134).

ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. დაბალყელიანი. მხარი შემკულია ამოდარული, სწორი და ტალღოვანი სარტყლებით. ნაპრიალებია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. VII 933).



ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. ამოდარული ბაკოთი. დაბალყელიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. VII 1271).

\* \* \*

ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. გაშლილი პირით. ტუჩთან დაძერწილი აქვს კოპი. დაბალყელიანი. ტანი შემკულია მორგვისეული ხაზებით. მხარზე შემოუყვება ამოდარული სწორი და ტალღოვანი სარტყელი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-206, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-61, 139, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-1039, 1107, 1237, შიდა ციხე, სასახლე.

ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. გაშლილი პირით. ტუჩთან დაძერწილი აქვს კოპი. შემკულია მორგვისეული ხაზებითა და ამოდარული ტალღოვანი ორნამენტით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-1583, შიდა ციხე, სასახლე.

ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ოთხკუთხაგანივკვეთიანი პირით, დაბალი ყელითა და ვიწრო მხრებით. ზედაპირნაპრიალები. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცის სისქე 2,7 სმ. კვ-68-876, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. სამკუთხაგანივკვეთიანი პირით. დაბალი ყელითა და განიერი მხრებით. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1338, შიდა ციხე, სასახლე.

ქოთნის პირ-ყელის ნატეხი. ლეგაკეციანი. სამკუთხაგანივკვეთიანი გაშლილი პირით. დაბალყელიანი. თიხა მსხვილ-

მარცვლოვანია. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1442, შიდა ციხე, სასახლე.

ქოთნის ძირის ნატეხი. წითელკეციანი. ოდნავ პროფილირებული ფართო და ბრტყელი ძირით. თიხა მსხვილმინარევიანი. ძირის დ. 14,5 სმ, კეცის სისქე 1,5 სმ. კვ-68-1367, შიდა ციხე, სასახლე.

ქოთნის ძირის ნატეხი. წითელკეციანი. ბრტყელძირა. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცის სისქე 1,5 სმ. კვ-68-1552, შიდა ციხე, სასახლე.

ქოთნის ყურ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. ბრტყელგანიკვეთიანი ყური მიერთებულია მხარსა და მუცელზე. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-72, შიდა ციხე, წყალსაცავი.  
ანალოგიურია: კვ-68-73, 74 (3ც), 87, 140 (9ც), 170, 202, 260, 271, 309, 310 (2ც), 332 (2ც), 347, 372, 393, 473 (2ც), 492, 542, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-559, 620, 657, 662 (3ც), 681, 683, 695, შიდა ციხე, V უბანი; კვ-68-803, 861, 874 (2ც), 910, 916-918, 920, 921, 992, 1049 (2ც), 1069, 1099, -1100, 1101, 1109 (6ც), 1135 (4ც), 1136, 1272, 1302-1304, 1353, 1357, 1361, 1362, 1392, 1397, 1398, 1412, 1413, 1438, 1439, 1482, 1540 (5ც), 1655, 1701, 1706, 1780, 1848, 1849, 1894, 1898, 1908, 1913, 1914, 1958, 1960, შიდა ციხე, სასახლე; კვ-68-2040, კარიბჭე.

ქოთნის ყურ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. ბრტყელგანიკვეთიანი ყური შემკულია მოკლე ნაჭდევებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-831, შიდა ციხე, სასახლე.  
ანალოგიურია: კვ-68-919, 1251, 1339, 1396, 1441, შიდა ციხე, სასახლე.

ქოთნის ყურ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შუაში გახვრეტილი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-280, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ქოთნის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. შემკულია წნევით დატანილი ზოლებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-62, შიდა ციხე, სასახლე.  
ანალოგიურია: კვ-68-63, 65, 68, 69 (3ც), 148 (5ც), 149, 454, 503, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-554, 667 (2ც), 679 (3ც), 680 (4ც), 682, 686, (3ც), 689, 692 (3ც), 693, შიდა ციხე, V უბანი; კვ-68-761, 788, ეკლესიის შესასვლელი, თხრილი №2; კვ-68-801, შიდა ციხე, სასახლე.

ქოთნის გვერდის ნატეხები (3ც). წითელკეციანი. შებოლილი. შემკულია ამოღარული ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-66, შიდა ციხე, წყალსაცავი.  
ანალოგიურია: კვ-68-168, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ქოთნის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. შემკულია ამოღარული სწორი და ტალღოვანი ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-67, შიდა ციხე, წყალსაცავი.  
ანალოგიურია: კვ-68-70, 150 (8ც), 343, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-699, შიდა ციხე, V უბანი.

ქოთნის გვერდის ნატეხები (3ც). წითელკეციანი. შებოლილი. შემკულია მორგვისეული ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-71, შიდა ციხე, წყალსაცავი.  
ანალოგიურია: კვ-68-138, 151 (10ც), 152 (10ც), 255 (8ც), 256 (2ც), 257 (3ც), 271 (12ც), 273 (3ც), 274, 276 (2ც), 277 (3ც), 280 (3ც), 288 (2ც), 290, 322 (3ც), 323, 476, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-646, 732, შიდა ციხე, V უბანი; კვ-68-753 (3ც), 757, 763 (2ც), აღმოსავლეთის კოშკზე მიდგმული ნაგებობის სამხრეთ-

ით მდებარე სათავსო; კვ-68-891, 938, 1354, 1628, შიდა ციხე, სასახლე.

ქოთნების ძირ-გვერდის ნატეხები (4ც). წითელკეციანი. შებოლილი. ბრტყელძირიანი. შემკულია მორგვისეული ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-43, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-44 (4ც), 45 (2ც), 47, -48, -50-53, 147 (24ც), 169, 210 (5ც), 214 (3ც), 238, 258 (7ც), 259 (2ც), 287 (2ც), 304, 305 (2ც), 333, 346, 373, 376 (2ც), 447, 482, 490, 503, 541, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-754, 762, აღმოსავლეთის კოშკზე მიდგმული ნაგებობიდან; 785, შიდა ციხე, ეკლესიის ეზოს ჩრდილოეთი მხარე; კვ-68-810, 848, 870 (3ც), 880, 892, 911, 928, 997 (2ც), 999, 1080, 1158, 1240, 1457, 1957, შიდა ციხე, სასახლე; კვ-68-2097, კარიბჭე.

ქოთნის ძირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. ბრტყელძირიანი. შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-258, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-523, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-616, 619, 668 (3ც), 687 (5ც), შიდა ციხე, V უბანი.

ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. გაშლილი პირით. მაღალი, ვიწრო ყელით. დაშვებული მხრები შემკულია მორგვისეული ხაზებითა და ამოდარული კონცენტრული ტალღოვანი სარტყელით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. პირის დ. 8 სმ, კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-436, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ფართოდ გაშლილი პირი უშუალოდ გადადის ვიწრო მხრებში. ტანი შემკულია მორგვისეული ხაზებითა და ამოდარული ტალღოვანი სარტყელით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. პირის დ. 10 სმ, კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-1846, შიდა ციხე, სასახლე.

ქოთნის ძირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. სწორკალთიანი. შემკულია მორგვისეული ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ძირის დ. 7, 5 სმ, კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-848, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-881, 1568, შიდა ციხე, სასახლე.

ქოთნის ძირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. სწორკალთიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანია. ძირის დ. 8 სმ, კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-945, შიდა ციხე, სასახლე.

კოჭობის ძირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,4 სმ. ძირის დ. 5,5 სმ. კვ-68-1060, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-1241, შიდა ციხე, სასახლე.

### **ქვაბქოთნები**

I. ქვაბქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. პირგაშლილი. მხარზე დაძერწილი აქვს სამკუთხა მოყვანილობის ბრტყელგანივკვეთიანი ყური და კოპი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-292, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-377, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-1782, შიდა ციხე, სასახლე.

ქვაბქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. პირგაშლილი. მხარზე დაძერწილი აქვს კოპი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-293, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-539, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-1527, შიდა ციხე, სასახლე.

ქვაბქოთნის ყურის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. სამკუთხა მოყვანილობის. ბრტყელგანივკვეთიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ყურის დ. 1,4-2,2 სმ. კვ-68-922, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-1355, 1356, 1400, 1850, შიდა ციხე, სასახლე.

ქვაბქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. პირმოყრილი. განზიდული მხრები მკვეთრადაა გამოყოფილი ოვალური კალთისაგან. ტანი შემკულია ირიბნაჭდევიანი რელიეფური სარტყელითა და ჩაჭდეულწერტილიანი კოპით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 1,4 სმ. კვ-68-1027, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-1229, შიდა ციხე, სასახლე.

ქვაბქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. პირმოყრილი. კალთაზე შემოუყვება რელიეფური სარტყელი. ბაკო შემკულია ამოდარული ტალღოვანი ხაზით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1096, შიდა ციხე, სასახლე.

ქვაბქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. პირმოყრილი. განზიდულ მხარზე დაძერწილი აქვს სამკუთხა მოყვანილობის ბრტყელგანივკვეთიანი ყური. მხარი შემკულია რელიეფური სარტყელით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-1402, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-1404, 52, შიდა ციხე, სასახლე.

ქვაბქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. პირმოყრილი. განზიდულ მხარზე დაძერწილი აქვს სამკუთხა მოყვანილობის ბრტყელგანივკვეთიანი ყური. მხარი შემკულია ირიბი ნაჭდევებით, ამოღარული ხაზითა და კოპით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. VIII 1403).

ქვაბქოთნის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. პირმოყრილი. მხარზე შემოუყვება ირიბი ნაჭდევები. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-1566, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-1599, შიდა ციხე, სასახლე.

**II.** ქვაბქოთნის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. ფართოპირიანი. შვეული მხრებით. კალთაზე დაძერწილია ოვალურგანივკვეთიანი მოკლე სახელური. ტანი შემკულია მორგვისეული ხაზებითა და ირიბი ნაჭდევებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. პირის დ. 25 სმ, კეცის სისქე 0,5 სმ. შიდა ციხე, V უბანი (ტაბ. X 767).

### **ხუფები**

**I1.** ხუფის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. დისკოსებური. მრგვალგანივკვეთიანი ყურისებური სახელურის კვალით. კიდეზე შემოუყვება დაკეჭნილი რელიეფური სარტყელი. თიხა მსხვილმინარევიანი. ხელით ნაძერწი. დ. 11 სმ, კეცის სისქე 1,5 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. VIII 1651).

**I2.** ხუფის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. დისკოსებური ნახვრეტით. კიდეზე შემოუყვება ირიბი ნაჭდევები და წერტილები. თიხა მსხვილმინარევიანი. ხელით ნაძერწი. კეცის სისქე 1,2 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. VIII 413).

ანალოგიურია: კვ-68-33, 1197, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხუფის სახელურის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. დაბალი, ცილინდრული, ზემოდან ჩაღრმავებული. ცენტრში აქვს ნახვრეტი. თიხა წვრილმარცვლოვანი. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. VIII 420).

ხუფის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. დისკოსებური. ამოღარული ხაზებით შემკული, დაბალი ცილინდრული სახელურით. დისკოზე შემოუყვება ირიბი ნაჭდევებით შემკული რელიეფური სარტყლები. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცის სისქე 1,2 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. VIII 455).

ხუფის სახელურის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. დაბალი, ცილინდრული, ცენტრში ჩაღრმავებული. თიხა მსხვილმინარევიანი. ხელით ნაძერწი. კეცის სისქე 1,5 სმ. შიდა ციხე, V უბანი (ტაბ. VIII 718).Y

ხუფის სახელურის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. მაღალი, ცილინდრული, ცენტრში ჩაღრმავებული. შემკულია ამოღარული ხაზებითა და ჩაჭდული წერტილებით. თიხა მსხვილმინარევიანი. ხელით ნაძერწი. დ. 2,2-3 სმ. შიდა ციხე, ეკლესიის ჩრდილოეთით გავლებული თხრილი (ტაბ. VIII 792).

ხუფის სახელურის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. ცილინდრული. ცენტრში ჩაღრმავებული. თიხა მსხვილმინარევიანი. ხელით ნაძერწი. დ. 3,5-4 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. VIII 1407).

ხუფის სახელურის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. ცილინდრული. თავწაწვეტებული. თიხა მსხვილმინარევიანი. ხელით ნაძერწი. დ. 3,5 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. VIII 1556).



**I3.** ხუფის სახელურის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. დაბალი, ცილინდრული, ქვემოდან ღრუ. სახელურს შუა ნაწილზე შემოუყვება დისკო. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცის სისქე 0,7 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. VIII 412).

**III.** ხუფის ნატეხი. მოჩალისფროკეციანი. შებოლილი. კონუსური. მრგვალგანიკვეთიანი ყურისებური სახელურის კვალ-ით. შემკულია მორგვისეული ხაზებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-846, შიდა ციხე, სასახლე.

ხუფის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. კონუსური. მრგვალგანიკვეთიანი ყურისებური სახელურის კვალით. კიდეზე შემოუყვება ნაჭდევები. თიხა მსხვილმინარევიანი. ხელით ნამერწი. კეცის სისქე 1,1 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. VIII 1569).

ანალოგიურია: კვ-68-879, კიდეზე შემოუყვება შტამპით შესრულებული ორნამენტი. შიდა ციხე, სასახლე.

**II2.** ხუფის სახელურის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. კონუსური. ქვემოდან ღრუ. თიხა მსხვილმინარევიანი. ხელით ნამერწი. კეცის სისქე 1 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. VIII 203).

#### **ბადიები**

ბადიის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია ირიბნაჭდევიანი რელიეფური სარტყელით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 1,3 სმ. კვ-68-166, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-253, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-843 (2ც), შიდა ციხე, სასახლე; კვ-68-1954, კარიბჭე.

ბადიის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ფართოპირიანი. შემორჩენილი აქვს ტურჩის კვალი. კალთადაქანებული. ოდნავ პროფილირებული ბრტყელი ძირით. თიხა მსხვილ-

მარცვლოვანი. ბადის სიმაღლე 8,6 სმ, ძირის დ. 11,5 სმ, კეცის სისქე 0,6 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. VIII 478).

ბადის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ფართოპირიანი. კალთადაქანებული. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 1 სმ. კვ-68-578, შიდა ციხე, V უბანი.

ანალოგიურია: კვ-68-808, 1742, შიდა ციხე, სასახლე; კვ-68-2011, 2025, კარიბჭე.

ბადის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. პირმოყრილი. ბაკოზე დაძერწილი აქვს კოპი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-698, შიდა ციხე, V უბანი.

ბადის ტურ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. მასიური. ტურთან დაძერწილი კოპით. გვერდი შემკულია მორგვისეული ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 1,5 სმ. კვ-68-903, შიდა ციხე, სასახლე.  
ანალოგიურია: კვ-68-944, შიდა ციხე, სასახლე.

ბადის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. სწორი მხრებით. ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული კალთა შემკულია ამოღარული სწორი და ტალღოვანი სარტყლებით, ირიბი ნაჭდევებითა და მორგვისეული ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,9 სმ. კვ-68-930, შიდა ციხე, სასახლე.  
ანალოგიურია: კვ-68-931, 1138, შიდა ციხე, სასახლე.

ბადის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ფართოპირიანი. დაქანებული კალთა შემკულია ირიბნაჭდევებიანი რელიეფური სარტყელითა და მორგვისეული ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 1 სმ. კვ-68-1307, შიდა ციხე, სასახლე.

ბადის ძირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. დაქანებული კალთა შემკულია ირიბნაჭდევებიანი სარტყლებითა და მორგვისეული ხაზებით. ბრტყელძირიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 1,5 სმ. კვ-68-1643, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-1904, შიდა ციხე, სასახლე.

ბადია. წითელკეციანი. ფართო პირზე აქვს ტუჩი. კალთადაქანებული. ბრტყელძირიანი. ბაკო შემკულია ამოღარული ტალღოვანი ორნამენტით. კალთაზე შემოუყვება ირიბნაჭდევებიანი რელიეფური სარტყელი და მორგვისეული ხაზები. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ბადის სიმაღლე 8,5 სმ, პირის დ. 20 სმ, ძირის დ. 12 სმ, კეცის სისქე 1-1,8 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. VIII 1670).

ბადის ტუჩ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. ფართო პირზე კოპებით შემკული ტუჩით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 1,2 სმ. კვ-68-1926, შიდა ციხე, სასახლე.

ბადის ნატეხი. წითელკეციანი. ფართო პირზე აქვს ტუჩი. კალთადაქანებული. ოდნავ პროფილირებული ბრტყელი ძირით. ბაკო შემკულია ამოღარული ტალღოვანი ორნამენტითა და კოპებით. კალთაზე შემოუყვება ირიბნაჭდევებიანი რელიეფური სარტყელი და მორგვისეული ხაზები. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ბადის სიმაღლე 14 სმ, ძირის დ. 16 სმ, კეცის სისქე 1-1,5 სმ. კარიბჭე (ტაბ. VIII 2046).

### ტაფები

I. ტაფის ნატეხი. წითელკეციანი. გაშლილი პირით. დაბალი, სწორი კალთით. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და კალთაზე. ბრტყელძირიანი. ზედაპირნაპრიალები. კალთაზე შემოუყვება ამოღარული სარტყელი. თიხა მსხვილ-

მარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 1 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. X 1785).

**III.** ტაფის სახელურის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. მრგვალგანივკვეთიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. სახელურის დ. 3 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. X 789).

ანალოგიურია: კვ-68-1709, შიდა ციხე, სასახლე.

ტაფის სახელურის ნატეხი. წითელკეციანი. ოვალურგანივკვეთიანი. გახვრეტილი ბოლოთი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. სახელურის დ. 2,5-3,3 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. X 1085).

ტაფის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. გაშლილი პირით. დაბალი, სწორი კალთით. ბრტყელძირიანი. ზედაპირნაკრიალები. პირზე დამერწილი აქვს კოპი. კალთაზე შემოუყვება ამოღარული სარტყელი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 1 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. X 1481).

**II2.** ტაფის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. დაბრტყელებული ბაკოთი. დაბალი, ოვალური კალთითა და ბრტყელი ძირით. სახელური მრგვალგანივკვეთიანია, ღრუ. თიხა მსხვილმარცვლოვანი. სახელურის დ. 2,8 სმ, კეცის სისქე 0,9 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. X 1899).

ანალოგიურია: კვ-68-1645, შიდა ციხე, სასახლე.

#### **ყურიანი ჯამები**

ჯამის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. პირსა და მხარზე დამერწილი აქვს მრგვალგანივკვეთიანი, ზემოთ აწეული ყური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,5 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. VIII 1040).

ჯამის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. პირგადაშლილი. პირსა და მხარზე დაძერწილი აქვს მრგვალგანივკვეთიანი, ზემოთ აწეული ყური. მხარზე შემოუყვება რელიეფური თოკისებური ორნამენტი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,5 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. VIII 2028).

ჯამის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. პირგადაშლილი. პირზე აქვს ტუჩი. მხარზე შემოუყვება ამოღარული ტალღოვანი სარტყელი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-822, შიდა ციხე, სასახლე.

### **ხელადები**

**II.** ხელადის პირ-ყელის ნატეხი. წითელკეციანი. აზნექილი ტუჩი ჩამოტეხილია. მაღალ ყელზე შემორჩენილია მრგვალგანივკვეთიანი ყურის კვალი. შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. IX 813).

ხელადის ყელ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. პირმოტეხილი. მაღალყელიანი. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელსა და მხარზე. ყელი შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. მხარზე შემოუყვება ამოღარული «თევზიფხური» ორნამენტი. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-818, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ოდნავ გამწვანებული პირით. აზნექილი ტუჩი ჩამოტეხილია. ნაჭდევებით შემკული ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელსა და მხარზე. ტანზე შემოუყვება მორგვისეული ხაზები. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-1068, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის პირ-ყელის ნატეხი. წითელკეციანი. ტუჩაზნექილი. პირს ქვემოთ შემორჩენილია მრგვალგანივკვეთიანი გრებილი ყურის ნაწილი. ყელი შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. მხარზე შემოუყვება რომბისებური ნაჭდევების სარტყელი. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,8 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. IX 1414).

ხელადის ყელ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. პირმოტეხილი. ნაჭდევებით შემკული ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელსა და მხარზე. ნაპრიალებია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-1553, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადა. წითელკეციანი. აზნექილი ტუჩი ჩამოტეხილია. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე. ყელი ვიწროა, წიბოიანი. მხრები დაშვებული. ანგობირებული ზედაპირი ნაპრიალებია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. ყელი და მხრები მოხატულია შავი საღებავით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. სიმაღლე 35 სმ, პირის დ. 10,5 სმ, კეცის სისქე 0,4 სმ. კარიბჭე (ტაბ. IX 2085).

**I2.** ხელადის ყელ-ყურის ნატეხი. წითელკეციანი. ტუჩაზნექილი. პირზე დაძერწილი აქვს ორი მაღალი კოპი. გრებილი ყური მიერთებულია პირზე. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,6 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. IX 1026).

ხელადის პირ-გვერდის ნატეხი. ლეგაკეციანი. ტუჩაზნექილი. პირს ქვემოთ შემორჩენილია ბრტყელგანივკვეთიანი ყურის კვალი. ყურის ყელთან მიერთების ადგილას ორივე მხრიდან დაძერწილია ნაჭდევებით შემკული ხვიები. ნაპრიალებია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. მხარზე შემოუ-

ყვება ამოღარულ სარტყლებს შორის მოქცეული ტალღოვანი ხაზები და ირიბი ნაჭდევეები. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,5 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. IX 1489).

ხელადის პირ-ყელის ნატეხი. წითელკეციანი. ტუჩაზნექილი. ნაჭდევეებით შემკული ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირს ქვემოთ. ყურის ყელთან მიერთების ადგილას ორივე მხრიდან დაძერწილია მცირე ზომის კოპები. ყელის წიბოზე შემოუყვება ამოღარული ჯვარედინი ხაზები. ნაპრიალებია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,4 სმ. კვ-68-1234, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ტუჩაზნექილი. პირს ქვემოთ შემორჩენილია ნაჭდევეებით შემკული მრგვალგანივკვეთიანი ყურის კვალი. ნაპრიალებია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. მხარზე შემოუყვება ირიბი ნაჭდევეები. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,5 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. IX 1275).

**III.** ხელადის ყელ-ყურის ნატეხი. წითელკეციანი. წრიულპირიანი. წიბოიან მაღალ ყელზე შემორჩენილია ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაწილი. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. პირის დ. 2,7 სმ, ყურის დ. 1,1-2 სმ, კეცის სისქე 0,4 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. IX 1630).  
ანალოგიურია: კვ-68-1194, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის ყელ-პირის ნატეხი. წითელკეციანი. პირმოტეხილი. მაღალ, წიბოიან ყელზე მიერთებულია მრგვალგანივკვეთიანი ყური. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ყურის დ. 1,7-2,1 სმ, კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-1140, შიდა ციხე, სასახლე.  
ანალოგიურია: კვ-68-1466, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის პირ-ყელის ნატეხი. წითელკეციანი. წრიულპირიანი. წიბოიან ვიწრო და მაღალ ყელზე შემორჩენილია ჩაჭდული წერტილებით შემკული ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაწილი. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. პირის დ. 3 სმ, ყურის დ. 1,7-2,9 სმ, კეცის სისქე 0,5 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. IX 1700).

ანალოგიურია: ტაბ. IX 1774; კვ-68-1852, შიდა ციხე, სასახლე.

**II2.** ხელადის პირ-ყელის ნატეხი. ლეგაკეციანი. გამლილი წრიული პირით. ყელის შუა ნაწილში აქვს საწური. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირზე. თიხა წვრილმარცვლოვანი. პირის დ. 5 სმ, კეცის სისქე 0,5 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. IX 354).

**III.** ხელადის პირ-გვერდის ნატეხი. ლეგაკეციანი. სამტურა. ნაჭდევებით შემკული ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე. ყელი ვიწროა, დაბალი. მხრებზე შემოუყვება მორგვისეული ხაზები. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,4 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. IX 268).E

ანალოგიურია: კვ-68-372, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხელადის პირ-გვერდის ნატეხი. ლეგაკეციანი. სამტურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე. ვიწროყელიანი. მხრებდაშვებული. ტანგოფრიებული. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-284, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხელადის პირ-ყელის ნატეხი. ლეგაკეციანი. სამტურა. ნაჭდევებით შემკული ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე. ფართო ყელი ორ ადგილას შეზნექილია გრძივი ღარებით. მხარზე შემოუყვება მორგვისეული ხაზები. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,5 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. IX 371).



## E

ხელადის პირ-გვერდის ნატეხი. ლეგაკეციანი. პირგაშლილი. სამტუჩა. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ფართო, დაბალ ყელზე. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,4 სმ. კვ-68-760, შიდა ციხე, აღმოსავლეთის კოშკზე მიდგმული ნაგებობის სამხრეთით მდებარე სათავსოდან.

ხელადის პირ-ყელის ნატეხი. ლეგაკეციანი. სამტუჩა. ნაჭდე-ვებით შემკული ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე. ყელი დაბალია, ფართო. მხარზე შემოუყვება ამოდარული ხაზები. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,7 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. IX 951).

ანალოგიურია: კვ-68-1405, კვ-68-1646, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის პირ-ყელის ნატეხი. ლეგაკეციანი. სამტუჩა. დაბალი, ფართო ყელი შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-1064, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის პირ-ყელის ნატეხი. ლეგაკეციანი. სამტუჩა. ნაჭდე-ვებითა და კოპებით შემკული ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე. ყელი დაბალია, ფართო. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. IX 1571).

**IV.** ხელადის მილის ნატეხი. წითელკეციანი. კონუსური მოყვანილობის. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. მილის სიგრძე 7 სმ, კეცის სისქე 0,4 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. VIII 1008).

ანალოგიურია: კვ-68-1078, ციხე, სასახლე.

ხელადის მილის ნატეხი. წითელკეციანი. კონუსური მოყვანილობის. შემკულია ამოდარული სარტყლებით. თიხა წვრილ-

მარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. მილის სიგრძე 6,5 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. VIII 1629).

ხელადის მილ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. კონუსური მოყვანილობის ვიწრო მილი ჩამოტეხილია. ნაპრიალები ზედაპირი მოხატულია შავი საღებავით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-1922, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის მილ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. კონუსური მოყვანილობის ვიწრო მილით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. მილის სიგრძე 2 სმ, კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-33, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხელადის პირ-ყელის ნატეხი. ლეგაკეციანი. დაბრტყელებული, გარეთ გაწეული ბაკოთი. ვიწრო, მაღალ ყელზე დაძვრწილია ოვალურგანივკვეთიანი ყური. ზედაპირი ნაპრიალებია წნევით დატანილი ზოლებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. პირის დ. 2,5 სმ, ყურის დ. 1,1-1,3 სმ, კეცის სისქე 0,3 სმ. კვ-68-890, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის ყელ-ყურის ნატეხი. წითელკეციანი. პირმოტეხილი. ვიწრო, მაღალ ყელზე დაძვრწილია ოვალურგანივკვეთიანი ყური. თიხა წვრილმარცვლოვანი. ყურის დ. 1,1-1,4 სმ, კეცის სისქე 0,4 სმ. კვ-68-1119, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის მილ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. კონუსური მოყვანილობის ვიწრო მილით. შემკულია ჩაჭდებული წერტილებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. მილის სიგრძე 2 სმ, კეცის სისქე 0,4-0,6 სმ. კვ-68-1380, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის მილ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. კონუსური მოყვანილობის ვიწრო მილით. შემკულია ამოდარული სარტ-

ყლებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. მილის სიგრძე 2 სმ, კეცის სისქე 0,3 სმ. კვ-68-1460, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-1831, შიდა ციხე, სასახლე.

#### **მოჩალისფრო-მოთეთროკეციანი ხელადები**

ხელადის პირ-გვერდის ნატეხი. მოჩალისფროკეციანი. წრიულპირიანი. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე. ყელი ვიწროა, მაღალი. მხარი შემკულია ამოღარული სარტყელით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-115, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხელადის ყელ-გვერდისა და ძირის ნატეხები (11ც). მოჩალისფროკეციანი. ვიწრო, ცილინდრული ყელით. მხარი შემკულია მორგვისეული ხაზებით. ბრტყელძირიანი. თიხა წმინდად განლექილი. კეცი რბილი. კეცის სისქე 0,4 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. IX 171).

ხელადის გვერდის ნატეხები (2ც). მოჩალისფროკეციანი. შემკულია ამოღარული სარტყელითა და მორგვისეული ხაზებით. თიხა წმინდად განლექილი. კეცი მკვრივი. კეცის სისქე 0,5-0,7 სმ. კვ-68-278, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხელადის ყურის ნატეხი. მოჩალისფროკეციანი. ოვალურგანივკვეთიანი. თიხა წმინდად განლექილი. კეცი რბილი. ყურის დ. 0,7-1,5 სმ. კვ-68-576, შიდა ციხე, V უბანი.

ანალოგიურია: კვ-68-683, შიდა ციხე, V უბანი; კვ-68-1997, კარიბჭე.

ხელადის ძირ-გვერდის ნატეხი. მოჩალისფროკეციანი. ოდნავ პროფილირებული ბრტყელი ძირით. ზედაპირნაპრიალები. თიხა წმინდად განლექილი. კეცი მკვრივი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-588, შიდა ციხე, V უბანი.

ხელადის ყურის ნატეხი. მოთეთროკეციანი. ოთხკუთხაგანივ-  
კვეთიანი. თიხა წმინდად განლექილი. კეცი მკვრივი. კეცის  
სისქე 0,8-1,6 სმ. კვ-68-641, შიდა ციხე, V უბანი.

ხელადის პირ-ყურის ნატეხები (2ც). მოჩალისფროკეციანი.  
ბაკოჩადარული. წრიულპირიანი. რელიეფური ქედით  
შემკული მრგვალგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელზე.  
თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის  
სისქე 0,5 სმ. კვ-68-695, შიდა ციხე, V უბანი.

ხელადის გვერდის ნატეხი. მოჩალისფროკეციანი. ზედაპირ-  
ნაპრიალები. თიხა წმინდად განლექილი. კეცი მკვრივი. კეცის  
სისქე 0,6 სმ. კვ-68-703, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხელადის გვერდის ნატეხი. თეთროკეციანი. შემკულია მორგ-  
ვისეული ხაზებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი რბილი.  
კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-723, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხელადის გვერდის ნატეხი. მოჩალისფროკეციანი. შემკულია  
წნევით დატანილი ზოლებით. თიხა წმინდად განლექილი.  
კეცი მკვრივი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-761, შიდა ციხე,  
წყალსაცავი.

ხელადის პირ-ყურის ნატეხი. მოთეთროკეციანი. ოდნავ  
პირგაშლილი. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია  
ყელზე. თიხა წმინდად განლექილი. კეცი მკვრივი. კეცის სისქე  
0,3 სმ. კვ-68-819, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის პირ-ყელის ნატეხი. მოთეთროკეციანი. გაშლილ  
წრიულ პირზე შემორჩენილია ბრტყელგანივკვეთიანი ყურის  
კვალი. ყელი ვიწროა, დაბალი. თიხა წვრილმარცვლოვანი.  
კეცი გადანატეხში მუქი. პირის დ. 4,5 სმ, კეცის სისქე 0,6 სმ.  
კვ-68-935, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის ძირის ნატეხი. მოთეთროკეციანი. ბრტყელძირა. თიხა წმინდად განლექილი. კეცი მკვრივი. კეცის სისქე 0,7 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. IX 937).  
ანალოგიურია: კვ-68-560, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხელადის გვერდის ნატეხი. მოჩალისფროკეციანი. ზედაპირ-  
ნაპრიალები. გოფირებული. თიხა წმინდად განლექილი.  
კეცი მკვრივი. კეცის სისქე 0,4 სმ. კვ-68-1492, შიდა ციხე,  
სასახლე.

ხელადის ყელის ნატეხი. მოთეთროკეციანი. ცილინდრული  
მოყვანილობის ფართო ყელი შემკულია ამოღარული სარტყე-  
ლით. თიხა წმინდად განლექილი. კეცი რბილი. კეცის სისქე  
0,6 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. IX 1596).

ხელადის პირ-გვერდის ნატეხი. მოჩალისფროკეციანი. გაშლი-  
ლი, წრიული პირით. ყელზე შემორჩენილია ბრტყელ-  
განიკვეთიანი ყურის კვალი. ზედაპირი ანგობირებულია.  
თიხა წვრილმარცვლოვანი. პირის დ. 4,5 სმ, კეცის სისქე 0,5 სმ.  
კვ-68-1829, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის ძირის ნატეხი. მოთეთროკეციანი. ოდნავ პროფილი-  
რებული ბრტყელი ძირით. თიხა წმინდად განლექილი. კეცი  
მკვრივი. ძირის დ. 7,5 სმ. კვ-68-2089, კარიბჭე.

\* \* \*

ხელადის ძირ-გვერდის ნატეხები (4ც). წითელკეციანი. ბრტყე-  
ლძირა. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7-0,8 სმ. კვ-  
68-46, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხელადის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-64, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხელადის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია კონცენტრული ტალღოვანი და სწორი ხაზებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-105, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-114, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხელადის ძირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-112, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხელადის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია ამოღარული კონცენტრული ხაზებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-150, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხელადის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია ამოღარული სარტყლებითა და წნევით დატანილი ზოლებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-201, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხელადის ძირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ოდნავ პროფილირებული ბრტყელი ძირით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ძირის დ. 8 სმ, კეცის სისქე 0,5 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. IX 217).

ხელადის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია რელიეფური სარტყელითა და წნევით დატანილი ვერტიკალური

ზოლებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,4 სმ. კვ-68-236, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხელადის ყურის ნატეხები (2ც). წითელკეციანი. ბრტყელგანივკვეთიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. დ. 1,6-4,3 სმ; 1,2-2,8 სმ. კვ-68-260, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-609, 650, 681 (2ც), 727, შიდა ციხე, V უბანი; კვ-68-751, 769, აღმოსავლეთის კოშკზე მიდგმული ნაგებობიდან; კვ-68-835, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. წითლად შეღებილი. შემკულია ამოღარული კონცენტრული ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-315, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხელადის ძირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ბრტყელძირიანი. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ძირის დ. 10,5 სმ, კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-324, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხელადის ძირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ბრტყელძირიანი. შემკულია ამოღარული კონცენტრული ხაზებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ძირის დ. 11,5 სმ, კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-432, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ხელადის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. სადა. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-579, შიდა ციხე, V უბანი.

ანალოგიურია: კვ-68-598, 600, 617, კ621, 653, 690, შიდა ციხე, V უბანი; კვ-68-750 (7ც), 757 (3ც), 758 (3ც), აღმოსავლეთის კოშკზე მიდგმული ნაგებობიდან.

ხელადის ყელ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. პირმომტვრეული. ფართოყელიანი. შემკულია მორგვისეული ხაზებით.

თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-597, შიდა ციხე, V უბანი.

ხელადის პირ-ყელის ნატეხი. წითელკეციანი. გაშლილ პირზე შემოუყვება წიბო. ფართოყელიანი. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-622, შიდა ციხე, V უბანი.

ხელადის პირის ნატეხი. წითელკეციანი. გაშლილი პირით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-625, შიდა ციხე, V უბანი.

ხელადის ყელ-ყურის ნატეხი. წითელკეციანი. ფართო ყელზე შემორჩენილია ბრტყელგანივკვეთიანი ყურის ნაწილი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ, კვ-68-647, შიდა ციხე, V უბანი.

ხელადის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია ამოღარული სარტყელითა და კონცენტრული ტალღოვანი ხაზებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-649, შიდა ციხე, V უბანი.

ხელადის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-690, შიდა ციხე, V უბანი.

ანალოგიურია: კვ-68-1247, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის პირ-ყელის ნატეხი. წითელკეციანი. ტუჩიანი. ფართო, დაბალი ყელით. შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-755, აღმოსავლეთის კოშკზე მიდგმული ნაგებობიდან.



ხელადის ძირის ნატეხები (3ც). წითელკეციანი. ბრტყელძირა. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-759, აღმოსავლეთის კოშკზე მიდგმული ნაგებობიდან.  
ანალოგიურია: კვ-68-794, ეკლესიის სამხრეთით, თხრილი №2; კვ-68-936, 979, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის ყურის ნატეხი. წითელკეციანი. მრგვალგანივკვეთიანი. გრებილი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ყურის დ. 2,5 სმ. კვ-68-795, ეკლესიის სამხრეთით, თხრილი №2.  
ანალოგიურია: კვ-68-844, 1249, 1250, 1281, 1312 (2ც), შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის ყელის ნატეხი. წითელკეციანი. ფართო. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-854, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია ამოღარული სარტყლებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-891, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის ყურის ნატეხი. წითელკეციანი. მსხვილად გრებილი. ყური მხართან მიერთების ადგილას შემკულია ირიბი ნაჭდევებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ყურის დ. 2,8 სმ. კვ-68-904, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-940, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია ამოღარული სარტყელით. ერთ ადგილას ჩაზნექილია წრიულად.

თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-943, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის ძირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ოდნავ პროფილირებული ბრტყელი ძირით. თიხა წვრილმარცვლოვანი. ძირის დ. 6,5 სმ, კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-1111, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია ამოღარული კონცენტრული ხაზებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-1139, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის ყურის ნატეხი. წითელკეციანი. მრგვალგანივკვეთიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ყურის დ. 1,8-2 სმ. კვ-68-1141, შიდა ციხე, სასახლე.  
ანალოგიურია: კვ-68-1496, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის ყურის ნატეხი. წითელკეციანი. ოვალურგანივკვეთიანი. შემკულია ჩაჭდეული წერტილებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ყურის დ. 1,2-2,4 სმ. კვ-68-1495, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ბრტყელგანივკვეთიანი ყურის კვალით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,4 სმ. კვ-68-1828, შიდა ციხე, სასახლე.

ხელადის ძირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ბრტყელი ძირის კიდეზე შემორჩენილია ოთხკუთხაგანივკვეთიანი ფეხი. ტანი შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. IX 1927).

ხელადის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია ამოდარული კონცენტრული სწორი და ტალღოვანი ხაზებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-1949, კარიბჭე.

ხელადის ყურის ნატეხი. წითელკეციანი. ოვალურგანივკვეთიანი. შემკულია ნაჭდევებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. ყურის დ. 1,2-2,8 სმ. კვ-68-2060, კარიბჭე.

ხელადის გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. შემკულია მორგვისული ხაზებითა და ამოდარული ტალღოვანი ორნამენტით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-2082, კარიბჭე.

ხელადის ყელ-ყურის ნატეხი. წითელკეციანი. მომრგვალებული ბაკოთი. ვიწრო ყელზე მიერთებულია ნაჭდევებით შემკული ოვალურგანივკვეთიანი ყური. თიხა წვრილმარცვლოვანი. ყურის დ. 1,2-2,3 სმ. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-2090, კარიბჭე.

ხელადის ყურის ნატეხი. წითელკეციანი. ბრტყელგანივკვეთიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ყურის დ. 1,3-3,7 სმ. კვ-68-2099, კარიბჭე.

#### **თხელკედლიანი სასმისები**

I. სასმისის ძირ-გვერდის ნატეხი. მოჩალისფროკეციანი. ოდნავ პროფილირებული ბრტყელი ძირით. ზედაპირნაპრიალები. თიხა წმინდად განლექილი. კეცი მკვრივი. კეცის სისქე 0,3 სმ. შიდა ციხე, V უბანი (ტაბ. X 603).

სასმისის ყურის ნატეხი. მოჩალისფროკეციანი. ოვალურგანივკვეთიანი. თიხა წმინდად განლექილი. კეცი რბილი. ყურის დ. 0,8-1 სმ. კვ-68-728, შიდა ციხე, V უბანი.  
ანალოგიურია: კვ-68-858, შიდა ციხე, სასახლე.

სასმისის პირ-ყურის ნატეხი. მოჩალისფროკეციანი. პირგამ-  
ლილი. ოვალურგანივკვეთიანი ყური დამერწილია ჭურჭლის  
პირზე. თიხა წმინდად განლექილი. კეცი მკვრივი. კეცის სისქე  
0,3 სმ. კვ-68-1996, კარიბჭე, ორმო.

სასმისის ძირ-გვერდის ნატეხი. მოჩალისფროკეციანი. ბრტყ-  
ელძირიანი. თიხა წმინდად განლექილი. კეცი მკვრივი. კეცის  
სისქე 0,3 სმ. კარიბჭე (ტაბ. X 2079).

**II.** სასმისის ძირ-გვერდის ნატეხი. მოთეთროკეციანი. ოდნავ  
შეზნექილი ძირით. შიდაპირზე დაუყვება მოგრძო ნაჭდევები.  
თიხა წმინდად განლექილი. კეცი მკვრივი. კეცის სისქე 0,2 სმ.  
შიდა ციხე, V უბანი (ტაბ. X 603ა).

სასმისის გვერდის ნატეხი. მოთეთროკეციანი. ნაპრიალები  
ზედაპირი შემკულია შიგნიდან ამოზნექილი კოპებით. თიხა  
წმინდად განლექილი. კეცი რბილი. კეცის სისქე 0,3 სმ. კვ-68-  
604, შიდა ციხე, V უბანი.

სასმისის გვერდის ნატეხი. მოჩალისფროკეციანი. ბრტყელგა-  
ნივკვეთიანი ყურის კვალით. ზედაპირნაპრიალები. თიხა  
წმინდად განლექილი. კეცი მკვრივი. კეცის სისქე 0,2 სმ. კვ-68-  
2085, კარიბჭე.

სასმისის გვერდის ნატეხი მოჩალისფროკეციანი. ნაპრიალები  
ზედაპირი შემკულია შიგნიდან ამოზნექილი კოპებით. თიხა  
წმინდად განლექილი. კეცი მკვრივი. კეცის სისქე 0,3 სმ. კვ-68-  
2086, კარიბჭე.

ანალოგიურია: კვ-68-2087, კარიბჭე.

### **ჯამები**

**I.** ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (2ც). წითელკეციანი. სწორი  
ძირით. შვეული მხრები მკვეთრადაა გამოყოფილი

კალთისაგან. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ.  
შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. X 261).  
ანალოგიურია: კვ-68-678, შიდა ციხე, V უბანი.

**II.** ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. პირმოყრილი.  
ოვალური მხრებით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე  
0,7 სმ. შიდა ციხე, V უბანი (ტაბ. X 557).  
ანალოგიურია: კვ-68-580, 595, 634, შიდა ციხე, V უბანი.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. მოშავო-მონაცრისფროკეციანი.  
პირმოყრილი. ოვალური მხრებით. ნატეხი დეფორმირებულია  
(წუნდებული ნიმუში). თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის  
სისქე 0,6 სმ. კვ-68-549, შიდა ციხე, წყალსაცავი.

**III1.** ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. დაბრტყე-  
ლებულ-ამოღარული ბაკოთი. ქიმაწეული. სწორპირიანი.  
მხრები კალთისაგან გამოყოფილია. თიხა წვრილმარცვლო-  
ვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. შიდა ციხე, V უბანი (ტაბ. X 731).

**III2.** ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ქიმაწეული.  
პირმოყრილი. ოვალურ მხარზე შემოუყვება ამოღარული  
კონცენტრული ტალღოვანი სარტყელი. თიხა მსხვილმარ-  
ცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. შიდა ციხე, V უბანი (ტაბ. X  
707).

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. ქიმაწეული. პირ-  
მოყრილი. ოვალური მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი.  
კეცის სისქე 0,8 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. X 1784).

**IV.** ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. გაშლილ  
პირზე გარედან შემოუყვება ამოღარული სარტყელი.  
ცენტრისაკენ გადაზნექილი, წერნაქით შეღებილი მხრები  
კალთისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი. შიდაპირი შეღებილია

წერნაქით. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. X 35).

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. გაშლილი პირით. მხარი კალთაზე გადასვლის ადგილას გამობერილია. თიხა წვრილმარცვლოვანია. კეცის სისქე 0,4 სმ. კვ-68-321, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის ძირ-გვერდის ნატეხი. წითელკეციანი. დაბალი, ვიწრო ქუსლით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 0,7 სმ, დ. 5,8 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. X 200).

ანალოგიურია: კვ-68-2086, კარიბჭე.

### **სამარილეები**

სამარილე. წითელკეციანი. ოვალური მხრებით. ბრტყელ-ძირიანი. ხელით ნამერწი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. სიმაღლე 2 სმ, პირის დ. 4 სმ, ძირის დ. 3,5 სმ. კვ-68-27, შიდა ციხე, წყალსაცავი.

სამარილის ძირის ნატეხი. წითელკეციანი. დაბალი ქუსლითა და შეღარული ძირით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. ძირის დ. 4,4 სმ. კვ-68-847, შიდა ციხე, სასახლე.

### **დეკორაციული ჭურჭელი**

ჭურჭლის ნატეხი. ლეგაკეციანი. პირგაშლილი. სწორი მხრებით. ნაჭდევებითა და რელიეფური ქედით შემკული ყური დაძერწილია პირზე და ჭურჭლის ცენტრისკენაა გადანეკილი. მხარზე შემოუყვება მორგვისეული ხაზები და ამოდარული ტალღოვანი ორნამენტი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცი გადანატეხში მუქი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-1440, შიდა ციხე, სასახლე.

## ჭრაქები

**I.** ჭრაქის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. ოთხსაპატრუქიანი. ფეხმოტეხილი. ხელით ნამერწი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. შემორჩენილი სიმაღლე 4,3 სმ, კეცის სისქე 0,4 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XI 224).

**II.** ჭრაქი. წითელკეციანი. შებოლილი. მილიანი. ვიწროყელიანი. განიერი მხრებით, დაბალი ტანითა და ბრტყელი ძირით. ტანზე შემორჩენილია მრგვალგანივკვეთიანი ყურის კვალი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. შემორჩენილი სიმაღლე 9,6 სმ, ძირის დ. 9,2 სმ, კეცის სისქე 0,4-0,6 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XI 40).

**III.** ჭრაქის მილი. წითელკეციანი. შებოლილი. მომრგვალებულპირიანი. ფართო საპატრუქე ნახვრეტით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. XI 855).

**II2.** ჭრაქის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. მოკლე, ჰორიზონტალურად წაკვეთილი და ბოლოში დავიწროებული საპატრუქე მილით. დაბალტანიანი, ბრტყელძირა. თიხა მსხვილმარცვლოვანი. შემორჩენილი სიმაღლე 7 სმ, ძირის დ. 5,3 სმ, კეცის სისქე 0,5 სმ. შიდა ციხე, სასახლის კიბის წინა მხარე (ტაბ. XI 1931).

**III3.** ჭრაქის მილი. წითელკეციანი. შებოლილი. ყრუდ ბოლოკვეთილი. ზემოდან მცირე ზომის საპატრუქე ნახვრეტით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,4 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XI 160).

**III.** ჭრაქის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. პირმოყრილი, მომცრო საპატრუქე ტუჩით. ტანზე შემორჩენილია მრგვალგანივკვეთიანი ყურის კვალი. ბრტყელძირა. ხელით ნამერწი.

თიხა მსხვილმარცვლოვანი. სიმაღლე 6 სმ, კეცის სისქე 0,3-0,6 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XI 225).

ჭრაქის ნატეხი. წითელკეციანი. შებოლილი. პირმოყრილი. ოდნავ ტანგამობერილი. ბრტყელძირა. პირზე შემოუყვება ამოღარული სარტყელი და ჩაჭდული წერტილები. ხელით ნაძერწი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. სიმაღლე 5,7 სმ, კეცის სისქე 0,7-0,9 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XI 460).

#### **«სასაკმევლები»**

I. «სასაკმევლე». წითელკეციანი. გაშლილი პირით. დაბალკალთიანი. ოდნავ პროფილირებული ბრტყელი ძირით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. სიმაღლე 2 სმ, პირის დ. 8,8 სმ, ძირის დ. 7 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XI 218).

ანალოგიურია: ტაბ. XI 336, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-1994, კარიბჭე, ორმო.

II. «სასაკმევლე». წითელკეციანი. შებოლილი. გაშლილი პირით. ჩაღრმავებული ფსკერით. დაბალკალთიანი. პროფილირებული ბრტყელი ძირით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. სიმაღლე 3,6 სმ, პირის დ. 9,5 სმ, ძირის დ. 6,5 სმ. შიდა ციხე, V უბანი (ტაბ. XI 627).

#### **თიხის დისკოები**

დისკო. წითელკეციანი. დამზადებულია ჭურჭლის გვერდის ნატეხისაგან. შუაში გახვრეტილი. თიხა წვრილმარცვლოვანი. დ. 3,5 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. XI 1079).

დისკო. თეთრკეციანი. დამზადებულია ჭურჭლის გვერდის ნატეხისაგან. გაუხვრეტავი. თიხა წმინდად განლექილი. დისკოს დ. 3,5-4,5 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. XI 1799).



### **თიხის სოლები**

სოლის ნატეხი. წითელკეციანი. მრგვალგანივკვეთიანი. თიხა მსხვილმინარევიანი. შემორჩენილი სიგრძე 17,5 სმ, დ. 5,7-6,1 სმ. კვ-68-1110, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: ტაბ. XI 205, 1233, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-2104, 2115, ტაბ. XI 444, შემთხვევითი მონაპოვარი.

სოლის ნატეხი. წითელკეციანი. მრგვალგანივკვეთიანი. თიხა მსხვილმინარევიანი. სოლზე დაღვენთილია სოსნისფერი(?) ჭიქური. შემორჩენილი სიგრძე 14 სმ, დ. 6 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. XI 1334).

სოლის ნატეხი. წითელკეციანი. მრგვალგანივკვეთიანი. თიხა მსხვილმინარევიანი. სოლზე დაღვენთილია მწვანე ჭიქური. შემორჩენილი სიგრძე 13 სმ, დ. 6 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. XI 1410).

ანალოგიურია: ტაბ. XI 1869, შიდა ციხე, სასახლე.

### **ბრტყელი კრამიტები**

I. კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. აკეცილი გვერდით. მუხლიანი. თიხა მსხვილმინარევიანი. შემორჩენილი სიგრძე 27 სმ, გვერდის სიმაღლე 3 სმ, კედლის სისქე 2 სმ. კვ-68-79, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-110, 158, 392, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-745, აღმოსავლეთის კოშკზე მიდგმული ნაგებობის სამხრეთით; კვ-68-832, შიდა ციხე, სასახლე.

კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. აკეცილი გვერდით. მუხლიანი. ბოლოში გარდიგარდმო «ღობით». თიხა მსხვილმინარევიანი. სიგრძე 38 სმ, გვერდის სიმაღლე 2 სმ, კედლის სისქე 1,5-2 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. XII 1155).

ანალოგიურია: კვ-68-1936, 1939, შიდა ციხე, სასახლე.

კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. აკეცილი გვერდით. ბოლოში გარდიგარდმო «ღობითა» და რელიეფური შვერილით. თიხა მსხვილმინარევიანი. შემორჩენილი სიგრძე 15 სმ, გვერდის სიმაღლე 2,5 სმ, კედლის სისქე 1 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XII 97).

ანალოგიურია: კვ-68-740, შიდა ციხე, V უბანი.

კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. აკეცილი გვერდით. ჯვრის რელიეფური გამოსახულებით. თიხა მსხვილმინარევიანი. გვერდის სიმაღლე 2 სმ, კედლის სისქე 1,7-2 სმ. შიდა ციხე, V უბანი (ტაბ. XII 574).

ანალოგიურია: კვ-68-626, შიდა ციხე, V უბანი.

**II.** კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. არათანაბარი სიმაღლისა და სისქის აკეცილი გვერდებით. თიხა მსხვილმინარევიანი. კრამიტზე შეიმჩნევა დუღაბის კვალი. შემორჩენილი სიგრძე 21 სმ, სიგანე 10 სმ, გვერდის სიმაღლე 2 სმ, კედლის სისქე 1,5 სმ. შიდა ციხე, V უბანი.

ანალოგიურია: კვ-68-2117, შიდა ციხე, შემთხვევითი მონაპოვარი.

#### **ღარიანი კრამიტები**

**I.** კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ვიწრო თავი მთელ სიგანეზე შემადღებულია. თავის ქვედა ნაწილზე აქვს ფართო და მოგრძო შვერილი. თიხა მსხვილმინარევიანი. შემორჩენილი სიგრძე 16 სმ, სიგანე 10 სმ, კედლის სისქე 1 სმ. შიდა ციხე, V უბანი (ტაბ. XI 724).

ანალოგიურია: ტაბ. XII 1949, კარიბჭე.

**II.** კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. განივკვეთში ნახევარწრიული. თიხა მსხვილმინარევიანი. შემორჩენილი სიგრძე 10 სმ, სიგანე 11 სმ, კედლის სისქე 1-1,5 სმ. კვ-68-389, შიდა ციხე, წყალსაცავი.

კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ვიწრო თავთან დაძერწილი აქვს ორმაგი საბჯენი. თიხა მსხვილმინარევიანი. კედლის სისქე 1,5 სმ. კვ-68-665, შიდა ციხე, V უბანი.  
ანალოგიურია: კვ-68-842, 878, შიდა ციხე, სასახლე.

კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ვიწრო თავთან დაძერწილი აქვს ორმაგი საბჯენი. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცი გადანატეხში მუქი. შემორჩენილი სიგრძე 18 სმ, სიგანე 12 სმ, კედლის სისქე 1 სმ. კვ-68-949, შიდა ციხე, სასახლე.  
ანალოგიურია: კვ-68-1038, შიდა ციხე, სასახლე.

კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ვიწრო თავთან დაძერწილი აქვს ორმაგი საბჯენი. კრამიტზე შეიმჩნევა კირხსნარის კვალი. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცი გადანატეხში მუქი. შემორჩენილი სიგრძე 16 სმ, სიგანე 11 სმ, კედლის სისქე 1 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. XII 1409).

**III.** კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ვიწრო თავთან დაძერწილი აქვს მოგრძო საბჯენი. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცი გადანატეხში მუქი. შემორჩენილი სიგრძე 16 სმ, კედლის სისქე 1-1,2 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XII 297).

**IV1.** კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ოთხკუთხა მოყვანილობის საბჯენით. შემორჩენილი აქვს რელიეფური ორნამენტის კვალი. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცი გადანატეხში მუქი. კედლის სისქე 1,5 სმ. შიდა ციხე, გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე ეკლესიიდან (ტაბ. XII 780).  
ანალოგიურია: კვ-68-308, შიდა ციხე, წყალსაცავი.

**IV2.** კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. სამკუთხა მოყვანილობის საბჯენით. თიხა მსხვილმინარევიანი. კედლის სისქე 1,2 სმ. რვაგვერდა კოშკის შესასვლელთან (ტაბ. XII 1937).

**IV3.** კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. სამკუთხა მოყვანილობის საბჯენით, რომლის დაგრძელებული ბოლოები კრამიტს მთელ სიგანეზე გასდევს. ზურგზე დაუყვება რელიეფური ხაზი. თიხა მსხვილმინარევიანი. კეცი გადანატეხში მუქი. შემორჩენილი სიგრძე 27 სმ, ვიწრო თავის სიგანე 22 სმ, კედლის სისქე 2 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XII 250).

**IV4.** კრამიტი. წითლად გამომწვარი. სამკუთხა მოყვანილობის საბჯენით. ზურგზე და გვერდებზე დაუყვება რელიეფური ხაზები. თიხა მსხვილმინარევიანი. სიგრძე 45 სმ, ვიწრო თავის სიგანე 16 სმ, ფართო ბოლოს სიგანე 20 სმ, კედლის სისქე 1,5 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XIII 41).

ანალოგიურია: კვ-68-42, 89, 157, 331, 339, 387, 472, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-637, 672, 697, შიდა ციხე, V უბანი; კვ-68-744, 778, შიდა ციხე, აღმოსავლეთის კოშკზე მიდგმული ნაგებობიდან; კვ-68-796, 829, 857, 858, 952, 1037, 1417, შიდა ციხე, სასახლე; კვ-68-1934, რვაგვერდა კოშკის შესასვლელი; კვ-68-1954, კარიბჭე.

კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. სამკუთხა მოყვანილობის საბჯენით. ზურგი და გვერდები შემკულია რელიეფური ხაზებით. თიხა მსხვილმინარევიანი. შემორჩენილი სიგრძე 36 სმ, ვიწრო თავის სიგანე 18 სმ, კედლის სისქე 1,3 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XIII 340).

კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ზურგი შემკულია ურთიერთგადამკვეთი რელიეფური ხაზებით. განიერ ბოლოზე შემოუყვება ორი რელიეფური სარტყელი. თიხა მსხვილმინარევიანი. შემორჩენილი სიგრძე 30 სმ, კედლის სისქე 1,5 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. XIII 1415).

კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ზურგი შემკულია რელიეფური ქედით, სწორი და წრიული ხაზებით. თიხა მსხ-

ვილმინარევიანი. კედლის სისქე 1,3 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XIII 90).

კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. სამკუთხა მოყვანილობის საბჯენით. ზურგზე დაუყვება ქედი. გვერდები შემკულია რელიეფური ოვალებით. თიხა მსხვილმინარევიანი. სიგრძე 40 სმ, ვიწრო თავის სიგანე 16 სმ, ფართო ბოლოს სიგანე 20 სმ, კედლის სისქე 1,5 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. XIII 1154).

ანალოგიურია: კვ-68-78, 298, 299, ტაბ. XIII 300, კვ-68-301, 338, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-568, 569, 611, 615, შიდა ციხე, V უბანი; კვ-68-857 (2ც), 878, 1231, 1360, შიდა ციხე, სასახლე; ტაბ. XIII 1935, რვაგვერდა კოშკის შესასვლელი.

კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. განიერ ბოლოსთან შემკულია ორ პარალელურ რელიეფურ ხაზს შორის მოქცეული რომბებით. თიხა მსხვილმინარევიანი. კედლის სისქე 1-1,5 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XIII 249).

ანალოგიურია: კვ-68-618, 672, 697, შიდა ციხე, V უბანი; კვ-68-1029, 1923, შიდა ციხე, სასახლე.

კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. განიერი ბოლო შემკულია რელიეფური ხაზებითა და ფუძეშექცეული სამკუთხედებით. თიხა მსხვილმინარევიანი. კედლის სისქე 1,3 სმ. კვ-68-572, შიდა ციხე, V უბანი.

ანალოგიურია: კვ-68-302, 311, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-579, 586, 594, 599, 630, 632, 634, 638, 685, შიდა ციხე, V უბანი; ტაბ. XIII 742, აღმოსავლეთის კოშკზე მიდგმული ნაგებობის სამხრეთით; კვ-68-796, 1027, 1029, 1418, შიდა ციხე, სასახლე.

კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. განიერი ბოლო შემკულია წყვილი რელიეფური, ტეხილი ხაზებით. თიხა მსხვილმინარევიანი. კედლის სისქე 1,5 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XIII 251).

ანალოგიურია: ტაბ. XIII 570, შიდა ციხე, V უბანი.

კრამიტის ნატეხი. წითლად გამომწვარი. განიერი ბოლო შემკულია პარალელური რელიეფური ხაზებით. თიხა მსხვილმინარევიანი. კედლის სისქე 2 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. XIII 1416).

ანალოგიურია: კვ-68-697, შიდა ციხე, V უბანი; კვ-68-857, 1029, 1420, შიდა ციხე, სასახლე.

### **აგური**

აგური. წითლად გამომწვარი. თიხა მსხვილმინარევიანი. ზომები: 23X23X4 სმ. კვ-68-719, შიდა ციხე, V უბანი.

### **წყალსადენის მილები**

წყალსადენის მილის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ერთ მხარეს დავიწროებული. ტანზე შემოუყვება ამოღარული სარტყლები. ზედაპირზე შეიმჩნევა დულაბის კვალი. თიხა მსხვილმინარევიანი. შემორჩენილი სიგრძე 32 სმ, დ. 7-9 სმ, კედლის სისქე 1-1,5 სმ. კვ-68-91, შიდა ციხე, წყალსაცავი.

წყალსადენის მილის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ერთ მხარეს დავიწროებული. ტანზე შემოუყვება ამოღარული სარტყლები. თიხა მსხვილმინარევიანი. შემორჩენილი სიგრძე 30 სმ, დ. 8,5-10,5 სმ, კედლის სისქე 1 სმ. შიდა ციხე, შემთხვევითი მონაპოვარი (ტაბ. XII 2103).

### **მოჭიქული კერამიკა**

**1. ამოკაწვრით მოხატული და მწვანედ მოჭიქილი ჯამები**  
ჯამის ძირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოხატულია ამოკაწვრული ტალღოვანი და სწორი ხაზებით. მოჭიქულია მწვანედ. ქუსლი შეღარული. ძირი კოპიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე

1 სმ, ძირის დ. 8 სმ, კეცის სისქე 1 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. XXI 1242).

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირზე შემორჩენილია ნაკაწრი ხაზები. მოჭიქულია მწვანედ. ქიმაწეული. სწორი მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-1835, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი ნაკაწრი ხაზებით დაყოფილია რვა სექტორად. ცენტრში გამოსახულია ვარდული, რომელსაც ამოკაწრული წრეები შემოუყვება. სექტორების გამყოფი ხაზები ბოლოვდება ფოთლის გამოსახულებით. მოჭიქულია მწვანედ. ქუსლი შედარული. ძირი კოპიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 1,4 სმ, ძირის დ. 6,5 სმ, კეცის სისქე 0,8 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XIX 365).

ჯამის გვერდის ნატეხი (2ც). წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოხატულია ნაკაწრი ხაზებით. მოჭიქულია მწვანედ. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 1 სმ. კვ-68-837, შიდა ციხე, სასახლე.

## **2. მწვანედ მოჭიქილი ჯამები**

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. გამოწვისას ზედმეტი სიმხურვალის გამო ფერდაკარგულია. მომრგვალებული ბაკოთი. დაბალი, სწორი მხრებით. დეფორმირებულ გარეპირზე ჩამოღვენთილი ჭიქური დადუღებულია. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-369, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის ძირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. ქუსლი შედარული.

ძირი კოპიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 1,2 სმ, ძირის დ. 7 სმ, კეცის სისქე 1 სმ. კვ-68-383, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-385, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-836, 1163, 1202, 1255, კვ-68-1555, 1580, 1845, შიდა ციხე, სასახლე; კვ-68-2120, შემთხვევითი მონაპოვარი.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. ბაკოჩადარული, ქიმაწეული, სწორი მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-736, შიდა ციხე, V უბანი.

ანალოგიურია: კვ-68-1002, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. ზედმეტი სიმხურვალის გამო ფერდაკარგულია. მომრგვალებული ბაკოთი. დაბალი, სწორი მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-957, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,9 სმ. კვ-68-1204, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. დაბრტყელებული ბაკოთი. სწორი მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1309, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-1118, 1837, 1853, 1925, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-95, შიდა ციხე, წყალსაცავი.



ანალოგიურია: კვ-68-312, 458, 480, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-691, შიდა ციხე, V უბანი; კვ-68-892, 985, 1204, 1324, 1513, 1530 (3ც), 1605, 1656, 1858, 1962, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის ძირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. ვიწროქუსლიანი. ძირი კოპიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 0,8 სმ, ძირის დ. 4,5 სმ, კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-477, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. მომრგვალებული ბაკოთი. სწორი მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-539, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-958, 1017, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის ძირის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. ოდნავ შეღარული ქუსლით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 1 სმ, ძირის დ. 6,5 სმ. კვ-68-864, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. მომრგვალებული ბაკოთი. სწორი მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-896, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-264, 448, 495, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-907, 956, 959, 1042 (2ც), 1072 (3ც), 1076, 1088, 1193, 1212, 1295, 1460, 1512, 1539, 1656, კვ-68-1757, 1761, 1862, შიდა ციხე, სასახლე; კვ-68-1951, 2005, კარიბჭე.

ჯამის ძირის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. შეღარული ქუსლით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 0,6 სმ, ძირის დ. 6,5 სმ. კვ-68-1554, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი (გახვრეტილი დისკო). წითლად გამო-  
მწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ.  
თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-1523,  
შიდა ციხე, სასახლე.

თეფშის პირ-გვერდის ნატეხი. მოჩალისფრო-მოწითალოდ გა-  
მომწვარი. შიდაპირზე შემორჩენილია ანგობისა და მწვანე  
ჭიქურის კვალი. მომრგვალებული ბაკოთი. გაშლილი პირით.  
თიხა წმინდად განლევილი. კეცი რბილი. კეცის სისქე 0,7 სმ.  
კვ-68-585, შიდა ციხე, V უბანი.

### **3. ამოკაწვრით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამები**

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ  
შიდაპირზე ამოკაწვრულია ხვია. მოჭიქულია ცისფრად. თიხა  
მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. შიდა ციხე,  
წყალსაცავი (ტაბ. XXI 18).

ჯამის ძირის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული  
შიდაპირი მოხატულია ამოკაწვრული ხაზით. მოჭიქულია ცის-  
ფრად. ქუსლი ვიწროა, მაღალი, შეღარული. ოდნავ ამო-  
ბურცული პირით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის  
სიმაღლე 1,3 სმ, ძირის დ. 7 სმ. კვ-68-173, შიდა ციხე, წყალსა-  
ცავი.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ  
შიდაპირზე ამოკაწვრულია ხვიები. მოჭიქულია ცისფრად.  
თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. შიდა ციხე,  
წყალსაცავი (ტაბ. XXI 296).

ჯამის გვერდის ნატეხი (გახვრეტილი დისკო). წითლად გამ-  
ომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოხატულია ამოკაწ-  
ვრული ხაზით. მოჭიქულია ცისფრად. თიხა მსხვილმარცვლო-

ჯანია. კეცის სისქე 0,8 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XXI 411).

ჯამის გვერდის ნატეხი (გახვრეტილი დისკო). წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოხატულია ამოკაწრული ხაზით. მოჭიქულია ცისფრად. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XXI 450).

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია ცისფრად. ბაკოჩადარული. ქიმაწეული. სწორი მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-1004, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოხატულია ამოკაწრული ხაზით. მოჭიქულია ცისფრად. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,9 სმ. კვ-68-1012, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მარყუჟები და ხაზები. მოჭიქულია ცისფრად. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-1043, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოხატულია ამოკაწრული ხაზებით. მოჭიქულია ცისფრად. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-1294, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-1349, შიდა ციხე, სასახლე.

#### **4. ამოკაწრით მოხატული და სოსნისფრად მოჭიქული ჯამები**

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოხატულია ამოკაწრული ხაზებით. მოჭიქ-

ქულია სოსნისფრად. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 1,2 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. XXI 1663).

ჯამის ძირის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია სოსნისფრად. ქუსლი მაღალია, ვიწრო. ძირი შეღარული, კოპიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 1,2 სმ, ძირის დ. 7,5 სმ. კვ-68-1669, შიდა ციხე, სასახლე.

##### **5. მოვარდისფრო ანგობით დაფარული, ამოკაწრული ხაზებითა და ფერადი ლაქებით შემკული ჯამები**

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. მოვარდისფრო ანგობით დაფარული შიდაპირი შემკულია ამოკაწრული ორნამენტით, ცისფერი ლაქითა და სოსნისფერი წერტილებით. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 1 სმ. კვ-68-31, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. მოვარდისფრო ანგობით დაფარული შიდაპირი შემკულია ამოკაწრული ხაზით, ცისფერი ლაქითა და სოსნისფერი ნაღვენთებით. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XIX 496).

ანალოგიურია: კვ-68-1161, 1488, შიდა ციხე, სასახლე.

##### **6. თეთრი ანგობით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამები**

ჯამის ძირის ნატეხი. წითლად გამომწვარი. შიშველი შიდაპირი მოხატულია თეთრი ანგობით. მოჭიქულია ცისფრად. ქუსლი დაბალია, ფართო. ძირი შეღარული. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 0,7 სმ, ძირის დ. 8 სმ. კვ-68-117, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. შიშველი შიდაპირი მოხატულია თეთრი ანგობით. მოჭიქულია ცისფრად. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 1 სმ. კვ-68-241, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის გვერდის ნატეხი (გახვრეტილი დისკო). წითლად გამომწვარი. შიშველი შიდაპირი მოხატულია თეთრი ანგობით. მოჭიქულია ცისფრად. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-537, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. შიშველი შიდაპირი მოხატულია თეთრი ანგობით. მოჭიქულია ცისფრად. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 7 სმ. კვ-68-561, შიდა ციხე, V უბანი.

ჯამის ძირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. შიშველი შიდაპირი მოხატულია თეთრი ანგობით. მოჭიქულია ცისფრად. ქუსლი დაბალია, შედარული. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 0,7 სმ, კეცის სისქე 1 სმ. კვ-68-817, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი (2ც). წითლად გამომწვარი. შიშველი შიდაპირი მოხატულია თეთრი ანგობით. მოჭიქულია ცისფრად. ბაკოჩადარული, ქიმაწეული. სწორი მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1004, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის ძირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. შიშველი შიდაპირი მოხატულია თეთრი ანგობით. მოჭიქულია ცისფრად. ქუსლი დაბალი, ფართო. ძირი შედარული. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 0,7 სმ, კეცის სისქე 1 სმ. კვ-68-1012, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის ძირის ნატეხი. წითლად გამომწვარი. შიშველი შიდაპირი მოხატულია თეთრი ანგობით. მოჭიქულია ცისფრად. ქუსლი დაბალი. ძირი შეღარული, ოდნავ ამობურცული. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 0,9 სმ, ძირის დ. 8 სმ. კვ-68-1041, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის ძირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. შიშველი შიდაპირი მოხატულია თეთრი ანგობით. მოჭიქულია ცისფრად. ქუსლი დაბალი, ფართო. ძირი შეღარული, კოპიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 0,7 სმ, ძირის დ. 9 სმ, კეცის სისქე 1-1,3 სმ. კვ-68-1905, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. შიშველი შიდაპირი მოხატულია თეთრი ანგობით. მოჭიქულია ცისფრად. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 1,5 სმ. კვ-68-2067, კარიბჭე.

#### **7. მრავალფრად მოხატული და უფერული ჭიქურით დაფარული ჯამი**

ჯამის ძირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. შიშველი კეცი მოხატულია ანგობის თეთრი ზოლებით. აქა-იქ დაღვენთილია სოსნისფერი ლაქები. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. ქუსლი დაბალი, შეღარული. ძირი ბრტყელი. თიხა წმინდად განლექილი. ქუსლის სიმაღლე 0,6 სმ, ძირის დ. 9 სმ, კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-24(5182), შიდა ციხე, წყალსაცავი.

**8. თეთრი ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამები**  
ჯამის ძირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. შიშველი შიდაპირი მოხატულია თეთრი ანგობით. მოჭიქულია მწვანედ. ქუსლი დაბალი, ფართო. ძირი შეღარული. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 0,8 სმ, კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-704, შიდა ციხე, V უბანი.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. შიშველ შიდაპირზე თეთრი ანგობით გამოყვანილია «გულები.» მოჭიქულია მწვანედ. ბაკოჩაღარული, ქიმაწეული. პირგაშლილი. მკვეთრად დაქანებული კალთით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,9 სმ. კვ-68-730, შიდა ციხე, V უბანი. ანალოგიურია: კვ-68-1422, შიდა ციხე, სასახლე.

#### **9. ანგობირებულ შიდაპირზე ფერადი ნაღვენთებით შემკული ჯამი**

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე დაღვენთილია მწვანე და სოსნისფერი საღებავი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. კალთაზე გარედან გამოწვის შემდეგ ამოკაწრულია...რადაც ასო თუ ნიშანი. მომრგვალებული ბაკოთი. დაბალი, ოვალური მხრებით. თიხა წმინდად განლეკილი. კეცის სისქე 1 სმ. აღმოსავლეთის კოშკზე მიდგმული ნაგებობის სამხრეთით მდებარე სათავსოდან (ტაბ. XXI 749).

#### **მცენარეული ორნამენტით შემკული ჯამები**

##### **1. რტო-ყლორტებით შემკული ჯამები**

ჯამის ძირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე შემორჩენილია ამოკაწრული მწვანე რტო-ყლორტები და სოსნისფერი საღებავის კვალი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. ქუსლი ფართო, შეღარული. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 1,5 სმ, ძირის დ. 12 სმ, კეცის სისქე 0,9 სმ. კვ-68-82, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე ჭიქუროვანი საღებავით შევსებული რტო-ყლორტები. მომრგვალებულ ბაკოს შემოუყვება მწვანე ზოლი. პირსა და კალთის დასაწყისთან გამოსახულია ამოკაწრული ხაზები. დაბალი მხრები კალთისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-130, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე შემორჩენილია ამოკაწრულ მწვანე სამკუთხედში, ანგობის თეთრი და ყვითელი საღებავის ფონზე გამოსახული თეთრი რტო-ყლორტები. ორნამენტს შემოუყვება სოსნისფერი ზოლი. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 1 სმ. კვ-68-397, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე ფონზე გამოსახული თეთრი რტო-ყლორტები. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-406, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე და ანგობის თეთრი ფერის რტო-ყლორტები. ნატეხზე შემორჩენილია ყვითელი საღებავისა და სოსნისფერი ხაზის კვალი. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-423, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე შემორჩენილია ამოკაწრული მწვანე რტო-ყლორტები. დაბრტყელებული ბაკო შემკულია ამოკაწრული ხაზებითა და ყვითელი საღებავით. პირს ქვემოთ შემოუყვება ამოკაწრული ხაზები, მწვანე და სოსნისფერი ზოლები. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. სწორპირიანი. დაბალი, ოვალური მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-517, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია რტო-ყლორტები. ჯამი მოუჭიქავია



(ნახევრადნამზადი). თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. XVII 849).

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე შემორჩენილია ამოკაწრული მწვანე რტო-ყლორტები, ყვითელი სამკუთხედი და სოსნისფერი წერტილები. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-968, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე რტო-ყლორტები. პირსა და კალთაზე შემოუყვება ამოკაწრული ხაზები და სოსნისფერი ზოლი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. მომრგვალებული ბაკოთი. სწორპირიანი. დაბალი, შვეული მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-971, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე რტო-ყლორტები. ორნამენტი გახალისებულია სოსნისფერი წერტილებით. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1073, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე რტო-ყლორტები. ორნამენტს შემოუყვება ამოკაწრული სარტყლები, სოსნისფერი ხაზი და ყვითელი ზოლი. დაბრტყელებული ბაკო შემკულია ამოკაწრული ხაზებითა და ყვითელი საღებავით. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. სწორპირიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1074, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე შემორჩენილია ამოკაწრული მწვანე რტო-ყლორტები და გაურკვეველი მოყვანილობის ყვითლად შეფერილი ორნამენტი. გამოსახულება შემკულია სოსნისფერი წერტილითა და ზოლით. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1019, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე შემორჩენილია ამოკაწრული მწვანე რტო-ყლორტები. კალთაზე შემოუყვება ამოკაწრული ხაზები და სოსნისფერი ზოლი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-1145, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე რტო-ყლორტები. ორნამენტი გახალისებულია სოსნისფერი წერტილებით. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-1177, შიდა ციხე, სასახლე.  
ანალოგიურია: კვ-68-1489, 1623, 1932, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე შემორჩენილია მწვანე ზოლი და თეთრ ფონზე ამოკაწრული სოსნისფერი რტო-ყლორტები. ორნამენტი გახალისებულია ამავე ფერის წერტილებით. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1192, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე რტო-ყლორტები. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1322, შიდა ციხე, სასახლე.  
ანალოგიურია: კვ-68-1684, 1738, 1953, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე მწვანე სამკუთხედში და სოსნისფერ მოგრძო ფოთოლში ამოკაწრულია ანგობის თეთრი ფერის რტო-ყლორტები. გამოსახულებას შემოუყვება ამოკაწრული ხაზები და სოსნისფერი ზოლები. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. ნატეხი გახვრეტილია შესაკოწიწებლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცის სისქე 0,8 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. XXI 1476).

ანალოგიურია: კვ-68-442, შიდა ციხე, წყალსაცავი; კვ-68-1658, 1755, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირის ყვითელ ფონზე ამოკაწრულია ანგობის თეთრი ფერის რტო-ყლორტები და მწვანე ზოლი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 1 სმ. კვ-68-1593 შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირის მწვანე ფონზე ამოკაწრულია ანგობის თეთრი ფერის რტო-ყლორტები. ბრტყელ ბაკოს შემოუყვება მწვანე ზოლი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. სწორპირიანი. დაბალი, შვეული მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-1740, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ორმხრივ ანგობირებული შიდაპირის ყვითელ ფონზე ამოკაწრულია ანგობის თეთრი ფერის რტო-ყლორტები. ბაკოზე და კალთის დასაწყისთან შემოუყვება ამოკაწრული ხაზები, სოსნისფერი და მწვანე ზოლები. გარეპირი მოხატულია წყვილი სოსნისფერი ზოლით. შიდა და გარეპირზე გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. მომრგვალებული ბაკოთი.

სწორპირიანი. შვეული მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XXI 264).

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ორმხრივ ანგობირებული. შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე რტო-ყლორტები და სოსნისფერი ზოლი. გარეპირი მოხატულია წყვილი სოსნისფერი ზოლით. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-976, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-1737, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ორმხრივ ანგობირებული. შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე რტო-ყლორტები. შიდა და გარეპირზე გადავლებულია უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1220, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ორმხრივ ანგობირებული. ზედაპირზე შემორჩენილია ამოკაწრული მწვანე რტო-ყლორტის ფრაგმენტი. პირზე და კალთის დასაწყისთან შემოუყვება ამოკაწრული ხაზები, სოსნისფერი და მწვანე ზოლები. მომრგვალებული ბაკოთი. პირმოყრილი. მხარზე დაძერწილი აქვს დაბრტყელებული კოპით შემკული ოვალურგანივკვეთიანი ყური. გარეპირი მოხატულია სოსნისფერი ხაზებით. შიდა და გარეპირზე გადავლებულია უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1308, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ორმხრივ ანგობირებული. შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე რტო-ყლორტები. ბაკოზე და კალთის დასაწყისთან შემოუყვება ამოკაწრული ხაზები, სოსნისფერი და მწვანე ზოლები. გარეპირი მოხატულია წყვილი სოსნისფერი ზოლით. შიდა და გარეპირზე გადავლებულია უფერული, კრიალა ჭიქური. მომ-

რგვალეზული ბაკოთი. პირმოყრილი. ოვალური მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1315, შიდა ციხე, სასახლე.

ანლოგიურია: კვ-68-1582, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ორმხრივ ანგობირებული. შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე რტო-ყლორტები. ორნამენტი გახალისებულია სოსნისფერი წერტილებით. გარეპირი მოხატულია სოსნისფერი ზოლებით. შიდა და გარეპირზე გადავლებულია უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-1748, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ორმხრივ ანგობირებული. შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე რტო-ყლორტები. ორნამენტი გახალისებულია სოსნისფერი წერტილებით. პირზე და კალთის დასაწყისთან შემოუყვება ამოკაწრული ხაზები, სოსნისფერი და მწვანე ზოლები. გარეპირი მოხატულია წყვილი სოსნისფერი ზოლით. შიდა და გარეპირზე გადავლებულია უფერული, კრიალა ჭიქური. მომრგვალეზული ბაკოთი. ოდნავ პირგაშლილი. მხრები ოვალურია. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. XXI 1930).

## **2. მწვანე და ყვითელი სალტეებით შემკული ჯამები**

ჯამის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრული წყვილი ხაზით გამოყვანილია მწვანე სალტეები, რომლებიც ერთმანეთში იხლართება და ქმნიან ნუშისებურ მედალიონებს. თავისუფალი არე შევსებულია ყვითელი რომბებით, რომლებშიც ანგობის თეთრი ფერის რტო-ყლორტოვანი ორნამენტი წარმოდგენილი. ორნამენტი გახალისებულია სოსნისფერი წერტილებით. პირზე და კალთის დასაწყისთან შემოუყვება ამოკაწრული ხაზები, სოსნისფერი და მწვანე ზოლები. გადავლებული აქვს უფერული,

კრიალა ჭიქური. მომრგვალებული ბაკოთი. ოდნავ პირმოყრილი. დაბალი მხრებით. ქუსლი შედარული. ძირი კოპიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ჯამის სიმაღლე 10 სმ, პირის დ. 20,5 სმ, ქუსლის სიმაღლე 1,3 სმ, ძირის დ. 7,3 სმ, კეცის სისქე 0,6 სმ. შიდა ციხე, წყალსაცავი (ტაბ. XXI 366).

ჯამის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე ჭიქუროვანი საღებავით შევსებული, ერთმანეთში გადახლართული სალტეები, რომლებიც ქმნიან ნუშიებურ მედალიონებს. ცენტრში ამოკაწრულია ყვითელი ოთხკუთხედი. მედალიონებს შორის სივრცე შევსებულია ყვითელი ფერის მცენარეული ორნამენტით. მომრგვალებულ ბაკოზე შემოუყვება მწვანე ზოლი. ქუსლი შედარული. ძირი კოპიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ჯამის სიმაღლე 7 სმ, ქუსლის სიმაღლე 1,3 სმ, ძირის დ. 7,5 სმ, კეცის სისქე 0,5 სმ. კვ-68-102, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე შემორჩენილია ყვითელი ფერის სალტის ფრაგმენტები. ქიმაწეულ ბაკოს შემოუყვება მწვანე ზოლი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-1612, შიდა ციხე, სასახლე.

### **3. სტილიზებული მცენარეული ორნამენტით შემკული ჯამები**

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია სოსნისფერი წერტილებით შემკული მწვანე და ყვითელი ზოლები. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. სწორპირიანი. ოვალური მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-206, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-1245, 1925, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირის ყვითელ ფონზე ამოკაწრული ანგობის თეთრი ფერის სტილიზებული მცენარეული ორნამენტი გახალისებულია სოსნისფერი წერტილებით. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. ნატეხი ერთ ადგილას გახვრეტილია შესაკოწიწებლად. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-398, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხები (6ც). წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრული ხაზებით გამოყვანილია ანგობის თეთრი ფერის სტილიზებული მცენარეული ორნამენტი, შემკული სოსნისფერი წერტილებით. მოხატვისას გამოყენებულია მწვანე საღებავიც. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. მომრგვალებული ბაკოთი. პირი გარედან შემკულია ნაჭდევებით, რის გამოც ჯამის პირი ტალღოვანია. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-402, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია სოსნისფერი წერტილებით შემკული მწვანე ფერის სტილიზებული მცენარეული ორნამენტი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-424, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-1056, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე ფოთოლი და ყვითლად შეფერილი წყვილი ხაზი. თეთრ ფონზე გამოსახულია სოსნისფერი წერტილი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-425, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის გვერდის ნატეხი. მოწითალოდ გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრული ხაზებით გამოყვანილია სოსნისფერი წერტილებით შემკული მწვანე ფერის სტილიზებული მცენარეული ორნამენტი და ყვითელი ხაზები. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-445, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-524, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულ მწვანე სამკუთხედებსა და წრეებში გამოსახულია სოსნისფერი წერტილებითა და ყვითელი ლაქებით შემკული ანგობის თეთრი ფერის სტილიზებული მცენარეული ორნამენტი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. ქუსლი შედარული. ძირი კოპიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 1,3 სმ, ძირის დ. 7,3 სმ, კეცის სისქე 0,7 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. XXII 1011).

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე, ყვითელ წრეში ამოკაწრული ანგობის თეთრი ფერის სტილიზებული მცენარეული ორნამენტი გახალისებულია სოსნისფერი წერტილებითა და ზოლით. კალთაზე შემორჩენილია მწვანე საღებავის კვალი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. მომრგვალებული ბაკოთი. ძალზე დაბალი, სწორი მხრებით, რომელიც კალთისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი. თიხა წვრილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1014, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი (2ც). წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანედ და ყვითლად შეფერილი სტილიზებული ყვავილი. ნატეხზე შემორჩენილია ამოკაწრული მწვანე ხაზი და სოსნისფერი ზოლი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-1016, შიდა ციხე, სასახლე.



ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია სოსნისფერი წერტილებით გახალისებული, მწვანე სალტეებში მოქცეული მცენარეული ორნამენტი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 1 სმ. კვ-68-1128, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-1209 (2ც), შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია ერთმანეთში ჩახვეული მწვანე და ყვითელი ხაზები. ორნამენტი გახალისებულია სოსნისფერი წერტილებით. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1160, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე სალტეებში გამოსახული ყვითელი მცენარეული ორნამენტი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1248, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (2ც). წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია სოსნისფერი წერტილებით შემკული, მწვანე და ყვითელი სტილიზებული მცენარეული ორნამენტი. კალთაზე გამოყვანილია სოსნისფერი წერტილები და ნახევარწრეები. დაბრტყელებულ ბაკოზე გამოსახულია მწვანე, ყვითელი და სოსნისფერი საღებავით შემკული ამოკაწრული ხაზები. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. სწორპირიანი. დაბალი მხრები კალთისაგან მკვეთრად გამოყოფილი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. შიდა ციხე, სასახლე (ტაბ. XXII 1431).

ანალოგიურია: კვ-68-1485, 1505, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირზე ამოკაწრულია სოსნისფერი წერტილებითა და წრეებით შემკული მწვანე ფერის სტილიზებული მცენარეული ორნამენტი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. მომრგვალებული ბაკოთი. სწორპირიანი. დაბალი მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-1625, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია სოსნისფერი ლაქით შემკული მწვანე ფოთოლი. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-1744, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულ მწვანე სალტეში გამოსახულია ყვითელი ფოთოლი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. პირგაშლილი. დაბალი, ოვალური მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-1748, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე ფოთოლი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1912, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე სალტეები და მცენარეული ორნამენტი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-1947, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე სალტეში გამოსახული ყვითელი ფოთოლი, რომელსაც ცენტრში ამკობს სოსნისფერი წერტილი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-1948, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-1952, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია თავ-ბოლოებით ერთმანეთთან მიტანილი მწვანე და ყვითელი ოვალური ფოთლები. მწვანედ მოჭიქულ გარეპირზე შემოუყვება ირიბი ნაჭდევების სარტყელი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. პირგამლილი. ოვალური მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-2077, კარიბჭე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ორმხრივ ანგობირებული. შიდაპირზე ამოკაწრულია სოსნისფერი ორნამენტით შემკული მწვანე ფოთოლი. გარეპირი მოხატულია სოსნისფერი ზოლით. შიდა და გარეპირზე გადავლებულია უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,7 სმ. კვ-68-405, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ანალოგიურია: კვ-68-2007, კარიბჭე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ორმხრივ ანგობირებული. შიდაპირის მწვანე ფონზე ამოკაწრულია ყვითელი ლაქებით შემკული, ანგობის თეთრი ფერის სტილიზებული მცენარეული ორნამენტი, გახალისებული სოსნისფერი წერტილებით. შიდა და გარეპირზე გადავლებულია უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კვ-68-677, შიდა ციხე, V უბანი.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ორმხრივ ანგობირებული. შიდაპირზე შემორჩენილია ამოკაწრული მწვანე

ფერის სტილიზებული მცენარეული ორნამენტი, ყვითელი ხაზები და სოსნისფერი წერტილები. გარეპირი მოხატულია სოსნისფერი ზოლით. შიდა და გარეპირზე გადავლებულია უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის 0,9 სისქე სმ. კვ-68-1134, შიდა ციხე სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ორმხრივ ანგობირებული. შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე ფერის სტილიზებული მცენარეული ორნამენტი და ხვები, გახალისებული სოსნისფერი წერტილებით. გარეპირი მოხატულია წყვილი სოსნისფერი ზოლით. შიდა და გარეპირზე გადავლებულია უფერული, კრიალა ჭიქური. მომრგვალებული ბაკოთი. პირმოყრილი. მხრები კალთისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1146, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (2ც). წითლად გამომწვარი. ორმხრივ ანგობირებული. შიდაპირზე ამოკაწრულ ექვსკუთხედში მწვანე ფონზე გამოსახულია თეთრი ფერის სტილიზებული მცენარეული ორნამენტი. ექვსკუთხედის კუთხეები შემკულია ამოკაწრული მწვანე ნახევარწრეებითა და სოსნისფერი წერტილებით. კალთას შემოუყვება ერთმანეთში გადახლართული მწვანე სალტეები. გარეპირი მოხატულია წყვილ-წყვილი სოსნისფერი ზოლებით. შიდა და გარეპირზე გადავლებულია უფერული, კრიალა ჭიქური. მომრგვალებული ბაკოთი. პირმოყრილი. ქუსლი შედარული. ძირი კოპიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 1 სმ, ძირის დ. 8 სმ, კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1698, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის გვერდის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ორმხრივ ანგობირებული. შიდაპირზე ამოკაწრულია მოგრძო მწვანე ფოთლები და ყვითელი ხაზები. ორნამენტი გახალისებულია სოსნისფერი წერტილით. მომრგვალებულ ბაკოზე შემოუყვება

სოსნისფერი ზოლი. გარეპირი მოხატულია სოსნისფერი წყვილი ზოლით. შიდა და გარეპირზე გადავლებულია უფერული, კრიალა ჭიქური. პირმოყრილი. ოვალური მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,8 სმ. კვ-68-1734, შიდა ციხე, სასახლე.

ჯამის პირის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ორმხრივ ანგობირებული. სოსნისფერ ფონზე წყვილი ხაზებით ამოკაწრულია ანგობის თეთრი ფერის წნული ორნამენტი. კალთაზე შემორჩენილია მწვანე ფერის სტილიზებული მცენარეული ორნამენტის ფრაგმენტი. მხარზე დაძერწილი მრგვალგანიკვეთიანი ორმაგი ყური ჩამოტეხილია. გარეპირი მოხატულია სოსნისფერი ხაზებით. შიდა და გარეპირზე გადავლებულია უფერული, კრიალა ჭიქური. მომრგვალებული ბაკოთი. ოდნავ პირმოყრილი. ოვალური მხრებით. თიხა მსხვილმარცვლოვანი. კეცის სისქე 0,6 სმ. კარიბჭე (ტაბ. XXII 2091).

#### **4. ხის სტილიზებული გამოსახულებით შემკული ჯამი**

ჯამის ძირის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულ მწვანე ოთხკუთხედში წარმოდგენილია თეთრი ფერის სტილიზებული ხე, ცენტრში ყვითელი საღებავის მოგრძო ლაქით. ქუსლი შედარული. ძირი კოპიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 1 სმ, ძირის დ. 8 სმ. კვ-68-1544, შიდა ციხე, სასახლე.

#### **მცენარეულ-გეომეტრიული ორნამენტით შემკული ჯამები**

##### **1. ოთხფურცლა ვარდულებით შემკული ჯამები**

ჯამის ძირის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი ამოკაწრული წყვილი ხაზებით დაყოფილია ოთხ სექტორად. ცენტრში გამოსახულია მწვანედ და ყვითლად შეფერილი ოთხფურცლა ვარდული. ორნამენტი გახალისებულია სოსნისფერი წერტილებით. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. ქუსლი შედარული. ძირი კოპიანი.

თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 1 სმ, ძირის დ. 7 სმ. კეცის სისქე კვ-68-127, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის ძირის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებული შიდაპირი ამოკაწრული წყვილი ხაზებით დაყოფილია ოთხ სექტორად. ცენტრში გამოსახულია მწვანედ და ყვითლად შეფერილი ოთხფურცლა ვარდული, რომელსაც გარშემო შემოუყვება სოსნისფერი წერტილები. სექტორებს შორის შემორჩენილია მწვანედ შეფერილი ამოკაწრული მცენარეული ორნამენტი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. ქუსლი შეღარული. ძირი ამობურცული. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 1,5 სმ. კვ-68-136, შიდა ციხე, წყალსაცავი.

ჯამის ძირის ნატეხი. წითლად გამომწვარი. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანედ და ყვითლად შეფერილი ოთხფურცლა ვარდული, რომლის ცენტრში გამოყვანილია ანგობის თეთრი ფერის ჯვარი, შუაში სოსნისფერი ოთხკუთხედით. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური. ქუსლი შეღარული. ძირი კოპიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. ქუსლის სიმაღლე 1,5 სმ, ძირის დ. 7,3 სმ. კვ-68-1154, შიდა ციხე, სასახლე.

ანალოგიურია: კვ-68-1459, შიდა ციხე, სასახლე.

